ბაიღვიძე, ქუთაისო! A2

შეთანხმებამდე შორია, არჩევნები კი ყურის ძირშია A3

ამაგი A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 20 ივნისი, 2003 წელი. №167 (379)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### უძლეველი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი ფორმა

გუშინ თავდაცვის სამინისტროში ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული გენერალური ინსპექციების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ. ეს მათი პირველი მუშა შეხვედრა იყო.

A2

## ეკონომიკა

### "მთავრობას უფლება არ აქვს, გულგრილად უცქიროს ტყის გაჩანაგებას"

"არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების ფონზე საქართველოს მთავრობას უფლება არა აქვს ქვეყანაში არსებული სატყეო მეურნეობა მხოლოდ ტურიზმის მიზნით გამოიყენოს და გულგრილად უცქიროს მის გაჩანაგებას," - განაცხადა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა და პროექტის კოორდინატორმა ანდრეი კუშლინმა.

A4

## უცხოეთი

### მოკავშირეებს ერაყში დამატებითი შეიარაღებული ძალები შეჰყავთ

გენერალ პიტერ ფეისის თქმით, შეერთებული შტატების მოკავშირეებმა - დიდმა ბრიტანეთმა და პოლონეთმა გადაწყვიტეს, რომ ზაფხულის ბოლომდე ერაყში, დაახლოებით, 20 000 ჯარისკაცი გააგზავნონ, რათა ერაყის სტაბილურობას შეუწყონ ხელი.

A5

## საზოგადოება

### ხელისუფლებამ უნარშეზღუდულები მოატყუა

საქართველოს უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის წევრები შიმშილობას იწყებენ. სად დასხდებიან ისინი, პარლამენტის თუ სახელმწიფო კანცელარიის წინ, დღეს გადაწყდება, თუმცა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რომ მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ფენა ხელისუფლებამ ისევ მოატყუა.

A6

## სამართალი

### ღვინის უძველესი ქარხნის ქონება კაპიკებად გაიყიდა

თავის დროზე საქართველოს ბევრი ღვინის ქარხანა განუკითხაობის მსხვერპლი გახდა. ქარხნებში შემთხვევით მოხვედრილმა ადამიანებმა "დღევანდელი კვერცხით" გამდიდრების სურვილით არა მარტო ღვინომარაგები და ტექნიკა გაანიავეს, არამედ კაპიკებად გაიყიდა ის უძველესი ღვინოები, რომლებიც ქვეყნის კულტურული სიმდიდრე იყო.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | |
| ქუთაისი | 27 | |
| ბათუმი | 24 | |
| სოხუმი | 26 | |
| ფოთი | 25 | |
| თელავი | 25 | |
| ზუგდიდი | 27 | |
| გორი | 24 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5399 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6105 |
| რუბლი | 0.0706 |

# ლაშქრობა საკანონმდებლო ევერესტზე

## კონსტიტუციურ ცვლილებებზე მსჯელობისთვის პარლამენტს გამომსვლელები შემოაკლდა

გიორგი ასანიშვილი

*თავისი უფლებამოსილების ამოწურვის წინ, დეპუტატების გარკვეულმა ნაწილმა "თავი გაიგიჟა" და, ერთბაშად, საკანონმდებლო ევერესტის დაპყრობა მოინდომა - გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები მოქმედი კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპების გადასინჯვისკენ მთელი სერიოზულობით ისწრაფიან. თითოეულ მათგანს კარგად ესმის, რომ დღევანდელ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების გასვლის შანსი, პრაქტიკულად, ნულის ტოლია, მაგრამ ძირითადი კანონის გადასინჯვას მაინც ჯიუტად ითხოვს. მეტიც, ზოგიერთი პარლამენტარი უკვე ულტიმატუმის ენაზეც კი ალაპარაკდა. მაგალითად, მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ხატიძე აცხადებს, რომ თუ კანონპროექტის განხილვა არ გაგრძელდება, მაჟორიტარები იტოვებენ უფლებას, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ცვლილებებს მხარი არ დაუჭირონ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# მთელი მთავრობის პასუხისმგებლობას ყოველთვის ფინანსთა მინისტრს აკისრებენ...

მაია ქალაგანიძე

*დავით ონოფრიშვილი ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე წინა საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე დაინიშნა. ახლა მოგეხსენებათ, რომელი წელია, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში პროგრესს მხოლოდ პრობლემები განიცდიან, რადგან გადადგომისას დავით ონოფრიშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები - თუ სისტემა არ შეიცვალა, ვითარებას ვერც ერთი ფინანსთა მინისტრი ვერ გამოასწორებსო - დღესაც აქტუალურია. მათ, ვისაც დიდი ინტერვიუების კითხვა ეზარება, შეუძლია, მხოლოდ საუბრის ფინალი ნახოს და ამაში დარწმუნდება.*

გაგრძელება B1 გვერდზე



*დავით ონოფრიშვილი.*

# საქმიანი ქალი სამშობლოში

ნათია ვადაჭკორია

პეტერბურგის მარიას თეატრის პრიმა ბალერინა, რუსეთის დამსახურებული არტისტი, ბალეტის არტისტების საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ჯექსონში (აშშ), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, "ღირსების ორდენის" კავალერი და სხვა მრავალი რეგალიების მქონე ირმა ნიორაძე კვლავ ეწვია თბილისს და ტრადიციულად, ნიკა ცისკარიძესთან ერთად საქველმოქმედო "ჟიზელით" მოხიბლავს თბილისელებს. როგორც წესი, ირმას ყოველი გასტროლების დროს მეუღლე ახლავს ხოლმე თან, ამჯერად ტრადიცია დაირღვა და დედას პატარა ნიკუშა უმშვენებს გვერდს.

გაგრძელება B3 გვერდზე



*შაბათს ირმა ნიორაძე და ნიკა ცისკარიძე "ჟიზელს" იცეკვებენ.*

# ირანი: ხელისუფლება ორმაგი ზეწოლის ქვეშ

## სტუდენტურ გამოსვლებს ყველა რეჟიმი ერთნაირად პასუხობს

შოთა უტიაშვილი

"ჩვენ არ მოვითმენთ ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნას," – განაცხადა გუშინ აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მან საჯაროდ გაავლო "წითელი ხაზი", რომლის იქითაც ირანი არ უნდა გადავიდეს, თუ აშშ-თან ღია კონფრონტაცია არ სურს.

ამავე დროს, პრეზიდენტმა აშკარა სოლიდარობა გამოუცხადა "ირანულ კმარას" - თეირანში მიმდინარე სტუდენტურ მოძრაობას. "მე მხარს ვუჭერ იმ მამაც ადამიანებს, რომლებიც ირანში თავისუფლებისათვის იბრძვიან. მათ უნდა იცოდნენ, რომ ამერიკა მათ მხარესაა. მოვუწოდებ ირანის მთავრობას, მათ სრული პატივისცემით მოექცეს".

ბუშის გუშინდელი განცხადებები მოწმობს, რომ თეირანის ისლამური რეჟიმი ორმაგი ზეწოლის ქვეშაა: როგორც შიგნიდან, ისე გარედან, თუმცა, ჯერ ვერავინ იტყვის: საბოლოოდ რეჟიმი ორმაგი ზეწოლის ქვეშ გაისრისება, თუ შეძლებს საშინაო და საგარეო საფრთხეების ერთმანეთის წინააღმდეგ გამოყენებას.

შეერთებული შტატები დიდი ხანია აცხადებს, რომ თეირანი ატომური ბომბის შექმნას ცდილობს. თავის მხრივ, ირანი ირწმუნებოდა, რომ მისი ატომური პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება და, თანაც, ამ პროგრამის შესახებ სრული ინფორმაცია მიეწოდება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს. არ არსებობდა იმის დამამტკიცებელი არც ერთი საბუთი, რომ ირანელები ცრუობდნენ.

გაგრძელება A5 გვერდზე

# მაინც დავაპატიმრებთ - იმუქრება პროკურატურა

## გვიჩიანის საქმესა და ლომინაძის მკვლელობას შორის კავშირზე გამოძიება გრძელდება

თამარ კაციტაძე

*გუშინ პროკურატურა "ეი-ი-ეს თელასის" კომერციული დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობასა და "თელასის" კომერციული დირექტორის მოადგილის გიორგი გვიჩიანის საქმეს შორის კავშირზე ალაპარაკდა.*

**"ნიკა ლომინაძე სწორ გზაზე იდგა. იგი "ეი-ი-ეს თელასში" ფინანსურ მაქინაციებს იკვლევდა, რისთვისაც მოკლეს კიდეც. ჩვენც ლომინაძის გზას ვადგავართ და გვჯერა, რომ აუცილებლად ავხდით ფარდას იმ მიზეზს, რისთვისაც ლომინაძე მოკლეს და ამ გზით მკვლელსაც ვიპოვით,"** – აღნიშნა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა ვალერი გრიგალაშვილმა.

პროკურორის ამგვარი მუქარა "ეი-ი-ეს თელასის" ამჟამინდელი კომერციული ექსპერტის გიორგი გვიჩიანის თავისუფლებაში დატოვებამ გამოიწვია.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ თბილისის პროკურატურამ დაკითხვაზე მისულ გიორგი გვიჩიანს ბრალი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის წარუდგინა და დააპატიმრა.

საქმე ის გახლავთ, რომ მკვლელობის შემდეგ ნიკა ლომინაძის სახლში იპოვეს დოკუმენტი, რომელზეც სწორედ გვიჩიანის ხელმოწერა იყო. დოკუმენტი კი თავის დროზე თბილისში განლაგებულ რუსეთის ჯარებსა და

გაგრძელება A7 გვერდზე

# "დილის მოციონი" პრეზიდენტისგან და უკანდახევა

## პასუხისმგებელი პირები, დაპირების მიუხედავად, მირიან გოგიაშვილს არ დაუსახელებია

თამარ ხორბალაძე

*ფინანსთა მინისტრმა მუქარა არ შეასრულა – ფინანსთა სამინისტროს მუშაობის ხელისშემშლელი, ანუ კონტრაბანდაზე და სხვა პრობლემებზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები, დაპირების მიუხედავად, გუშინ მირიან გოგიაშვილს არ დაუსახელებია. დილით იგი საქართველოს პრეზიდენტს ესაუბრა, შემდეგ კი ჟურნალისტებისთვის შეპირებული პრესკონფერენცია მოაწყო და ის პრობლემები ჩამოთვალა, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალდებულებების შესრულებას ხელს უშლის. ესენია: აჭარასთან დაურეგულირებელი ურთიერთობა, პრივატიზაციიდან, განსაკუთრებით – ჰესების პრივატიზაციიდან მიუღებელი თანხები, ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება, პარლამენტის მიერ ბოლო პერიოდში მიღებული საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც ცალკეულ სფეროებს დაბეგვრის გარეშე ტოვებს.*

ცხადია, ამ განცხადებებში არაფერი ყოფილა ახალი ან განსაკუთრებით მოულოდნელი. ფინანსთა მინისტრი ალაპარაკდა იმ პრობლემებზე, რომელთა უმრავლესობაზე თითქმის ყველა მისი წინამორბედი საუბრობდა, მაგრამ - უშედეგოდ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლეიბორისტების ახალი პროექტი

ბელა მახარაძე

*მას შემდეგ, რაც "ლეიბორისტების" ინიციატივა - საარჩევნო კომისიები ეუთო-ს წევრებს დაეკომპლექტებინათ, არ იქნა მიღებული შესაბამისი ორგანოების მიერ, მათ ახალი წინადადება შეიტანეს პარლამენტში და ითხოვენ, არჩევნების შედეგები სასამართლომ დაამტკიცოს. ამ ვარიანტის მიხედვით, ნათელაშვილს იმედი აქვს, რომ არჩევნების შედეგების გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება და იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული სასამართლოები ვერ შეძლებენ ობიექტურობის გამოვლენას, არჩვენების შედეგებს ევროპის სასამართლო დაამტკიცებს. ნათელაშვილი მომხრეა, რომ საარჩევნო კომისიები არასამთავრობოებით დაკომპლექტდეს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნავთობის კონტრაბანდით ბიუჯეტს 200 მილიონი დოლარი აკლდება

სოფო კვინტრაძე

საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატამ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ნავთობპროდუქტების კონტრაბანდასთან ბრძოლის პროგრამა წარუდგინა. პროგრამა თხევადი გაზის, დიზელის საწვავისა და ბენზინის იმპორტისაგან შემოსავლების მაქსიმალურ მობილიზებას ითვალისწინებს. აშშ-ს სავაჭრო პალატის გამოკვლევებით, საქართველოში შემოსული ნავთობპროდუქტების 70 პროცენტი არალეგალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროში შემოსავლების ლეგალიზაცია ბიუჯეტს წელიწადში 200 მილიონ დოლარს მისცემს.

პრეზიდენტთან შეხვედრას აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და აშშ-ს სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი ფადი ასლიც ესწრებოდნენ. როგორც რიჩარდ მაილსმა ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, პრეზიდენტმა შევარდნაძემ

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ამაგი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

# არადემოკრატებმა დემოკრატების პლაკატებს ბართლომეს ღამე გაუთენეს

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთი

საქართველოში წინასაარჩევნო ბატალიებში ოპონენტების წინააღმდეგ ქმედების არაერთი, მათ შორის, დემოკრატიულ და ცივილიზებულ საზოგადოებაში არც მთლად მიღებული ხერხი გამომუშავდა. ამათაგან ყველაზე აპრობირებული და გავრცელებულია ღამ-ღამობით, მტრად შერაცხული ძალისათვის, საარჩევნო თვალსაჩინოების და სხვა პროპაგანდისტული ატრიბუტიკის განადგურება. ოზურგეთში წინასაარჩევნო კამპანიის პირველი სვლები ამგვარად ხორციელდება. ჯერ იყო და ტრადიციონალისტებმა ისედაც უხერხულ მდგომარეობაში მყოფ სმკ-ს, მთავარი შტაბის წინ აღმართული პარტიის ღირსება და სინდისი - დიდი ლურჯი დროშა მოსტაცეს; ხოლო წუხელ ღამით "გაერთიანებული დემოკრატების" ოფისის წინ ქალაქის სარეკლამო დაფებზე, შენობათა კედლებსა და კარ-ფანჯრებზე გამოკრული პლაკატები ჩამოხიეს. როგორც ჩანს, დემოკრატების პლაკატების ყვითელმა ფერმა დაახლოებით ისე იმოქმედა არადემოკრატების ფსიქიკაზე, როგორც მატადორის მიერ აქნეული წითელი ნაჭერი ამძვინვარებს ხოლმე ხარს.

# გაჭირვების გამო წინაპრების საფლავი ხელყო

ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში აქამდე გაუგონარი და ლამის დაუჯერებელი ამბავი მოხდა. ოჯახის უფროსმა საგვარეულო ძვალშესალაგს დურალუმინის ღობე შემოხსნა და ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტს ჩააბარა. თანაც ამის თაობაზე სოფლის ხელმძღვანელობას აცნობა, რათა ქურდობის შემთხვევა გამოერიცხათ. ამ ნაბიჯამდე, როგორც ჩანს, იგი უკიდურესმა გაჭირვებამ მიიყვანა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ოჯახის ერთ-ერთი წევრი რაღაც დანაშაულში იმხილებოდა და ღობეში აღებული ფული სამართალდამცველებისაგან თავდასახსნელად ესაჭიროებოდა. თუმცა, ამ ინფორმაციის სიზუსტესაც არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ფაქტი ფაქტად რჩება - ოზურგეთის მოსახლეობისათვის "არსობის პურის" მოპოვება უფრო და უფრო ძნელდება, ხოლო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები, ხატოვნად რომ ვთქვათ, იმ კბილსაც კი იმეტებენ, რომლითაც სული უჭირავთ.

# ქართული ხასიათის ბრალია...

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, დახურულ კარს მიღმა, საქართველოში აშშ-ს ელჩს რიჩარდ მაილსს შეხვდა.

მაილსის თქმით, შეხვედრაზე მან პარლამენტის თავმჯდომარეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ვიზიტის შეფასება გააცნო. აგრეთვე, ისაუბრეს შემოდგომაზე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებსა და იმ დაპირისპირებაზე, რომელიც პარლამენტში საარჩევნო კანონის მიღებასთან დაკავშირებით არსებობს.

ამერიკის ელჩი იმედს გამოთქვამს, რომ ქვეყანაში დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის მიღება უახლოეს ხანში მოხერხდება, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სამართლიანი არჩევნების ჩატარება. „საკითხის გაჭიანურება ქართული ხასიათის ბრალია", — თქვა ელჩმა.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოსა და რუსეთის სარკინიგზო უწყებათა შეხვედრა, სოჭი-თბილისის მაგისტრალის აფხაზური მონაკვეთის შემოწმებასთან დაკავშირებით, თბილისში 26-27 ივნისს გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალურმა სოხუმმა ხუთშაბათს მხარდაჭერა გამოთქვა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მთლიანად დარეგულირებამდე რუს სამშვიდობოთა ყოფნასთან დაკავშირებით, რომლებიც დსთ-ს ეგიდით, 1994 წლიდან მსახურობენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთმა და საქართველომ ივნისის ბოლომდე, აფხაზეთში მყოფ რუს სამშვიდობოთა მანდატის მორიგი 6-თვიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით, "ცისფერჩაფხუტიანთა" საკითხზე დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა გადაწყვეტილების პროექტი უნდა შეათანხმონ. ამის შესახებ "პრაიმ-ნიუსს" რუსეთში საქართველოს ელჩმა ზურაბ აბაშიძემ აცნობა, რომლის თქმით, "ამ საკითხის თაობაზე ქართული მხარის მოსაზრება რუს კოლეგებს უკვე გადაეცათ". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი დევნილთა დაბრუნების საკითხებზე მოსკოვში რუსეთისა და საქართველოს სამთავრობო კომისიების უკვე დასრულებულ პირველ შეხვედრას უარყოფითად აფასებს და აცხადებს, რომ ქართულ-რუსული მოლაპარაკებები "ღრმა ჩიხშია" შესული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული მშვიდობის მხარდამჭერი ძალები საუკეთესო საგუშაგოს გამოსავლენად 5 ივლისამდე კონკურსს გამართავენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი, ფრაქცია "დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ ვინ იქნება საარჩევნოდ გაერთიანებული ოპოზიციის ერთიანი სიის სათავეში, რომლის თაობაზეც საბოლოო გადაწყვეტილება შეთანხმების შედეგად უნდა მოხდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" ლიდერი კოტე კემულარია მიიჩნევს, რომ საარჩევნოდ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის ჩამოყალიბება, საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის გარანტიას იძლევა, რომელიც 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვისაც უნდა შენარჩუნდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი, ფრაქცია "ტრადიციონალისტის" ლიდერი აკაკი ასათიანი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის გაერთიანების შანსები, ერთიანი იდეის არარსებობის გამო, სერიოზულად შემცირდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო ქართულ პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეთანხმებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ბიუროს დირექტორმა კრისტიან შტროჰალმა პარლამენტის ვიცე-სპიკერთან გიგი წერეთელთან შეხვედრისას განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** საქართველოს ტერიტორიიდან სომხეთში რუსეთის სამხედრო ნაწილების გადასროლა, როგორც ამის შესახებ მასმედია იუწყებოდა, არ იგეგმება, - აცნობა ჟურნალისტებს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა იური ბალუევსკიმ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა, რომელსაც გუშინ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის განხილვის პროცედურული დარღვევების თაობაზე დასკვნა უნდა მიეღო, კვორუმის არარსებობის გამო, ვერ შედგა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჯერ არ იციან, მიიღებენ თუ არა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას. პარტიის ხელმძღვანელის ავთო ველთაურის განცხადებით, ისინი საბოლოო პოზიციას მას შემდეგ შეიმუშავებენ, რაც მიიღებენ დირექტივებს პარიზში განთავსებული პარტიის ბიუროდან. ეს, სავარაუდოდ, ორ კვირაში მოხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 16-18 ივნისს ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე, სამხრეთ-ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა - განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ საქართველოში ევროგაერთიანების შემფასებელი მისიის ჩამოსვლა მოითხოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახმეტა.** საერთაშორისო კონვეციის დებულების თანახმად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ერთად, მეოთხე დღეა, ახმეტაში პანკისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების ხელახალ რეგისტრაციას აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერი ვანო ზოდელავა დარწმუნებულია, რომ მერის არჩევითობის პრინციპის დაკანონების შემთხვევაში, იგი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს და გაიმარჯვებს კიდეც. **ინტერ-პრესი**

# გაიღვიძე, ქუთაისო!

ბექა სისაური
ქუთაისიდან

"გაიღვიძე, ქუთაისო", - ამ ლოზუნგით მიადგა 100-მდე ადამიანი გუშინ ქუთაისის მერიას. ქალაქს, თითქმის ორი კვირაა, შუქი არ მიეწოდება. გაზი კი ქუთაისელებს თვეზე მეტია, რაც აღარ აქვთ. მოსახლეობას სასმელი წყალიც დღეგამოშვებით, რამდენიმესაათიანი გრაფიკით მიეწოდება, ხანდახან კი რამდენიმე დღის დაგვიანებითაც. ამჟამად ქუთაისელები ყველაზე დიდ დისკომფორტს უშუქობის გამო განიცდიან. და სამი დღის წინ საპროტესტო აქციები დაიწყო.

თავდაპირველად აფხაზეთიდან დევნილები "აბუნტდნენ" - ისინი ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლობასთან შეიკრიბნენ, სადაც ჯერ ხელისუფლების ლანძღვით იჯერეს გული, შემდეგ კი "ქელასის" შენობასთან აქცია მოაწყვეს. "ქელასის" ხელმძღვანელობამ დევნილების დაშოშმინება ძლივს მოახერხა.

**"ამ ხელისუფლებამ ჯერ აფხაზეთიდან გამოგვყარა, ახლა კი აქაც გვისპობს სიცოცხლის საშუალებას. სახლში შუქი საერთოდ არ გვაქვს, წყალი კი ალაგ-ალაგ მოდის. ამ სიცხეში უწყლოდ და უდენოდ როგორ უნდა ვიცხოვროთ? ვინმემ გამცეს პასუხი, საქართველოს მთავრობის და პარლამენტის წევრები სხვებს ადამიანებად რატომ არ თვლიან?"** - აცხადებდნენ დევნილები.



*განაწამები ქუთაისელები ცხოვრების ელემენტარულ პირობებს ითხოვენ.*

გუშინ ლესელიძის ქუჩის მაცხოვრებლებმა რაჭა-ლეჩხუმისკენ მიმავალი გზა მორებით ჩახერგეს. ლესელიძის ქუჩაზე, რომელსაც ჭომასაც ეძახიან, 10 დღეა შუქი თვალით არ უნახავთ; არ მიეწოდებათ წყალიც. შეიძლება ითქვას, რომ ჭომელები ბუნებამაც გაწირა და ხელისუფლებამაც. მოსახლეობას პრობლემები ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდა, როდესაც რიონჰესის კაშხლის მარჯვენა ნაწილში მდინარემ კალაპოტი იცვალა და 200 კვ.მეტრი მიწა ჩამოიქცა. მაშინ ადიდებულმა რიონმა 7 ოჯახი წაიღო. ანალოგიური უბედურება ლესელიძის ქუჩაზე დარჩენილ 50 ოჯახსაც ემუქრება.

**"დღე-დღეზე რიონი წაგვიღებს, არ გვაქვს დენი, წყალი და გაზი, მთავრობა მხოლოდ იმას გაიძახის, - გადასახადი გადაიხადეთო, - რა გადავიხადო, როდესაც 5 თვეა, პენსია არ ამიღია?"** - აცხადებს პენსიონერი ნათელა კუტივაძე. ჭომელებს არასამთავრობო ორგანიზაციებიც უჭერენ მხარს. **"მე ამ ხალხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება მაკვირვებს. ქალაქში დღე-დღეზე შეიძლება, სოციალური აფეთქება მოხდეს, ესენი კი ყურსაც არ იბერტყავენ. ისიც საკვირველია, პოლიტიკური პარტიები რატომ არ უდგანან ამ ხალხს გვერდით. ჭომაში არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი არ მინახავს. არადა, აქ უამრავი პრობლემაა. ამ გზით რაჭა-ლეჩხუმიდან ყოველ დილით ხე-ტყით დატვირთული ტრაილერების კოლონა გაედინება. თითოეულ მანქანას პოლიცია და უშიშროების სამსახურები აცილებენ. თუმცა, ამას ყურადღებას არავინ აქცევს,"** - აცხადებს "საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ცენტრის" ხელმძღვანელი სულხან ქობულაძე. აღნიშნული ქუჩა დღემდე მორებითაა ჩახერგილი.

გუშინ კი ქუთაისის მერიას გაღიზიანებული მოსახლეობა ლოზუნგით - "მოვითხოვთ დენს, წყალს და გაზს"- მიადგა. ისინი უფრო ორგანიზებულები იყვნენ და იგრძნობოდა, რომ მათ გარკვეული ძალებიც მართავდნენ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ აღნიშნულ ვითარებაში "ქელასის" ხელმძღვანელობა მდგომარეობის გამოსასწორებლად საერთოდ არაფერს აკეთებს - არ იკრიბება ელექტროენერგიის გადასახადი, არ მიმდინარეობს შესაბამისი აგიტაციაც. ყოველივე ამას "ქელასში" ფორსმაჟორული ვითარებით ხსნიან. მოსახლეობის მოთმინება დღითი-დღე იწურება. დღეს ქუთაისში უფრო ფართომასშტაბიან აქციებს ელოდებიან.

# ავიატორებიც პრეზიდენტთან იქნებიან

ლელა მჭედლიძე

პროფესიული ნიშნით დაფუძნებული საზოგადოებრივი მოძრაობების სახელისუფლებო ბლოკის ან პრეზიდენტის გარშემო შემოკრება წინასაარჩევნო ტენდენციად იქცა. გუშინ, საქართველოს ავიაციის 80 წლის იუბილეზე, ერთ-ერთი მთავარი საჩუქარი ავიატორების მხრიდან, ედუარდ შევარდნაძისა და საკუთარი თავისადმი, საზოგადოებრივი მოძრაობის დაარსება იყო. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ გუშინ საზეიმო შეკრებაზე საქართველოს ავიატორთა ლიგის დაფუძნების შესახებ განაცხადა. საჩუქრების სახით, ავიატორებმა აეროპორტის ტერიტორიაზე საქართველოს ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებლის შალვა ჭანკოტაძის ბიუსტი მიიღეს. მერიის გადაწყვეტილებით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჭანკოტაძის სახელიც ეწოდება. ბიუსტის გახსნას გუშინ საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო, რომელმაც შემდგომ ფრენის ტექნიკური უსაფრთხოების ახლადაშენებული ცენტრი მოინახულა, სადაც გამოაცხადეს კიდეც ავიატორთა ლიგის შექმნა.

კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მინისტრი მერაბ ადეიშვილი სხდომის დაწყებამდე ლიგას არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსის მქონე გაერთიანებად მიიჩნევდა და მისი მხრიდან პოლიტიკურ პრეტენზიებს გამორიცხავდა. ჭანკოტაძე კი თავიდანვე სხვა აზრის იყო. ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ, მას შემდეგ რაც პრეზიდენტს პოლიტიკური კურსი და ქართულ ავიაციაზე გაწეული ამაგი სახალხოდ დაუფასა – თქვენ და თქვენი ავტორიტეტი რომ არა, დღევანდლამდე კიდევ ბევრი რამ ვერ გაკეთდებოდაო - იქვე გასაჭირზეც უთხრა რამდენიმე სიტყვა. **"ლიგის დაფუძნება ავიაციის მუშაკთა სურვილი იყო, რადგან, მართალია, ავიაციის ხალხი ერთმანეთს ხელს უწვდის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ელემენტარულად, არსებობის პრობლემა დგას, ნორმალური პენსიის. ავიაციის პრობლემებზე ავიაციის წარმომადგენლები უკეთ იზრუნებენ. ასე რომ, არ გამოვრიცხავთ, მომავალში ამ გაერთიანებამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრაზეც განაცხადოს პრეტენზია".**

**"სულ ახლახან ერთ-ერთ ძველ, ცნობილ მფრინავს ჩემი ფულით ვუყიდე პური. გვარსაც ვიტყოდი, მაგრამ სირცხვილია. პოლიციელებს, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს შედარებით დიდი პენსია რომ დაენიშნათ, ნეტა, ჩვენ რა დავუშავეთ საქართველოს, რომ ასეთივე პენსია არ გველირსა? მოხედეთ ამ ჩვენს ხალხს, პენსიონერებს და მონად დაგიდგებით. ჩვენი მე-8 და მე-7 სარბენი ბილიკები აღარ ვარგა. აეროპორტი, შეიძლება, საერთოდ დაიხუროს, მისი რეკონსტრუქციისთვის მეტი თანხა თუ არ გამოყავით",** - თავის გულისტკივილს პრეზიდენტს უკვე თბილისის აეროპორტის წარმომადგენელი ტიტე კოპალეიშვილი უზიარებდა. ვეტერან-ავიატორები კი გამომსვლელისადმი მხარდაჭერას ხმადაბალი შეძახილებით გამოხატავდნენ. მეტი დაფინანსება ითხოვა ქუთაისის აეროპორტის წარმომადგენელმაც.

ლიგის თავმჯდომარედ გუშინ საავიაციო ინსტიტუტის წარმომადგენელი სერგო ტეფნაძე აირჩიეს.

თბილი სიტყვები იუბილარებისათვის გუშინ არც პრეზიდენტმა დაიშურა. მჯერა, რომ ავიატორთა ლიგა თავისი სიტყვის თქმას მოახერხებსო. პრეზიდენტმა ავიაციის პენსიაზე გასული თანამშრომლებისთვისაც გაიმეტა საჩუქარი და პენსიის მომატებას დაჰპირდა, ისეთ დონემდე, როგორც დღეს ყოფილ სამხედროებს და პოლიციელებს აქვთ.

# უძლეველი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი ფორმა

ვერიკო თევზაძე

*გუშინ თავდაცვის სამინისტროში ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული გენერალური ინსპექციების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ. ეს მათი პირველი მუშა შეხვედრა იყო.*

თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ხუთი სახელმწიფო უწყების – თავად თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების და გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციების საკოორდინაციო საბჭო შეიქმნება. საბჭო გენერალური ინსპექციების მუშაობის კოორდინაციას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად. უახლოეს მომავალში ხსენებული უწყებები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ.

გენერალური ინსპექციების ხელმძღვანელთა თქმით, კორუფციასთან მებრძოლი ანალოგიური სამსახურები სხვა სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებშიც შეიქმნება მას შემდეგ, როცა პარლამენტი "გენერალური ინსპექციების შესახებ კანონს" მიიღებს. თუმცა, გუშინდელ შეხვედრაზე მაინც ბუნდოვანი დარჩა, რა ნიშნის მიხედვით გაერთიანდნენ ძალოვანი სტრუქტურების და ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციები პირველ ეტაპზე. უფრო სწორად, რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სამინისტროში გენერალური ინსპექციები "გენერალური ინსპექციების შესახებ კანონის" მიღებამდე შეიქმნა, ხოლო განათლების, ეკონომიკის ან, თუნდაც, სათბობენერგეტიკის სამინისტროებში გენერალური ინსპექციები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ხსენებული კანონის მიღების შემდეგ დაიწყებენ?



*დუგლას სკოტი (შუაში) გენერალური ინსპექციების შექმნას კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებად მიიჩნევს.*

აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის გენერალური ინსპექციების მრჩეველი დუგლას სკოტი საქართველოში რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურის გენერალური ინსპექციების გაერთიანებას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ გენერალური ინსპექციების საქმიანობა დამოუკიდებელი და გამჭვირვალე უნდა იყოს.

გაზეთ "24 საათის" კითხვაზე - საქართველოში უკვე კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მრავალი ორგანიზაცია შეიქმნა, მაგრამ მათ არსებობას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია, რა სიახლეს უნდა ველოდოთ გენერალური ინსპექციებისგან? - სკოტმა უპასუხა: **"ჩემი აზრით, გენერალური ინსპექცია არის ძალიან დახვეწილი მექანიზმი უწყების შიგნით კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად."** დუგლას სკოტი დარწმუნებულია, რომ თუ ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურებში მოქმედი გენერალური ინსპექციები თავიანთ საქმიანობას სწორად წარმართავენ, **"კორუფციის დონის შემცირებას მაინც შეძლებენ."**

თავდაცვის სამინისტროში გენერალურმა ინსპექციამ მუშაობა წლეულს მაისის თვიდან დაიწყო. გამოავლინა თუ არა ამ სამსახურმა კონკრეტული დარღვევები, კორუმპირებული ჩინოვნიკები? თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ბადრი ჩხაიძე ამ შეკითხვაზე პასუხისგან თავს იკავებს. მისი განმარტებით, თავიანთი მუშაობის შედეგებს ისინი საზოგადოებას ექვსი თვის თავზე გააცნობენ.

# ლეიბორისტების ახალი პროექტი

პირველი გვერდიდან

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი აღშფოთებას გამოთქვამს და საერთაშორისო ზეწოლით იმუქრება, თუ მის მიერ შეთავაზებული საარჩევნო კანონპროექტი პარლამენტმა არ განიხილა. ამ კანონპროექტის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტს ყველა დონის საარჩევნო კომისიაში ჰყავს თითო წარმომადგენელი და კომისიის წევრს უნარჩუნდება ყველა უფლება გარდა ერთისა - არჩევნების შედეგების დამტკიცება. შედეგების დამტკიცების პრეროგატივას შრომის პარტიის ლიდერი სასამართლოებს ანდობს. კერძოდ, არჩევნების შედეგებს ამტკიცებს ჯერ რაიონული სასამართლო, შემდეგ საოლქო, უზენაესი, საკონსტიტუციო და ბოლოს, **"თუ ყველა მათგანს გაუწყდება ნამუსის ძარღვი, არჩევნების შედეგების დამტკიცება, მე-6 მუხლის მიხედვით, პირდაპირ ევალება ევროპის სასამართლოს,"** – განმარტავს ნათელაშვილი.

შეთავაზებული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ავტომატურად იქმნება ხუთმაგი გაკონტროლების სისტემა, რომლის იმედი ნათელაშვილს უფრო მეტად აქვს, ვიდრე პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიისა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებლად წავა მოლაპარაკებებზე და შეეცდება არჩევნების შედეგების გაყალბებას.

საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურების მიზეზს ნათელაშვილი იმ ხელისუფლებას აბრალებს, რომელიც ხალხს არ აურჩევია. **"აძლევს ქართველი კაცი ხმას ერთ სუბიექტს, გადის ვილაც ოჩოპინტრე დეპუტატად ან პრეზიდენტად,"** - ამბობს ნათელაშვილი.

"ლეიბორისტების" წინადადება წელიწადნახევარია შესულია პარლამენტში და ნათელაშვილს აღელვებს ის, რომ პარლამენტი განიხილავს მხოლოდ იმ მუხლებს, რომელიც ხელსაყრელია. **"ამ საკითხზე კი დუმან,"** - აღშფოთებას ვერ მალავდა შრომის პარტიის ლიდერი. მისი აზრით, შეთავაზებული მოდელი ხელს არ აძლევს არც **"შევარდნაძის კარიდან გამოქცეულ ოპოზიციას და არც თავად შევარდნაძეს, რადგან ამ კანონის მიღების შემთხვევაში მათ წაერთმევათ ვაჭრობის საშუალება."**

საარჩევნო კომისიების პარტიული ნიშნით დაკომპლექტების შემთხვევაში ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ იქმნება **"მტაცებლების ხროვა".** იგი არ გამორიცხავს თუნდაც მისი წარმომადგენლის მიერ გაყალბების მცდელობას, როცა საუბარი იქნება გადამწყვეტ ხმებზე. ამიტომ ერთადერთ გამოსავალს ნათელაშვილი მხოლოდ ასეთი კანონის მიღებაში ხედავს.

ნათელაშვილის თქმით, მასთან შეხვედრისას ბრიტანეთის ელჩს ამ მოდელისათვის "ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი" უწოდებია. გუშინვე ეს მოდელი "ლეიბორისტებმა" გააცნეს გაერო-ს წარმომადგენლებს. მათ ნათელაშვილის მიერ შემუშავებული კანონპროექტი მოუწონებიათ. **"ამ მოდელის მიღების შემთხვევაში, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება გაყალბების ერა საქართველოში და დაიწყება შევარდნაძის სისტემის დემონტაჟი."** არსებული სისტემა კი, ნათელაშვილის მოსაზრებით, ისევ შევარდნაძემდე მიგვიყვანს. **"რა მნიშვნელობა აქვს, ამ მოდელის წყალობით ვილაცა შევარდნაძის გვარით მოვა, თუ ლობეგლეჯიაშვილის,"** - განსხვავებას ვერ ხედავს ნათელაშვილი.

ორი დღის წინ ნათელაშვილმა საქართველოს პარლამენტის წევრებს გაუგზავნა მიმართვა. **"მოგიწოდებთ, იფიქროთ საქართველოზე და არა იმაზე, თუ ვის რა შანსი ექნება კომისიებში არჩევნების გასაყალბებლად... რადგან თქვენივე დაგებულ მახეში არ გაებათ,"**- აცხადებს ნათელაშვილი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# "დილის მოციონი" პრეზიდენტისგან და უკანდახევა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გოგიაშვილი ისე მხნედ ვეღარ გამოიყურებოდა, როგორც - წინა დღეს.

პირველი გვერდიდან

გუშინ ფინანსთა მინისტრმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არც სახელმწიფო მინისტრთან დაპირისპირების ფაქტი დაადასტურა. ერთი კი თქვა, რომ **"დავა მიმდინარეობს ხოლმე და მიმდინარეობს მხოლოდ საქმეზე... პიროვნულად ჩვენ მშვენიერი ურთიერთობები გვაქვს."**

აქვე არ უარყო ის, რომ **"ხშირად ფინანსთა სამინისტროს მისამართით იმაზე მეტი მოთხოვნაა, ვიდრე ჩვენი საშუალებებია."** იგი იმასაც ამბობს, რომ უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ლეგიონისთვის საგამოძიებო ფუნქციის მინიჭება თუ გადაწყდა, ფინანსთა სამინისტრო უფრო დიდი პასუხისმგებლობის აღებას შეძლებს.

მინისტრმა განსაკუთრებით გამოყო პარლამენტის მიერ მიღებული რამდენიმე ცვლილება, მაგალითად, ცვლილებები ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებასთან დაკავშირებით. **"ამ ცვლილებებით პარლამენტი დასაბეგრ სფეროებს გვიკარგავს,"** – ამბობს იგი და განმარტავს, რომ ხელისუფლებაში მის პოზიციას არ მოუსმინეს: **"ნამდვილად არ მოუსმინეს ფინანსთა სამინისტროს პოზიციას. თხოვნაც კი იყო – მომისმინეთ-მეთქი, მაგრამ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირისგან იყო რეპლიკა – ტყუილად ნუ გამოხვალთო."** მიუხედავად იმისა, რომ გოგიაშვილს გუშინ ამ მაღალი თანამდებობის პირის ვინაობა არ დაუზუსტებია, ცხადია, რომ ფინანსთა მინისტრზე მაღალი თანამდებობის პირები საქართველოს ხელისუფლებაში სულ ორია.

სხვათა შორის, გუშინ გარკვეული უკმაყოფილება მირიან გოგიაშვილმა პრეზიდენტის პოზიციის გამოც გამოთქვა, რადგან ფინანსთა მინისტრის თხოვნის მიუხედავად, ქვეყნის მეთაურმა ამ კანონპროექტებს ვეტო არ დაადო.

ფინანსთა მინისტრმა ერთგვარად არაპოპულარული განცხადებაც გააკეთა - პურის გაძვირება და მსგავსი სოციალური თემებით დაშანტაჟება მას ვერ შეაცვლევინებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ კონტრაბანდის შემოსვლა ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს.

გოგიაშვილი მიწის გადასახადზე საურავების მოხსნის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან ეს წინადადება (რომელიც, სხვათა შორის, ისევ და ისევ სახელისუფლებო ბლოკს ეკუთვნის) **"წინასაარჩევნო პოპულიზმს ემსახურება და არა – ქვეყნის ინტერესებს."**

ცხადია, სწორედ მსგავსი განცხადებებია ერთ-ერთი მიზეზი იმ დაპირისპირებისა, რომელიც სამთავრობო გუნდში დღეს არსებობს და რომელთა ანალიზიც გუშინ შევთავაზეთ მკითხველს. თუმცა, გუშინ ცხადი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ისევ შიდასახელისუფლებო ძალების დაბალანსება გადაწყვიტა და, მასთან საუბრის შემდეგ, გოგიაშვილის პოზიციაც უკვე საკმაოდ შერბილებული გახლდათ.

მიუხედავად ხელისუფლების შიგნით არსებული დაძაბულობისა, ფაქტია, რომ სსფ-ს მისიის ვიზიტზე, რომელიც მომავალ კვირაში დაიწყება, საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა სერიოზულად არის დამოკიდებული.

გუშინ ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა თავი შეიკავა იმ სიტუაციის პროგნოზირებისგან, რაც სსფ-ს უარყოფით დასკვნას შეიძლება მოჰყვეს. მან განაცხადა, რომ ასეთი დასკვნის თავიდან ასაცილებლად მოხდა 85 მილიონი ლარის ხარჯის დაფინანსების შეჩერება და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მთავრობა (რომელიც ერთად აგებს პასუხს სსფ-ს რეკომენდაციების შესრულებაზე) სიტუაციის გამოსწორებას შეძლებს.

და ბოლოს: მირიან გოგიაშვილის გუშინდელი განცხადებით, იგი უახლოეს პერიოდში გადადგომას არ აპირებს.

# ლაშქრობა საკანონმდებლო ევერესტზე

პირველი გვერდიდან

დეპუტატთა ამ ჯგუფის (ტრადიციონალისტები, მაჟორიტარები, უმრავლესობის ნაწილი, ლეიბორისტი ფრიდონ ინჯია) ასეთი შეუპოვრობა პარლამენტის თავმჯდომარეს ძალიან აოცებს: **"ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დღეს ჩამოხვედით საქართველოში და აღმოაჩინეთ, რომ მინისტრთა კაბინეტი და სენატი არა გვაქვს. არსებული სისტემა რომ უვარგისია, ახლა გაიგეთ? კონსტიტუციის შეცვლა ასე ძალიან თუ გინდოდათ, სულ ცოტა, ექვსი თვის წინათ უნდა ამოგეღოთ ხმა, მაგრამ მაშინ ეს საკითხი ყოველი მხრიდან იბლოკებოდა. თუ რამე ვალდებულება გაქვთ აღებული, არ ვიცი, მაგრამ ის კი დაუშვებლად მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა ასეთი ფორსირებული წესით მიმდინარეობდეს."**

პარლამენტის თავმჯდომარეს არც იმის ხაზგასმა ავიწყდება, რომ ლეიბორისტების ინიციატივით პარლამენტში შემოსული დოკუმენტი ლაფსუსებით არის სავსე. **"200 ათას კაცს რომ აწერინებით ხელს, ოდნავ გამართული ტექსტი მაინც უნდა შეგედგინათ,"** - იურისტის კვალიფიკაციას უწუნებს სპიკერი შალვა ნათელაშვილსა და მის პარტიულ მეგობრებს.

იმაში, რომ ინტერფრაქციული ჯგუფი ურთულეს ამოცანას თავს გაართმევს და საკონსტიტუციო რეფორმას მაღალ დონეზე გაატარებს, პარლამენტში ბევრს ეპარება ეჭვი. **"ამდენი ჯეფერსონი სად გაგონილა? კონსტიტუციაზე მუშაობა შალამბერიძეებისა და იურისპრუდენციაში ჩაუხედავი ხალხის გადასაწყვეტი არ არის. რა უნდა გააკეთოს საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც ერთი კვალიფიციური იურისტიც კი არ ჰყავთ?"** - გუშინ მიკროფონიდან გაოცებასა და ბრაზს ერთდროულად "აფრქვევდა" დეპუტატი ელიზბარ ჯაველიძე.

საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია გადასინჯვას რომ საჭიროებს, ამაზე პარლამენტში არავინ დავობს, მაგრამ ძირითადი კანონის "რევიზორებს", რატომღაც, ავიწყდებათ, რომ კონსტიტუციური ცვლილებები ერთჯერადი ღონისძიება არ არის და მას ხანგრძლივი მუშაობა და საფუძვლიანი ექსპერტიზა სჭირდება. მითუმეტეს, შემოთავაზებული პროექტი, თავისი "სიუჟეტითა" და არქიტექტონიკით, გაცილებით რთულია, ვიდრე დღეს მოქმედი კონსტიტუცია.

ძირითადი კანონის გადასინჯვის მომხრეთა ახირებაში, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები სტახანოვური წესით იქნას მიღებული, აშკარად იკითხება პოლიტიკური ინტერესები. ამის შესახებ მინიშნებები გუშინდელ პლენარულ სხდომაზეც გაკეთდა.

**"კონსტიტუციის გადასინჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე კაცის ამბიცია და ზოგიერთი პარლამენტარის ინტერესი დაკმაყოფილდეს, დაუშვებელია. გარდა ამისა, ამ საკითხმა იმიტომაც წამოიწა, რომ საარჩევნოდ ქაოსი შეიქმნას",** - თავის არც თუ უსაფუძვლო ეჭვებს ხმამაღლა გამოთქვამს ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ აბრალავა.

რაც შეეხებათ საკონსტიტუციო ცვლილებების "აქტივისტებს", გუშინ მათი არგუმენტები ამით შემოიფარგლა: განხილვა დავიწყოთ და მერე ვნახოთ, რა იქნებაო.

განხილვა გუშინ მართლაც მოეწყო, მაგრამ, ვაი, ასეთ განხილვას - შესვენების შემდეგ გამომსვლელებს სანთლით ეძებდნენ, მაგრამ ვინაიდან ასეთი "მოხალისეები" სხდომათა დარბაზში არ აღმოჩნდნენ, საკითხი სამომავლოდ თავისთავად გადაიდო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ფორსირებული განხილვა ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. მაგალითად, გაუგებარია, თუ რატომ წამოტივტივდა ეს პროექტი უშუალოდ არჩევნების წინ - ის ხომ პარლამენტში წელიწადნახევრის წინათ შემოვიდა? ან, დღემდე რატომ არავის ახსოვდა მისი არსებობა? და თუ ახსოვდათ, იგივე ტრადიციონალისტები, ლეიბორისტები და მაჟორიტარები რატომ ადრე არ ითხოვდნენ მის განხილვას?

კითხვის ნიშნების წყება შეიძლება კიდევ განვავრცოთ: როდის ყოფილა, რომ შევარდნაძის ყურმოჭრილი უმრავლესობა პრეზიდენტს ეურჩებოდა? განა, თავად შევარდნაძემ არ ბრძანა სულ ცოტა ხნის წინათ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება ნაადრევიაო? ამ შემთხვევაში, საფუძვლიან არგუმენტად ვერ გამოდგება ის, რომ თითქოს, მაჟორიტარები პრეზიდენტზე განაწყენებულნი არიან და მასთან დაპირისპირებას აპირებენ. განაწყენების მიზეზად კი ის სახელდება, რომ მაჟორიტარებს ბიუჯეტზე ხმა მიაცემინეს და მერე "გადააგდეს", მათ რაიონებს შეპირებული ტრანსფერები აღარ გამოუყვეს და, ამის გამო, "ხალხის რჩეულებს" თავიანთ ამომრჩევლებთან აღარ მიესვლებათ.

ამ ვერსიაში შეიძლება ბევრი რამ სიმართლეა, მაგრამ არა ის, რომ მაჟორიტარებს შეუძლიათ, პრეზიდენტს აუმხედრდნენ - როგორი ნაწყენებიც უნდა იყვნენ შევარდნაძეზე, მის წინააღმდეგ წასვლას ვერასდროს გაბედავენ, რადგან ისინი ფიგურებად მხოლოდ და მხოლოდ შევარდნაძემ შექმნა და პრეზიდენტის მოწყალების გარეშე, მათი პოლიტიკური ღირებულება ნულის ტოლია.

მაინცადამაინც ახლა რატომ გაჩნდა ინტერესი საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ? - ყველაზე ხშირად პარლამენტში მაინც ეს კითხვა გაისმის. მასზე პასუხი კი, ვარაუდის დონეზე, დაახლოებით, ასე შეიძლება ჟღერდეს: შალვა ნათელაშვილის კონსტიტუციური "თხზულება" იყო სათადარიგო ვარიანტი, რომელიც ხელისუფლებას მხოლოდ უკიდურესად კრიტიკულ და კრიზისულ სიტუაციაში უნდა აემოქმედებინა. ამიტომ, დიდი ხნის განმავლობაში, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი დაკონსერვებული იყო. მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ არის - კრიზისულ-კრიტიკული მომენტი უკვე დადგა.

# შეთანხმებამდე შორია, არჩევნები კი ყურის ძირშია

## საარჩევნო კოდექსს მხოლოდ ვარიანტები ემატება

მერაბ მეტრეველი

გუშინ პარლამენტში, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, კონსულტაციები ორჯერ გაიმართა და ორჯერვე უშედეგოდ დასრულდა; თუ რა თქმა უნდა, შედეგად იმას არ ჩავთვლით, რომ ცესკო-ს დაკომპლექტების კიდევ ერთი, ახალი ვარიანტი გაჩნდა. ეს ვარიანტი "აღორძინებამ" წარმოადგინა და ის ხმალაძის ვარიანტის ოდნავ მოდერნიზებულ მოდელს წარმოადგენს. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: ცეესკო 17 წევრისგან კომპლექტდება. აქედან სამსამ წევრს წინა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიები ნიშნავენ (სმკ, "აღორძინება", "მრეწველები"), თითო-თითოს - **"ახალ პოლიტიკურ რეალობაში ამინდის შემქმნელი სხვა ხუთი პარტია"** (ეს გოგიტიძის ფორმულირებაა), ერთს – პრეზიდენტი, და თითოს – ავტონომიები.

ამ ვარიანტს ბოლომდე არც ერთი მხარე არ ეთანხმება, მაგრამ შედარებით მისაღები ის ოპოზიციისთვის აღმოჩნდა. პირველი შეხვედრის დროს (კონსულტაციები ბურჯანაძის კაბინეტში მიმდინარეობდა), ოპოზიციის წარმომადგენელმა ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, რომ ამ მოდელზე მუშაობა შეიძლება, ვიტალი ხაზარაძემ კი "ქოში უკუღმა ყარა" და შეხვედრა მიატოვა. კონსულტაციები შეწყდა, რადგან ხაზარაძის გარეშე მის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ბატონი ვიტალი "გაქცევის" მიზეზად, ჩვენთან საუბარში, მსჯელობის ძირითადი ხაზიდან აცდენას ასახელებს. **"დაიწყეს ანეკდოტების და ზღაპრების მოყოლა და მეც წამოვედი,"** – თქვა ხაზარაძემ.

მომდევნო კონსულტაციები საღამოს რვა საათისთვის დანიშნეს, თუმცა ხაზარაძე აღარ მოვიდა. სახელისუფლებო ბლოკიდან მხოლოდ ელგუჯა მეძმარიაშვილი გამოცხადდა, მაგრამ მან "ვიტალობა" ვერ გასწია და კონსულტაციები ისევ ჩაიშალა. ბურჯანაძის კაბინეტიდან გამოსული დეპუტატები ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ:

ჯემალ გოგიტიძე: **"რაღაც მოჯადოებულ წრეს ჰგავს ყველაფერი. ერთს შავი არ მოსწონს, მეორეს - თეთრი. ვფიქრობ, ყველა გაყალბებისთვის ემზადება. ობიექტური არჩევნების ჩატარება არც ერთ მხარეს არ სურს - არც ხელისუფლებას და არც ე.წ. ოპოზიციას. ვერ გავიგე, საერთოდ, რა უნდათ. თითქოს, ვასიკო მაღლაფერიძე იწონებს, მაგრამ მოლაპარაკებებში მონაწილეობას ხაზარაძე აღარ ღებულობს, მეძმარიაშვილი კი თავის დასკვნას არ აკეთებს".**

ალეკო შალამბერიძე: **"მათი ერთი ლიდერი ვიტალი ხაზარაძე არ გამოცხადდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას კონსენსუსის მიღწევა არ სურს და უნდა, ისევ ძველი ცესკო-თი ჩაატაროს არჩევნები".**

ვასილ მაღლაფერიძე: **"მე, პირადად, უკვე მომწყინდა ეს კონსულტაციები და ამის შემდეგ ასეთ შეხვედრებში, ჟურნალისტების გარეშე, მონაწილეობას არ მივიღებ. თქვენ უნდა დაესწროთ და ნახოთ ის მასკარადი, რასაც ესენი კონსულტაციებს უწოდებენ. სად არის ის ნანინანატრი კომპრომისები, რომელზეც ხელისუფლება საუბრობს? ერთი მოგასმენინათ, შიგნით რას ლაპარაკობენ! მათ კომპრომისი ასე წარმოუდგენიათ: ექვსი ჰყავდეს ხელისუფლებას, სხვას ყველას - თითო-თითო. მერე გვეუბნებიან: ჩვენ ექვსი გვყავს, თქვენ - შვიდი. ნახეთ, რა ჰუმანურები ვართო. ამას მსჯელობა არ ჰქვია, ეს სახალისო არითმეტიკაა."**

# ბლოკის სპიკერი კვლავ დესტაბილიზაციაზე საუბრობს



ირაკლი ლომთათიძის ფოტო

სახელისუფლებო ბლოკის სპიკერის შეშფოთებას არც ერთი ძალოვანი უწყება არ იზიარებს.

*სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია საზოგადოებას კვლავ რუსეთის მხრიდან დაგეგმილი პროვოკაციის თაობაზე აფრთხილებს და საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საგანგებო სხდომის მოწვევას სთავაზობს, სადაც ყველა იმ საფრთხის თაობაზე ისაუბრებენ, ქვეყანას რუსეთის სპეცსამსახურებისა და მათი ადგილობრივი ხელშემწყობებისაგან რომ ემუქრება.*

თამარ მჭედლიშვილი

ირინა სარიშვილი-ჭანტურია უკვე მეორედ აკეთებს განცხადებას რუსული საფრთხის თაობაზე. რამდენიმე კვირის წინ მან პირველად გაახმოვანა იმ პროვოკაციის გეგმა, რომელიც, მისი ინფორმაციით, რუსეთში იგეგმება და რომელიც საქართველოში კრიმინოგენული და პოლიტიკური ვითარების უკიდურესად დაძაბვასა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაუარესებას ისახავს მიზნად. გუშინდელ პრესკონფერენციაზე კი სარიშვილი-ჭანტურიამ კვლავ გაიმეორა, რომ რუსეთი საქართველოში არეულობას გეგმავს და მეზობელმა ქვეყანამ ამ მიზნით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა.

ასეთი დასკვნის საფუძველს სარიშვილი-ჭანტურიას ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალებით გავრცელებული ინფორმაციები აძლევს, რომლის თანახმად, საქართველო-რუსეთის საზღვარი რამდენიმე ჩეჩენმა ბოევიკმა გადმოკვეთა და რუსმა სამხედროებმა პანკისის ხეობა დაბომბეს (როგორც ირკვევა, სააგენტომ ეს ინფორმაციები ძალოვანთა განცხადებებზე დაყრდნობით გაავრცელა). ირინა სარიშვილი-ჭანტურია აცხადებს, რომ ინტერნეტით ეს ცნობა უკვე გაავრცელა რუსეთის საინფორმაციო საშუალებამ.

**"რუსეთის მხრიდან მსგავსი ინფორმაციების გავრცელება, შიდა არეულობასთან და კრიმინოგენული ვითარების დაძაბვასთან ერთად, მართვადი ქაოსის შექმნას ემსახურება და არ არის გამორიცხული, ეს ყველაფერი "შემთხვევით" ემთხვეოდეს აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთში ჩიხში შესულ მოლაპარაკებებს, ანუ რუსეთის მხრიდან ხდებოდეს ორი ფრონტის გახსნა, რათა საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება გაფანტოს,"** - ასეთი დასკვნა გამოაქვს სახელისუფლებო ბლოკის ლიდერს, რომელსაც მოვლენების ამდაგვარი განვითარება აფიქრებინებს, რომ რუსული სცენარის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი ზოგიერთი პოლიტიკოსი და უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონის რამდენიმე წარმომადგენელი.

სხვათა შორის, პირველად ეს ეჭვი სარიშვილი-ჭანტურიამ რამდენიმე კვირის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოთქვა, თუმცა მაშინ არათუ მოღალატე ხელისუფალთა გვარები, მათი საქმიანობის სფეროც კი არ დაუსახელებია. გუშინ კი ამ სფეროების კონტურები აშკარად გამოიკვეთა და ეს ძალოვანი უწყებებია. **"საინფორმაციო სააგენტო ამ ინფორმაციას ძალოვან სტრუქტურებზე დაყრდნობით აკეთებს. შესაძლოა, ეს არც იყოს მართალი, მაგრამ, ეს თუ ასეა, მაშინ აუცილებლად დასადგენია, ვინ არის ინფორმაციის წყარო და თუ იგი რეალურად არსებობს, მაშინ განმტკიცდება ვერსია, რომ სპეცოპერაციაში მართლაც არიან ჩართული ჩინოვნიკები მაღალი სახელისუფლებო სტრუქტურებიდან,"** - ამბობს სარიშვილი-ჭანტურია და არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ეს ინფორმაცია რუსების მიერაც იყოს გავრცელებული, **"რათა სამომავლოდ იგი სარჩულად დაუდონ თავისსავე გარკვეულ ქმედებებს."**

სხვათა შორის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გუშინ ძალოვანი უწყებები არაკოორდინირებულ მოქმედებებშიც დაადანაშაულა. მან განსაკუთრებით სასაზღვრო დეპარტამენტსა და თავდაცვის სამინისტროს შორის შეუთანხმებელ ქმედებაზე გაამახვილა ყურადღება, რამაც **"შესაძლებელია, სახელმწიფო საზღვარზე შეიარაღებული ფორმირებების გადმოსვლის პრობლემები შექმნას."**

ამ ფონზე სარიშვილი-ჭანტურია მიზანშეწონილად მიიჩნევს მთავრობის საგანგებო სხდომის გამართვას, რადგან, მისი თქმით, სამხედრო აგრესიასთან ერთად, შესაძლოა, რუსულმა სპეცსამსახურმა სხვა ხერხებიც გამოიყენოს – პენსიებით დაწყებული - ენერგეტიკული პრობლემებით დამთავრებული.

რაც შეეხება ოპოზიციას: სარიშვილი-ჭანტურია მათ გაერთიანებისაკენ მოუწოდებს, რადგან ცალ-ცალკე მოქმედებების დროს მათ, შესაძლოა, ნებსით თუ უნებლიედ, მტრის წისქვილზე დაასხან წყალი.

გუშინდელ პრესკონფერენციას საზღვრის დაცვის დეპარტამენტი უკვე გამოეხმაურა. როგორც დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა შალვა ლონდარიძემ "24 საათს" განუცხადა, მათ გადაამოწმეს ამ საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული ცნობა, რომელიც არასწორი აღმოჩნდა. რაც შეეხება პირველწყაროს, ლონდარიძის თქმით, იგი "ჩეჩნური წარმოშობისაა" და არც ერთ ქართველ ძალოვანს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია. საქართველო-რუსეთის საზღვარზე, პრესმდივნის ინფორმაციით, ვითარება სტაბილურია, თუმცა ეს მათ დამშვიდების საფუძველს ნამდვილად არ აძლევს.

დეპარტამენტი არ ეთანხმება ძალოვანი უწყებების საქმიანობის სარიშვილი-ჭანტურიასეულ შეფასებას. პრესმდივანი აცხადებს, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა უწყებებთან, მათ შორის - თავდაცვის სამინისტროსთანაც. რაც შეეხება ქართველ მესაზღვრეთა რუს კოლეგებს, მათი განცხადებით, ქართულმა მხარემ რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს ჩეჩნურ წყაროებს, რადგან, როგორც წესი, **"ჩეჩნური წყაროები ნაკლებად საიმედოა".**

## სოციოლოგიური გამოკითხვა



მონიტორინგი

# მაისში საქართველოს საგარეო ვალები კიდევ გაიზარდა

1 ივნისისათვის სახელმწიფო და სახელმწიფოს გარანტიით აღებული ვალი შეადგენდა 1.82 მილიარდ აშშ დოლარს ანუ 3.90 მილიარდ ლარს. აქედან სახელმწიფო საგარეო ვალი 1.70 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები კი - 91.9 მილიონი აშშ დოლარი.

მაისში სახელმწიფო და სახელმწიფოს გარანტიით აღებული ვალი გაიზარდა 42.8 მილიონი აშშ დოლარით, ანუ თითქმის 100 მილიონი ლარით. კერძოდ: ავსტრიის მიმართ 6.99 მილიონი აშშ დოლარით, ევროს კურსის განმტკიცების გამო; ჩინეთის - 181 ათასი აშშ დოლარით, შვეიცარული ფრანკის კურსის განმტკიცების გამო; გერმანიის - 1.66 მილიონი აშშ დოლარით, ევროს კურსის განმტკიცების გამო; იაპონიის - 1.67 მილიონი აშშ დოლარით, შეთანხმებული თანხის დამატებით ათვისებისა და იაპონური იენის კურსის განმტკიცების გამო. ასევე, გაიზარდა ვალი კუვეიტის მიმართ 148 ათასი აშშ დოლარით, შეთანხმებული თანხის დამატებით ათვისებისა და კუვეიტური დინარის კურსის განმტკიცების გამო.

519 მილიონ SDR-მდე (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობითი ერთეული) გაიზარდა შეთანხმებული თანხა მსოფლიო ბანკთან. გაიზარდა, აგრეთვე, ვალი მსოფლიო ბანკის მიმართ 15.3 მილიონი აშშ დოლარით შეთანხმებული თანხის დამატებით ათვისებისა და SDR-ის კურსის განმტკიცების გამო. ამასთან, 1.2 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა მსოფლიო ბანკის პროექტის მოსამზადებელი ავანსის შეთანხმებული თანხა.

გაიზარდა ვალი: ევროკავშირის მიმართ - 8.2 მილიონი აშშ დოლარით, ევროს კურსის განმტკიცების გამო; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიმართ - 124 ათასი აშშ დოლარით, SDR-ის კურსის განმტკიცების გამო; საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ - 7.85 მილიონი აშშ დოლარით, SDR-ის კურსის განმტკიცების გამო; ასევე გაიზარდა სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალი გერმანიის მიმართ - 4.07 მილიონი აშშ დოლარით, ევროს კურსის განმტკიცების გამო.

მაისში სახელმწიფომ დაფარა ენგურჰესისა და საქენერგოს გარანტირებული ვალდებულებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ. შესაბამისად, შემცირდა სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალი 2.43 მილიონი აშშ დოლარით.

ამას გარდა, მაისში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაირიცხა კრედიტების მომსახურების თანხები 917 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ე.წ თურქმენული პროგრამით დამატებით ჩაითვალა 3.13 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თურქმენეთის კრედიტის მომსახურების პროცენტი.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

სახელმწიფო საგარეო ვალის მდგომარეობა

2003 წლის 1 ივნისისათვის

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| [illegible] | | | | | | 1,695,173,541.0 |
| [illegible] | | | | | | 778,038,725.8 |
| [illegible] | USD | 386,567,000.0 | 386,567,000.0 | 95,821,110.0 | 297,745,890.0 | 297,745,890.0 |
| [illegible] | USD | 179,266,261.00 | 179,266,261.0 | 22,408,290.0 | 156,858,094.0 | 156,858,094.0 |
| [illegible] | USD | 19,593,000.0 | 19,593,000.0 | | 19,593,000.0 | 19,593,000.0 |
| [illegible] | USD | 1,002,000.0 | 1,002,000.0 | 50,300.0 | 951,900.0 | 951,900.0 |
| [illegible] | USD | 915,029.0 | 915,029.0 | 228,757.0 | 686,272.0 | 686,272.0 |
| [illegible] | USD | 27,774,000.0 | 27,774,000.0 | | 27,774,000.0 | 27,774,000.0 |
| [illegible] | USD | 16,189,577.0 | 16,189,577.0 | | 16,189,577.0 | 16,189,577.0 |
| [illegible] | EUR | 80,932,487.0 | 80,932,487.0 | 2,582,521.0 | 78,359,962.0 | 92,097,692.0 |
| [illegible] | USD | 54,337,683.0 | 54,337,683.0 | | 54,337,683.0 | 54,337,683.0 |
| [illegible] | USD | 12,826,129.0 | 12,826,129.0 | | 12,826,129.0 | 12,826,129.0 |
| [illegible] | SFR | 5,416,600.0 | 5,416,600.0 | 1,597,884.0 | 3,821,[illegible] | 2,964,114.0 |
| [illegible] | USD | 40,000,000.0 | 39,649,993.0 | | 39,649,993.0 | 39,649,993.0 |
| [illegible] | EUR | 70,598,280.0 | 18,577,068.0 | | 18,577,068.0 | 22,005,116.0 |
| [illegible] | JPY | 3,132,000,000.0 | 3,030,908,333.0 | | 3,030,908,333.0 | 25,738,279.0 |
| [illegible] | KWD | 3,000,000.0 | 2,607,333.0 | | 2,607,333.0 | 8,664,091.0 |
| [illegible] | | | | | | 916,153,816.0 |
| [illegible] | SDR | 519,000,000.0 | 372,882,888.0 | | 372,882,888.0 | 527,788,836.0 |
| [illegible] | USD | 1,200,000.0 | 1,200,000.0 | | 1,200,000.0 | 1,200,000.0 |
| [illegible] | EUR | 120,000,000.0 | 100,000,000.0 | 8,000,000.0 | 92,000,000.0 | 109,[illegible] |
| [illegible] | SDR | 10,000,000.0 | 3,398,116.0 | | 3,398,116.0 | 4,811,382.0 |
| [illegible] | SDR | 325,550,000.0 | 277,850,000.0 | 62,457,508.0 | 214,612,580.0 | 303,555,555.0 |
| [illegible] | | | | | | 91,934,516.0 |
| [illegible] | | | | | | 54,113,884.0 |
| [illegible] | EUR | 44,816,200.0 | 43,638,765.0 | | 43,638,765.0 | 54,113,884.0 |
| [illegible] | | | | | | 37,820,632.0 |
| [illegible] | USD | 99,850,000.0 | 65,764,385.0 | 27,943,455.0 | 37,820,632.0 | 37,820,632.0 |
| | | | | | | |
| [illegible] | | | | | | |
| | | | | | | |
| [illegible] | | 2,502,127,391.0 | 2,076,154,027.0 | 260,582,542.0 | 1,815,571,485.0 | 1,817,874,485.0 |
| [illegible] | | 5,711,310,081.0 | 4,462,276,723.0 | 559,420,210.0 | 3,903,698,113.0 | 3,900,489,513.0 |

## მთავრობის "აკადემიური" თაღლითობა

*მთავრობის მიერ კარგად აპრობირებულ მეთოდებს, რომლებსაც ის ბიუჯეტის შესასრულებლად ექსტრემალურ სიტუაციებში ხშირად იყენებს, ხელფასების სოცანარიცხების გარეშე გაცემის სახით, ახალი მეთოდი შეემატა. "მთავრობამ ფორმალურად დაფარა მეცნიერებათა აკადემიის სახელფასო დავალიანება 2.35 მილიონი ლარის ოდენობით. ეს არის ამ სისტემის ოთხი (?!) თვის ხელფასი. სინამდვილეში მთავრობამ მეცნიერებს დაუფარა ერთი თვის სახელფასო დავალიანება და სამი თვის ხელფასების თანხა ბიუჯეტის შესასრულებლად გამოიყენა", - ვკითხულობთ ხაზინის ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებულ ექსპერტთა დასკვნაში. თავად მეცნიერ-მუშაკებიც ამბობენ, რომ სახელმწიფომ მათ მხოლოდ ერთი თვის დავალიანება დაუფარა. ხაზინა და ფინანსთა სამინისტრო კი მეცნიერმუშაკების სახელფასო დავალიანებების დაფარვაზე პასუხისმგებლობას თავს არიდებენ და ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს.*

**ვასიკო გიგოლაშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე** - მე ამაზე ვერაფერს ვერ გეტყვით, ხაზინას უნდა ჰკითხოთ. ეს საკითხი ხაზინას ეხება და არა ფინანსთა სამინისტროს. ჩემი ინფორმაციით, ხაზინას ამ კვირაში უნდა დაეწყო მათი მიმდინარე ხელფასების დარიგებაც და დავალიანების დაფარვაც, თუმცა, რამდენადაც ვიცი, დავალიანების დაფარვა გარკვეული დროით გადაიდო. დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. მაგრამ ხაზინას ამ დავალიანების დაფარვა მაინც მოუწევს.

**დავით რამიშვილი, ხაზინის უფროსი** – ხაზინას მხოლოდ მიმდინარე ხელფასების გაცემა ევალება, დავალიანებების დაფარვა ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა. მიმდინარე ხელფასებზე გეტყვით, რომ მაისი დახურულია. რაც შეეხება დავალიანებებს, ხაზინა ამ თანხის გაცემას მხოლოდ ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის შემდეგ იწყებს. რამდენადაც მახსოვს, რაღაც თანხა გავეცით, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, როდის და რამდენი.

**ნოდარ ამაღლობელი, პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე** - ყველაფერი რაც დაგეგმილი იყო, სრულდება და აკადემიას კაპიკ-კაპიკ აძლევენ ყველაფერს.

**ნოდარ ლომოური, აკადემიკოსი, ხელოვნების ისტორიის მუზეუმის დირექტორი** - რაში და როგორ გამოიყენეს, არ ვიცი. მაგრამ, მე დღეს მივიღე ერთი თვის მიმდინარე ხელფასი და გრანტი, სხვა არაფერი. ხოლო რაც შეეხება დავალიანებას, ამაზე ლაპარაკიც კი აღარ არის. ზუსტად აღარ მახსოვს თარიღი, მაგრამ რამდენიმე თვის წინ, მიმდინარე ხელფასთან ერთად, ერთი თვის დავალიანებაც მოგვცეს. გვითხრეს, დანარჩენსაც მოგცემთო, მაგრამ ასეთი შემთხვევა მეტი აღარ განმეორებულა.

**მარენ კეკელია, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე** - ამ რამდენიმე თვის წინ მხოლოდ ერთი თვის დავალიანება დაფარეს. დანარჩენი დავალიანება არ გადაუხდიათ. მგონი, რვა თუ შვიდი თვის ხელფასი და 13 თვის გრანტია. დავალიანება კი არა და, მიმდინარე ხელფასსაც გვიგვიანებენ.

**შოთა ნადირაშვილი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი** - რამდენიმე თვის წინ სახელმწიფომ გადაგვიხადა მხოლოდ ერთი თვის ხელფასისა და გრანტის დავალიანება. თარიღი ზუსტად არ მახსოვს. დანარჩენი თვეების დავალიანებაზე არაფერსაც არ ამბობენ. რაც შეეხება მიმდინარე ხელფასს, დაგვიანებით ვიღებთ. ხელფასის დავალიანების გარდა, სახელმწიფოს კიდევ გრანტების 14 თვის დავალიანება აქვს.

*24 საათი*

## ელექტროენერგიის "ტექნიკური" დატაცება

სემეკმა, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ტექნიკური დანაკარგების მასშტაბების დადგენის მიზნით, აღრიცხვიანობის კვანძები შეამოწმა. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ენერგოსისტემაში ტექნიკური დანაკარგების მასშტაბები საგანგაშოდ გაიზარდა.

შემოწმებამ ცხადყო, რომ სისტემაში 400 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია უკვალოდ "ორთქლდება". ქსელში ელექტროენერგიის ტექნიკური დანაკარგების მაქსიმალურ ზღვრად სემეკის მიერ 9,5 პროცენტიანი განაკვეთია დადგენილი. შემოწმების შედეგად კი ამ მაჩვენებელმა 16,17 პროცენტი შეადგინა.

სემეკმა შემოწმების მასალები პროკურატურას გადასცა. როგორც მარეგულირებელ კომისიაში ვარაუდობენ, ტექნიკური დანაკარგების მკვეთრი ზრდა ელექტროენერგიის დატაცების ბრალია და არა ქსელის გაუმართაობის.

*24 საათი*

## „თბილგაზი" დროს ითხოვს

"თბილგაზმა" და მერიამ მაისის დავალიანების დასაფარავად "იტერას" 30 ივნისამდე სთხოვეს დრო. საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თამაზ პატარიძე ვარაუდობს, რომ "იტერას" მოსკოვის ოფისი ამ თხოვნას არ დათანხმდება. "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ და მერიის ენერგეტიკული სამსახურის უფროსმა თემურ ჭინჭარაულმა "იტერას" წერილი გაუგზავნეს, სადაც აცხადებენ, რომ 30 ივნისამდე დავალიანებას ცენტრალური ბიუჯეტის მეშვეობით დაფარავენ. "თბილგაზს" მაისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური - 888 ათასი დოლარი - 15 ივნისამდე უნდა დაეფარა.

**ინტერ-პრესი**

# ნავთობპროდუქტების კონტრაბანდით ბიუჯეტს 200 მილიონი დოლარი აკლდება

პირველი გვერდიდან

მოიწონა აშშ-ს სავაჭრო პალატის მიერ მომზადებული დოკუმენტი და ნავთობპროდუქტების კონტრაბანდასთან ბრძოლის მზადყოფნაც გამოთქვა. "ნავთობპროდუქტების სექტორიდან შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესების პროექტში" მოცემულია ნავთობპროდუქტების მოხმარების რაოდენობრივი მაჩვენებლები PAG-ის ექსპერტთა გათვლების მიხედვით. ამ მონაცემების თანახმად, საქართველოში ყოველწლიურად 600 ათას ტონა ბენზინს, 360 ათას დიზელის საწვავს და 100 ათას ტონა თხევად გაზს მოიხმარენ. 2002 წელს სამივე სახის პროდუქტიდან საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში 46 მილიონი დოლარი შევიდა, მაშინ, როცა ექსპერტთა გათვლებით ეს რიცხვი მინიმუმ 140 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო მაქსიმუმ 202 მილიონ აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს. პროექტში საუბარია აგრეთვე კონტრაბანდის, აღურიცხავი მიწოდებისა და გადასახადის თავიდან არიდების ძირითადი მეთოდების შესახებაც. ექსპერტთა შეფასებით, კლასიკური კონტრაბანდა, რომელიც კონფლიქტური ზონებიდან და დაუცველი საზღვრებიდან შემოდის, საშუალოდ ყოველ თვეში 12 ათას ტონას შეადგენს. მნიშვნელოვანია აგრეთვე, ე.წ. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების არალეგალური ფუნქციონირება, ნახევარფაბრიკატების ფალსიფიკაციის გზით, უხარისხო, აღურიცხავი პროდუქციის მიღება და



*"მცირე ქარხნები კონტრაბანდული დიზელის სერიოზულ წყაროს წარმოადგენს".*

რეალიზაცია. საბაჟო რეჟიმებით მანიპულირების შედეგად კი საქართველოში ყოველთვიურად 27 ათასი ტონა დაუბეგრავი ნავთობპროდუქტი შემოდის. აშშ-ს სავაჭრო პალატა აგრეთვე ნავთობპროდუქტების სტანდარტებზე საუბრობს. **"ხარისხისა და სტანდარტების თვალსაზრისით სრული ქაოსია – არ არსებობს დახვეწილი კანონი სტანდარტების შესახებ, რის გამოც მოქმედებაშია 1977 წლის, საბჭოთა კავშირის დროინდელი სტანდარტის ნორმები,"** – ნათქვამია დოკუმენტში. ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს ასევე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების რაოდენობის სწრაფ ზრდასაც. მათი მონაცემებით, ბოლო წლებში მცირე ქარხნების რაოდენობა გაათმაგდა და 24-ს მიაღწია. **"მცირე გადამამუშავებელი ქარხნები კონტრაბანდული დიზელის სერიოზულ წყაროს წარმოადგენს,"** – აცხადებენ ექსპერტები. რაც შეეხება ნავთობროდუქტების იმპორტიორებს, საქართველოში 140-ზე მეტი ასეთი ფირმაა რეგისტრირებული. თუმცა, აშშ-ს სავაჭრო პალატა აცხადებს, რომ მათი რიცხვი ხელოვნურადაა გაზრდილი ყალბი კომპანიებით, რეალურად კი, მხოლოდ 25-30 კომპანია ეწევა იმპორტს.

აშშ-ს სავაჭრო პალატის მთავარი რეკომენდაცია "ნავთობპროდუქტების სექტორის სამეთვალყურეო კომისიის შექმნას ეხება, რომელსაც პრეზიდენტი შევარდნაძე უხელმძღვანელებს. კომისიაში აგრეთვე შევლენ მთავრობის პირველი პირები, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, მისი მოადგილე გიორგი ისაკაძე, ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი და სხვები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები. კომისია შეიმუშავებს ნავთობპროდუქტების სექტორის განვითარების სტრატეგიას და რეკომენდაციებს, განახორციელებს ბაზრის მონიტორინგს.

**"თუ ამ სექტორში მიიღწევა მაქსიმალური ლეგალიზაცია, ეს საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ერთ მესამედს უზრუნველყოფს,"** – აცხადებს აშშ-ს სავაჭრო პალატის წარმომადგენელი ვანო ნაკაიძე.

# "მთავრობას უფლება არ აქვს, გულგრილად უცქიროს ტყის განაგებას"

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოში "სატყეო სექტორის განვითარების პროექტის" განხორციელება დაიწყო. შვიდი წლის განმავლობაში მოხდება ქვეყნის ხუთ მაღალმთიან და თბილისის გარშემო მდებარე ცხრა რაიონში ტყის საფარის დაგეგმვა, აღდგენა, გაშენება და შემდგომი მართვის ორგანიზება. პროექტის ავტორების განცხადებით, აღნიშნულ რეგიონებს სტრატეგიული მნიშვნელობისა და ტყის სავალალო მდგომარეობის გათვალისწინებით დაემატა ბორჯომის რაიონი. პროექტის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკმა 15,7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოყო, რომელიც, საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სტანდარტების შესაბამისად, 40 წლის განმავლობაში 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდითა და 0,75-პროცენტიანი მომსახურების გადასახადით უნდა დაიფაროს, ხოლო საქართველოს მთავრობამ თანადაფინანსების სახით კიდევ ხუთი მილიონი დოლარი უნდა გაიღოს.

**"არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების ფონზე საქართველოს მთავრობას უფლება არა აქვს ქვეყანაში არსებული სატყეო მეურნეობა მხოლოდ ტურიზმის მიზნით გამოიყენოს და გულგრილად უცქიროს მის გაჩანაგებას,"** - განაცხადა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა და პროექტის კოორდინატორმა ანდრეი კუშლინმა. მისი თქმით, პროექტის მიზანია, მაქსიმალურად გაიზარდოს სატყეო სექტორის წილი საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში ტყის მართვის ახალი სისტემის დანერგვის გზით, რომელიც სამომავლოდ, სხვა კომპონენტებთან ერთად, ტყის გარკვეული ფართობის კერძო საკუთრებაში გადაცემასაც გულისხმობს. თუმცა, პროექტით გათვალისწინებული ეს დებულება ბევრმა ექსპერტმა დაიწუნა.

აღსანიშნავია, რომ ტყეს საქართველოს ტერიტორიის 40 პროცენტი უკავია. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მერაბ დვალის თქმით, დეპარტამენტს ტყეების საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მართვის მცირე გამოცდილება აქვს.

ანდრეი კუშლინი არ გამორიცხავს, რომ პროექტის მიმდინარეობისას, რომლის საერთო ღირებულება ისედაც სოლიდურ თანხას - 21 მილიონ აშშ დოლარს აღწევს, მსოფლიო ბანკს სხვა დონორი ორგანიზაციებიც შემოუერთდებიან და სახსრები კიდევ უფრო გაიზრდება.

# „აირზენა" მილანშიც იფრენს

სოფიკო ოხანაშვილი

დღეს მილანში, "მალპენსას" საერთაშორისო აეროპორტში, პირველად დაეშვება ქართული ავიაკომპანიის თვითმფრინავი.

საქართველოში იტალიის სრულუფლებიანი ელჩის ფაბრიციო რომანოს რეზიდენციაში გუშინ არაოფიციალურ ვითარებაში ავიაკომპანია "აირზენას" ახალი მიმართულების - თბილისი-მილანი-თბილისი - პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც "აირზენას" ვიცე-პრეზიდენტი მაკა ასათიანი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი ესწრებოდნენ. ფაბრიციო რომანოს შეფასებით, ეს რეისი ხელს შეუწყობს საქართველო-იტალიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.



*ახალი რეისის "იტალიურ" პრეზენტაციაზე.*

თბილისი-მილანი-თბილისის მიმართულებით "აირზენა" კვირაში ერთ რეისს პარასკევობით შეასრულებს. ბილეთის ფასი ორივე მიმართულებით 600 ევროა. თბილისი-მილანი-თბილისის რეისის მაღალი ფასი "აირზენას" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა თეა გადაბაძემ ევროს მაღალი კურსით და ე.წ. ზაფხულის სეზონით ახსნა. "აირზენას" ხელმძღვანელობის განცხადებით, მიმართულების ათვისებასთან ერთად ავიაკომპანია სიხშირის გაზრდასა და ფასის დაკლებაზეც იფიქრებს. მაკა ასათიანის თქმით, ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება "მალპენსას" საერთაშორისო აეროპორტის წარმომადგენლობასთან, რომ ქართულმა ავიაკომპანიამ მილანის აეროპორტის მეშვეობით სხვადასხვა კონტინენტის მიმართულებითაც აწარმოოს ფრენა.

# ქართული რკინიგზა საერთაშორისო ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის

სოფიკო ოხანაშვილი

დღეს თბილისში დასრულდება რკინიგზების თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OSShD) წევრი ქვეყნების მინისტრთა თათბირის 31-ე სესია, რომელიც 17 ივნისს გაიხსნა. სესია, რომელსაც ევროპისა და აზიის 22 ქვეყნის რკინიგზელები ესწრებოდნენ, სარკინიგზო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასა და საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეწყობას, ღონისძიებათა პროგრამის შემუშავებისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად მუშაობას, ჩქაროსნული და მაღალჩქაროსნული მოძრაობის პროგრამების შექმნას და ამ სფეროში არსებული პრობლემების დარეგულირებას ისახავდა მიზნად.

17-18 ივნისს შეხვედრა დახურული ფორმატით მიმდინარეობდა. სესია ოფიციალურად გუშინ გაიხსნა. სესიაზე სამეცნიერო კვლევითი სახის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სპეციალური ფონდის შექმნაზე, სამომავლო გეგმებზე და ორგანიზაციის წევრთა საწევრო გადასახადების დავალიანებაზე, საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციათა თანამშრომლობის პერსპექტივაზე და საფრთხეშემცველი ტვირთების გადაზიდვის წესების აქტუალიზაციაზე იმსჯელეს. სესიამ მხარი დაუჭირა წინადადებას გადაზიდვების საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შესახებ. შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელი აკაკი ჩხაიძე სესიის მსვლელობით კმაყოფილია. მისი თქმით, შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებები საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში არსებულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. რკინიგზების თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციაში (OSShD) საქართველო 1993 წელს გაერთიანდა.

გადაზიდვების საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ჰანს რუდოლფ ისლიკერის შეფასებით, საქართველოსთვის ჯერ ნაადრევია ამ ორგანიზაციაში გაერთიანება და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი.

32-ე სესიას მომავალ წელს მოლდოვა უმასპინძლებს.

სესიაზე სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი არ განხილულა. რუსეთის დელეგაციამ ამ თემაზე საუბარს თავი აარიდა. რუსეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ ჰასან ზიაბიროვმა ჟურნალისტებთან საუბარზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, როცა ქართული მხრიდან (ტრანსპორტისა და კომუნიკაციების თანამშრომლებისგან) გარანტია მიიღო, რომ აფხაზეთის საკითხით მასმედია არ დაინტერესდებოდა, ჟურნალისტებს კი "სთხოვეს": "სიტუაცია არ გაამწვავოთ და რუსეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილეს მხოლოდ სესიის შესახებ დაელაპარაკეთ, აფხაზეთზე არაფერი ჰკითხოთო".

რუსეთის დელეგაციის დუმილის ფონზე ჟურნალისტებთან ურთიერთობისას ქართული მხარე აქტიურობდა. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მერაბ ადეიშვილის განცხადებით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ტექნიკური მხარე პრობლემას არ წარმოადგენს. მისივე თქმით, ამისთვის უკვე თანხებიც კი არსებობს. მაგრამ, ადეიშვილი აცხადებს, რომ ქართული მხარე მოლაპარაკებებს იქამდე არ დაიწყებს, სანამ ლტოლვილების დაბრუნების საკითხი არ გადაწყდება. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის თქმით, ქართული მხარის პოზიცია რუსეთისთვის ცნობილია.

აკაკი ჩხაიძის განცხადებითაც, სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღსადგენად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ნებას, თუმცა საქართველოს მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვის შემთხვევაშიც კი, მიმოსვლის აღდგენას წელიწადნახევარი მაინც დასჭირდება.

# "დიდი ხუთეულის" აუდიტორები "ფოთის პორტის", "რკინიგზისა" და "მადნეულისაკენ" მოიწევენ

*გუშინ შეიკრიბა სატენდერო კომისია, რომელმაც სახელმწიფო შპს-ების: "ფოთის პორტის", "საქართველოს რკინიგზისა" და "მადნეულის" ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად აუდიტორი კომპანია უნდა გამოავლინოს. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობას ამ ორგანიზაციებში აუდიტის ჩატარებას, უკვე დიდი ხანია, სთხოვენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. ეს საკითხი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის დატოვებული ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაციაა.*

მაია ურუშაძე

სატენდერო კომისიამ სამ მსხვილ სახელმწიფო კომპანიასა და მათ ფილიალებსა თუ შვილობილ კომპანიებში აუდიტის ჩატარების უფლების მისაღებად შეტანილი აუდიტორთა განაცხადები ორშაბათს განიხილა. სულ შვიდი კომპანიის: ქართული შპს "ეგრის აუდიტის", შპს საკონსულტაციო აუდიტორული ფირმა "გურამის", შპს "საქართველოს აუდიტორული კორპორაციის", შპს "აუდიტ-კომპანის" და შპს "ერნსტ ენდ იანგ აუდიტისა" და მსოფლიო აუდიტორთა "დიდი ხუთეულის" წევრის, "დელოიტ ენდ ტუშის" ტექნიკური მონაცემების პაკეტები გაიხსნა.

სხდომის დამთავრებისთანავე გაირკვა, რომ კიდევ ორი კომპანიის განაცხადს მისამართი არეული ჰქონდა და შეცდომით ფინანსთა სამინისტროს სხვა დეპარტამენტში იყო გადაგზავნილი. ეს ორი კომპანია ასევე მსოფლიო აუდიტორთა "დიდი ხუთეულის" წევრი "პრაისუოთერსჰაუს კუპერსი" და ფრანგული "გრანტ სორნტონ ამიოტი" აღმოჩნდნენ.

**"ტექნიკური შეცდომა დაუშვა ფინანსთა სამინისტროს კანცელარიამ და ამ ორი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტები სხვა დეპარტამენტს გადასცა. თუმცა, შეცდომა გამოსწორდა და ამ დოკუმენტაციამ ჩვენთან სატენდერო კომისიის სხდომის დასრულებისთანავე მოაღწია. ჩვენ მაშინვე ყველა წევრს შევატყობინეთ, განმეორებით შევიკრიბეთ და ორივე კომპანიის ტექნიკური წინადადებები გავხსენით,"** – აცნობა "24 საათს" ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ჟვანიამ. მისი თქმით, "გრანტ სორნტენ ამიოტმა" აუდიტორის ლიცენზია ფრანგულ ენაზე წარმოადგინა, მაგრამ სატენდერო კომისიამ უკვე მოსთხოვა კომპანიას ლიცენზიის ინგლისურ ენაზე თარგმნა და თარგმანის წარმოდგენისთანავე სატენდერო დოკუმენტაციას საჯაროდ ჩაანაცვლებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოტანილი ცხრა განაცხადიდან რვა – სამივე საწარმოს აუდიტს გულისხმობს, "ერნსტ ენდ იანგი" კი – მხოლოდ "საქართველოს რკინიგზისა" და "ფოთის პორტის" აუდიტის უფლების მოპოვებას ცდილობს.

სატენდერო კომისია სახელმწიფო კომპანიების მომავალ აუდიტორთა ტექნიკურ მონაცემებს 18 დღეში შეისწავლის, რის შემდეგაც კომპანიების მიერ წარმოდგენილი ფინანსური წინადადებების პაკეტები გაიხსნება. ამის შემდეგ კი, იმ აუდიტორის ვინაობაც გახდება ცნობილი, რომელმაც ქართული ეკონომიკის ყველაზე "შავი ხვრელი" უნდა ამოავსოს და "რკინიგზის", "ფოთის პორტისა" და "მადნეულის" ფინანსური საქმიანობის კანონიერება უნდა შეისწავლოს.

# ირანი: ხელისუფლება ორმაგი ზეწოლის ქვეშ

## სტუდენტურ გამოსვლებს ყველა რეჟიმი ერთნაირად პასუხობს

პირველი გვერდიდან

მოულოდნელად დამამტკიცებელი საბუთებიც გამოჩნდა. აესს-ის გენერალურმა დირექტორმა მოჰამად ელ ბარადეიმ, რომელიც რამდენიმე თვის წინ ერაყში ინსპექტორებს ხელმძღვანელობდა, აესს-ის მმართველ საბჭოს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ირანს აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. ირანს ბრალად ედება, რომ მან დამალა ჩინეთიდან 1800 კგ ურანის იმპორტი, ნათანცში ბირთვული საწვავის გამამდიდრებელი ფაბრიკისა და არაკში მძიმე წყლის ქარხნის არსებობა. ირანელებმა საშუალება არ მისცეს ინსპექტორებს, შეემოწმებინათ კალას ელექტროსადგური, რომელსაც, სავარაუდოდ, ურანის გასამდიდრებლად იყენებენ.

მიუხედავად ვენაში ამერიკის ელჩის ბრილის მოთხოვნისა, აესს-მა არ დაგმო ირანის ქმედება, მით უმეტეს, არ დაადანაშაულა იგი ატომური იარაღის შექმნის მცდელობაში, მაგრამ აშშ-ს თეირანის მიმართ შემდგომი ბრალდებებისათვის საფუძველი მაინც მიეცა.

რამდენად გაიზიარებენ სხვა ქვეყნები ამ ბრალდებების სერიოზულობას, უკვე სხვა საქმეა. რუსეთის ელჩმა უკვე დაიწყო ირანის დასაცავად ჩვეული დიპლომატიური მანევრები. მას შეიძლება ევროპის ის ქვეყნებიც შეუერთდნენ, რომლებიც ანტისაომარ კოალიციას ეკუთვნოდნენ. მოსკოვმა განაცხადა, რომ ახალი სამხილების გაჩენის შემდეგაც არ შეწყვეტს ირანში ბირთვული რეაქტორის მშენებლობას.

ბუშის ძალიან მკაცრი განცხადების მიუხედავად, აშშ-ს ოფიციალური პოლიტიკა ირანისადმი ჯერ არ შეცვლილა. კონსერვატორები მოითხოვენ, რომ ვაშინგტონმა ოფიციალურად გამოაცხადოს თავისი პოლიტიკური მიზანი - ირანში რეჟიმის შეცვლა. სენატორმა ბრაუნბეკმა კონგრესს შესაბამისი კანონპროექტი უკვე წარუდგინა. აშშ-ს დაფინანსებით მუშაობა დაიწყო რადიო და ტელესადგურებმა, რომლებიც ირანში ოპოზიციურ აზრს ავრცელებენ. მართალია, ერაყული ვარიანტის გამეორებას ირანში ნაკლებად მოელიან, მაგრამ ექსპერტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ვაშინგტონი შეეცდება, თეირანის ისლამურ რეჟიმს სხვა მეთოდებით გამოუყვანოს წირვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩავარდნა ემუქრება არა მხოლოდ ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესს, არამედ აშშ-ს კონტროლს ირანის ორ მეზობელზე: ავღანეთსა და ერაყზე.

ვაშინგტონში იმედოვნებენ, რომ შესაძლოა, აიათოლების რეჟიმის დასამხობად აშშ-ს პირდაპირი ჩარევა არც გახდეს საჭირო. ირანში სერიოზული რეფორმისტული მოძრაობა არსებობს, რომლის ავანგარდშიც სტუდენტები დგანან.



REUTERS

უკვე ცხრა დღეა, სტუდენტები თეირანის უნივერსიტეტში საპროტესტო აქციებს აწყობენ.

ახალგაზრდობას უკმაყოფილებისათვის სერიოზული საფუძველი აქვს. ნავთობის უზარმაზარი მარაგის მქონე ქვეყნის მოსახლეობა უფრო ღარიბია დღეს, ვიდრე ოცი წლის წინ. მათზე დაწესებულია უამრავი რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული შეზღუდვა. ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში "ტვინების გადინების" მხრივ. დღეს უფრო მეტი ირანელი დოქტორი ცხოვრობს კანადაში, ვიდრე თავად ირანში. ზომიერად განწყობილი პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ რეფორმების გატარების ყველა მცდელობას "ჩანასახშივე ახშობს" უმაღლესი სასულიერო ხელმძღვანელობა.

უკვე ცხრა დღეა, სტუდენტები თეირანის უნივერსიტეტში საპროტესტო აქციებს აწყობენ. თავიდან აქციები უნივერსიტეტების პრივატიზებისა და ფასიანი სწავლების შემოღების წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ სულ მალე პოლიტიკური ელფერი მიიღო. აქციები საღამოს იწყებოდა და განთიადისას მთავრდებოდა, პარალელურად, მისი თანამგრძნობნი (ძირითადად, საშუალო ფენის წარმომადგენლები) მთელი ღამე დაატარებდნენ მანქანებს და გამუდმებით ასიგნალებდნენ. ისლამური რევოლუციის შემდეგ პირველად გაისმა მოწოდება "სიკვდილი ხამენეის". კრიტიკის ობიექტი პირველად გახდა პრეზიდენტი ხათამიც. იგი შვიდი წელია, რაც ხელისუფლების სათავეშია და ქვეყნის ლიბერალიზაციას ცდილობს, მაგრამ ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე კონსერვატორთა წინააღმდეგობის დაძლევა ვერ მოახერხა.

სტუდენტების გამოსვლას წინ უსწრებდა პარლამენტის 150-მდე წევრის ღია წერილი ქვეყნის სულიერი ლიდერის - ხამენეისადმი, რომელშიც დეპუტატებმა რელიგიისა და სახელმწიფოს გაყოფა მოითხოვეს. ამას მოჰყვა ირანელ ინტელექტუალთა მეორე ღია წერილი, სადაც უკვე კონკრეტული რეფორმების შესახებ იყო საუბარი.

ღია წერილები, ფაქტობრივად, გამოხმაურების გარეშე დარჩა. სტუდენტთა აქციები ნელ-ნელა დაიშალა. მოსახლეობის პასიურობას მოწმობს ისიც, რომ ბოლო არჩევნებზე თეირანში, უბნებში ამომრჩეველთა მხოლოდ 12 პროცენტი გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ქვეყანა უკვე დენთის კასრზე ზის და ერთი ნაპერწკალიღა სჭირდება.

ანალიტიკოსთა მტკიცებით, ამ თუნდაც მცირემასშტაბიანმა გამოსვლებმა ხელისუფლების სისუსტე დაადასტურა. იმის ნაცვლად, რომ იგი ოპონენტებს ტრადიციულად ღიად, პოლიციისა და სასამართლოს მეშვეობით გასწორებოდა, რეჟიმმა სხვა გზა აირჩია. დემონსტრანტებს არბევდნენ ნახევრად გასამხედროებული ისლამისტური ფორმირებები. ინტენსიურად ვრცელდებოდა ჭორები, რომ სტუდენტები არიან ამერიკული სპეცსამსახურების აგენტები, "ჰომოსექსუალისტები და მეძავები" და ა.შ. და მაინც, სახალხო მღელვარების შიშით ხელისუფლება ღია კონფრონტაციაზე ვერ წავიდა, რაც უკვე "კარგის" ნიშანია.

მაშ ასე, სტუდენტებმა ღიად განაცხადეს, რომ მათ რეჟიმის შეცვლა სურთ. შეერთებული შტატები აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ სტუდენტებს, მაგრამ ამავე დროს ირანელების ერთი ნაწილი "დიდ სატანას" (ან "დეკადანსის ბასტიონს" - ასე უწოდებენ ირანელი კონსერვატორები ამერიკას) თავიანთი ქვეყნის უპირველეს მტრად მიიჩნევს (მტრობის მიზეზები არ არის მხოლოდ წმინდა იდეოლოგიური; ასე, მაგალითად, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ როგორი მთავრობაც არ უნდა მოვიდეს ირანში, ის მაინც ეცდება ბირთვული იარაღის შექმნასა და მეზობელ ქვეყნებში თავისი გავლენის გავრცელებას). რა გამოვა სამკუთხედიდან სტუდენტები-აიათოლები-ვაშინგტონი, ცოტა ხანში ვნახავთ; ან კონსერვატორები შეძლებენ სტუდენტები "მტრის აგენტებად" წარმოაჩინონ და სტატუს-კვო შეინარჩუნონ, ან სტუდენტები ამერიკის დახმარებით შეძლებენ კონსოლიდაციასა და ხელისუფლებისთვის "ხელთათმანის სროლას".

მომავალი ბრძოლების პირველი ნიშნები, სავარაუდოდ, 9 ივლისს უნდა გამოჩნდეს. ამ დღეს ირანში, 1999 წელს, სტუდენტების მასობრივი დარბევის წლისთავს აღნიშნავენ. შემდეგ კი საპარლამენტო არჩევნებიც კარზეა მომდგარი.

# რიო მსოფლიოს ყველაზე მეგობრული ქალაქია

კალიფორნიელი ფსიქოლოგები მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში ექვსი წლის მანძილზე ატარებდნენ გამოკვლევას და სხვადასხვა სიტუაციებში ადგილობრივი მოსახლეობის რეაქციებს აკვირდებოდნენ. კვლევის შედეგები მათ ახლახან გამოაქვეყნეს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების თქმით, ამა თუ იმ ქალაქში "მეგობრულობის" ხარისხი უფრო მეტად გარემოზეა დამოკიდებული, ვიდრე მცხოვრებთა კულტურულ თავისებურებებსა თუ ეთნიკურ წარმოშობაზე.

ფსიქოლოგები დააკვირდნენ, როგორ ეპყრობოდნენ უცხოებს მსოფლიოს 23 ქალაქში.

მეცნიერების ჯგუფმა გამოკვლევა საგანგებო ტესტების მეშვეობით ჩაატარა: მაგალითად, ვინმე ქუჩაში ფანქარს დააგდებდა, ინვალიდის ან დაჭრილის როლს გაითამაშებდა, ან ქუჩაში კონვერტს დატოვებდა, რომელზეც მისამართი ეწერა. კვლევამ ცხადყო, რომ შედარებით ღარიბ, ნაკლებად სტაბილურ ქალაქებში, როგორც წესი, უფრო მეგობრული ადამიანები ცხოვრობენ.

ჟურნალ "ნიუ საინტისტის" გამოკვლევის თანახმად, რიო-დე-ჟანეირო, სადაც დანაშაულის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, მეგობრული ქალაქების სიას სათავეში უდგას. მეორე ადგილზეა ამერიკული სან-ხოსე, მესამეზე - ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი.

ამ გამოკვლევის მიხედვით, კუალალუმპური, ნიუ-იორკი, სინგაპური და ამსტერდამი მსოფლიოს ყველაზე არამეგობრული ქალაქებია.

ამ ქალაქებში მკვლევარებს დახმარება ძალზე იშვიათად გაუწიეს. მეცნიერებმა დაასკვნეს, რაც უფრო პატარაა ქალაქი, მისი მოსახლეობა მეტად არის მონდომებული, გაჭირვებაში ჩავარდნილს დახმარება აღმოუჩინოს.

# სომხეთის მთავრობა ხელფასების რამდენჯერმე გაზრდას აპირებს

რევაზ ბახტაძე

სომხეთის ახლახან შექმნილმა კოალიციურმა მთავრობამ ორი დღის წინ მოქმედების ოთხწლიანი ამბიციური გეგმა გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, სამთავრობო დანახარჯები, საჯარო მოხელეების ხელფასები და პენსიები მკვეთრად გაიზრდება.

სამი პროქოჩარიანული პარტიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა მინისტრთა კაბინეტმა აღნიშნული გეგმა საგანგებო სხდომაზე მიიღო და დასამტკიცებლად პარლამენტში გადააგზავნა. ეროვნულ ასამბლეაში (სომხეთის პარლამენტი) უმრავლესობას ქოჩარიანის მომხრეები ფლობენ, ასე რომ, მთავრობის პროგრამას დამტკიცების დროს პრობლემები არ შეექმნება.

სამთავრობო კოალიციის ჩამოყალიბებამდე ამ პროგრამის ძირითადი პრინციპები პრეზიდენტმა ქოჩარიანმა, რესპუბლიკურმა პარტიამ, სომხეთის რევოლუციურმა ფედერაცია – "დაშნაკციუტუნმა" და "ორინაც იერკირმა" შეათანხმეს. პროგრამაში აქცენტი სიღარიბის დაძლევასა და სოციალური დანახარჯების გაზრდაზეა გაკეთებული, რაც "დაშნაკციუტუნისა" და "ორინაც იერკირის" წინასაარჩევნო დაპირებებს შეესაბამება. წინასაარჩევნო პერიოდში სოციალური პრობლემების გამო, ორივე პარტია მმართველ რესპუბლიკელებსა და პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარქარიანს მკაცრად აკრიტიკებდა.

სამი პარტიის კოალიციამ განაცხადა, რომ მათი მიზანია სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ოჯახების რაოდენობა ახლანდელი 50 პროცენტიდან 35 პროცენტამდე შეამცირონ. ამას გარდა, პროგრამა 2007 წლამდე სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ჩინოვნიკთა ხელფასების გაორმაგებას ითვალისწინებს. მასწავლებელთა ხელფასები, ახალი მთავრობის მტკიცებით, გასამმაგდება და 60 000 დრამი იქნება (100 ამერიკული დოლარი).

მთავრობამ ასევე პირობა დადო, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში მცირე პენსიები 6000 დრამიდან (დაახლოებით, 12 ამერიკული დოლარი) 11 000 დრამამდე გაიზრდება (დაახლოებით 23 ამერიკული დოლარი). მომატებს ინვალიდებისა და ყველაზე გაჭირვებული ოჯახებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო დახმარებაც.

ჟურნალისტების წინაშე პროგრამის პრეზენტაცია ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ვართან ხაჩატრიანმა გააკეთა. მისი თქმით, პროგრამაში გათვალისწინებული პირობების შესრულება იოლი ნამდვილად არ იქნება. "მთავრობამ, მართლაც, ამბიციური პროგრამა შეიმუშავა, მაგრამ ჩვენ სხვანაირად მოქცევა არ შეგვეძლო", - თქვა მინისტრმა. "ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამჟამინდელ სოციო-ეკონომიკურ ვითარებას არსებითად შევცვლით", - დასძინა ხაჩატრიანმა.

მზარდი სოციალური დანახარჯები ეკონომიკურ ზრდასთან და საგადასახადო შემოსავლების მატებასთან არის დაკავშირებული. მთავრობის გათვლებით, სომხეთში მთლიანი შიდა პროდუქტი ყოველწლიურად, სულ მცირე, 6 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ოფიციალური მონაცემების თანახმად, სომხეთის მშპ-ს ზრდამ გასულ წელს, თითქმის, 13 პროცენტი შეადგინა და 2003 წლის პირველ კვარტალში ზრდის ტემპი არ შენელებულა.

ხაჩატრიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობას გადასახადების მომატება განზრახული არ აქვს და მცირე საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას გადასახადების მოკრების გაუმჯობესებით შეეცდება. "საგადასახადო განაკვეთები, ძირითადად, უცვლელი დარჩება", - განაცხადა მინისტრმა.

სომხეთის პარლამენტში მყოფ ორ ოპოზიციურ პარტიას პროგრამის დაბლოკვის არანაირი შანსი არა აქვს, რადგან აშკარა უმცირესობაში იმყოფებიან. ქოჩარიანის მთავარმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ "ართარუთიუნმა" (სამართლიანობა), პროტესტის ნიშნად, საპარლამენტო სხდომის ბოიკოტირება განიზრახა, რასაც მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ექნება.

# როდემდე გასტანს?

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ძალადობამ, რომელმაც გასულ კვირას დაახლოებით 60 პალესტინელისა და ებრაელის სიცოცხლე შეიწირა, რეალური საფრთხე შეუქმნა "სამშვიდობო გეგმას," რომლის განხორციელების იმედიც აქაბას სამიტის მონაწილეებს ჰქონდათ. ვითარების გადარჩენის მიზნით, რეგიონში აშშ-ს და ეგვიპტის უშიშროების წარმომადგენლები ჩავიდნენ. ღაზა-სიტიში ეგვიპტელებმა "ჰამასის" და სხვა რადიკალური პალესტინური დაჯგუფებების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს. ამის შემდეგ, სამი საათის განმავლობაში, ისინი ესაუბრებოდნენ "ჰამასის" სულიერ ლიდერს აჰმედ იასინს. ეგვიპტელები ისრაელთან შერიგების აუცილებლობაში თანამოსაუბრეების დარწმუნებას ცდილობდნენ. მცდელობა უშედეგო გამოდგა. **"შერიგება ოკუპანტების წინაშე კაპიტულაციას ნიშნავს,"** - განაცხადა მოლაპარაკებების შემდეგ "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა ისმაილ აბუ შანაბმა.

დიდ წარმატებას ვერც ამერიკელებმა მიაღწიეს, რომლებიც ცდილობდნენ, ისრაელის მხარე ღაზას სექტორში განხორციელებული ექვსი სარაკეტო დარტყმის უშედეგობაში დაერწმუნებინათ.

**"ვიდრე არსებობს ტერორი, არავითარი პროგრესი არ იქნება,"** - განაცხადა ქნესეთში გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა. მის გამოსვლას მკვეთრი კრიტიკა მოჰყვა როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან. მემარცხენეთა პარტიის წარმომადგენელმა ზეჰავა გალ-ოიმ განაცხადა: **"ყოველთვის, როცა დგება სიმშვიდე და ჩნდება იმედი, პრემიერ-მინისტრი ვინმეს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. ნუთუ, ასე უნდა იქცეოდეს პრემიერი, რომელიც მშვიდობის დამყარებას ცდილობს?"** მეორე მხრივ, ულტრა-ორთოდოქსული პარტიის ლიდერმა შას ელი იშაიმ "საგზაო რუკის" უარყოფა მოითხოვა.



REUTERS

ჰამასის ლიდერები უკან არ იხევენ.

ორ ცეცხლს შორის მოექცა პალესტინის პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასიც. **"ჩვენ უნდა დავდოთ შეთანხმება ისრაელთან, რათა მოვილაპარაკოთ "ჰამასთან," მაგრამ ჩვენ ასევე უნდა მოვილაპარაკოთ "ჰამასთან," რათა შეთანხმება დავდოთ ისრაელთან,"** - განაცხადა მისმა მრჩეველმა ტარაზიმ. ამდენად, წრე კვადრატის სახეს იღებს. თუმცა, ისრაელისა და პალესტინის უშიშროების სამსახურთა წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები მაინც განახლდა. განიხილება წინადადება, რომლის თანახმადაც, ისრაელის არმიამ ღაზას სექტორის ჩრდილოეთ რაიონი უნდა დატოვოს და ისინი პალესტინის უშიშროების ძალებმა უნდა შეცვალონ.

აი, უკვე რამდენიმე დღეა, რაც პალესტინელი თვითმკვლელები ისრაელში ტერაქტებს აღარ აწყობენ, ხოლო პალესტინის თავზე ისრაელის ვერტმფრენები აღარ დაფრინავენ და არ ისვრიან რაკეტებს. როდემდე გასტანს ეს?

# გუშინ ევროკავშირის სამიტი გაიხსნა

გუშინ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები საბერძნეთის ქალაქ სალონიკის მახლობლად შეიკრიბნენ. სამიტის მონაწილეები ძირითად ყურადღებას ორ ძირითად საკითხზე – ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტსა და ევროპაში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის მექანიზმზე გაამახვილებენ. ორივე პრობლემა ამჟამად ევროპაში საკმაოდ აქტუალურია და დროულ გადაჭრას საჭიროებს.

სამიტი სამართალდამცავებისა და სპეცსამსახურების მიერ მაღალ დონეზეა დაცული. საბერძნეთის პოლიცია იმედოვნებს, რომ სალონიკთან მდებარე პატარა საკურორტო ქალაქ კარასვილში, არა თუ ტერორისტებს, არამედ ანტიგლობალისტებსაც კი, შეღწევის არანაირი შანსი არ გააჩნიათ.

ამჟამინდელი სამიტი ასევე ევროკავშირის თავმჯდომარის პოსტზე საბერძნეთის ყოფნის ვადის დასრულებასაც ემთხვევა. დღეიდან ამ როლს თავის თავზე იტალია იტვირთებს. დამკვირვებლები მოელიან, რომ ევროკავშირის ლიდერთა შეხვედრა გაერთიანების კონსტიტუციის პროექტის შესახებ მწვავე დებატების ფონზე ჩაივლის.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ`ესტენი, რომელიც ამჟამად კონსტიტუციის შემმუშავებელ ჯგუფს უდგას სათავეში, კონსტიტუციის პროექტს დღეს წარადგენს. მუშა ჯგუფში, გაერთიანების 15 წევრი ქვეყნის გარდა, ათი კანდიდატი ქვეყნის წარმომადგენლებიც შედიან. როგორც ცნობილია, კონსტიტუცის პროექტმა უკვე წარმოშვა საკითხთა მთელი სპექტრი, სადაც გაერთიანების დიდი და პატარა წევრი-ქვეყნები შეთანხმებას ვერ აღწევენ. ამასთანავე, ბევრი არ ეთანხმება ევროკავშირის ხემძღვანელობის ცენტრალიზაციას, რომელსაც კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს.

გარდა ამისა, სამიტის მონაწილეები პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის წესის შეცვლაზეც იმსჯელებენ. ეს საკითხი ევროკავშირის ლიდერების წინაშე დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დააყენა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ "დაცვითი ზონის" შექმნის იდეა წამოაყენა. კერძოდ, ასეთი ზონები კონფლიქტური რეგიონების მახლობლად დაარსდება და იქიდან კონფლიქტის მსვლელობაზე და ვითარებაზე მუდმივი მონიტორინგი განხორციელდება. ეს კი ასეთი ტერიტორიიდან გამოქცეული პირის მოთხოვნის განხილვას პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის თაობაზე და ამ მოთხოვნაზე დადებით ან უარყოფით რეაგირებას საგრძნობლად გააადვილებს. ყოველ შემთხვევაში, ბრიტანეთის მხარე ასე მიიჩნევს. აი, ეს არის ის ორი ძირითადი საკითხი, რომელსაც ევროკავშირის ლიდერები განიხილავენ. გარდა ამისა, დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი თემები: მასობრივი განადგურების იარაღი, აშშ-სთან ევროკავშირის ურთიერთობა და ბალკანეთში არსებული ვითარება.

# მოკავშირეებს ერაყში დამატებითი შეიარაღებული ძალები შეჰყავთ

აშშ-ს გენერალური შტაბის თავმჯდომარის მოადგილის, გენერალ პიტერ ფეისის თქმით, შეერთებული შტატების მოკავშირეებმა - დიდმა ბრიტანეთმა და პოლონეთმა გადაწყვიტეს, რომ ზაფხულის ბოლომდე ერაყში, დახლოებით, 20 000 ჯარისკაცი გააგზავნონ, რათა ერაყის სტაბილურობას შეუწყონ ხელი.

გენერალ ფეისის ინფორმაციით, ამერიკის კიდევ ერთი მოკავშირე, რომლის დასახელებისაგან პენტაგონის მაღალჩინოსანმა თავი შეიკავა, ერაყში 10 000 ჯარისკაცის გაგზავნას გეგმავს.

კონგრესის შეიარაღების კომიტეტის წინაშე გამოსვლისას, ფეისმა და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვოლფოვიცმა თავი აარიდეს შეკითხვას - მომავალი თვეებისა და წლების განმავლობაში ერაყში სტაბილურობის შენარჩუნებას რამდენი ამერიკელი ჯარისკაცი დასჭირდება? პოლ ვოლფოვიცმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მოკავშირეების შეიარაღებული ძალების ერაყში განლაგების შემდეგ, ამერიკელთა რაოდენობა შემცირდება. ამჟამად, ერაყში 146 000 ჯარისკაცი იმყოფება.

ბრიტანეთისა და პოლონეთის გარდა, ესპანეთმაც გამოთქვა სურვილი, რომ ომისშემდგომი ერაყის სტაბილიზაციაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ამერიკული მედიის ცნობით, პენტაგონი მოლაპარაკებებს აწარმოებს ინდოეთთან, რათა მოკავშირეების სამშვიდობოებს ინდოელი სამხედროებიც შეუერთდნენ. ვოლფოვიცმა კომიტეტის წევრებს განუცხადა, რომ თურქეთი მზად არის, ერაყის რეკონსტრუქციაში მონაწილეობა მიიღოს.

რესპუბლიკელი სენატორები პოლ ვოლფოვიცს შეეკითხნენ: შემდეგი წლისთვის მოითხოვს პენტაგონი დამატებით ასიგნებას, თუ არა- გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ ამერიკის ფედერალურ ბიუჯეტს ყოველთვიურად 1.5 ნახევარი მილიარდი დოლარი უჯდება, ხოლო ერაყში მიმდინარე ოპერაცია ყოველთვიურად - 3 მილიარდი დოლარი. ამერიკის აღმასრულებელი ხელისუფლება კი ერაყის სარეკონსტრუქციოდ და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ახალ მასშტაბურ პროგრამებს გეგმავს.

"მე ვფიქრობ, რომ დამატებითი თანხები საჭირო გახდება, - განაცხადა ვოლფოვიცმა, - თუმცა, კონკრეტულად რამდენი დაგვჭირდება, ჯერჯერობით ამის თქმა ძნელია".

# რუსეთმა თურქმენეთი „შავ სიაში„ შეიყვანა

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა თურქმენეთი იმ ქვეყანათა სიაში შეიყვანა, სადაც რუსეთის მოქალაქეებს მგზავრობას არ ურჩევენ. კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი როგოზინის თქმით, ამის მიზეზს თურქმენეთში უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა წარმოადგენს. როგოზინმა განაცხადა, რომ თუკი თურქმენეთის ხელისუფლება ამჟამინდელ პოლიტიკას არ შეცვლის, რუსეთის მოქალაქეებისათვის ამ ქვეყანაში დარჩენა საკმაოდ სახიფათო გახდება. კომიტეტის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ახალ სიაში ოცზე მეტი ქვეყანაა შეყვანილი. აქ, ძირითადად, ის სახელმწიფოები მოხვდნენ, სადაც შეიარაღებული კონფლიქტები მუდმივად ხდება და ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა. თურქმენეთი "შავ სიაში" აფრიკის, სპარსეთის ყურის და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ერთადაა წარმოდგენილი. **"არასდროს ყოფილა, რომ ამ სიაში დსთ-ს წევრი ქვეყანა მოხვედრილიყო, მაგრამ ჩვენ ახლა იძულებულები გავხდით, ასეთი გადაწყვეტილება მიგვეღო,"** - განაცხადა დიმიტრი როგოზინმა.

# ერთი სასამართლო, ორი პრესკონფერენცია

## სასამართლომ გათავისუფლებული ექიმები სამსახურში აღადგინა

*ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ს/კ ინსტიტუტების შერწყმიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩატარდა შიდა ატესტაცია, რომლის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლდა ათობით ექიმი და ექთანი. მოგვიანებით შვიდმა მათგანმა სასამართლოს მიმართა და საქმე მოიგო.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ექიმები ჩიოდნენ, რომ ატესტაცია არასწორად ჩატარდა და, აქედან გამომდინარე, მათი გათავისუფლებაც უკანონოდ მოხდა. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო კოლეგიამ, მილერი ხარებავას თავმჯდომარეობით, ექიმების საჩივარი დააკმაყოფილა და ისინი ყოფილ თანამდებობებზე დააბრუნა. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ დარბაზში სიხარულმა დაისადგურა. ექიმები, ექთნები, მათი ადვოკატი, მესამე პირად ჩართული "ლეიბორისტები" და "ნაციონალები" ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ. ღიმილით დატოვა იქაურობა სასამართლო კოლეგიამაც.

აღნიშნული ფაქტი "ლეიბორისტებმა" და "ნაციონალებმა" იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ მას ცალ-ცალკე პრესკონფერენცია მიუძღვნეს. პირველ საათზე ჟურნალისტებს "ნაციონალები" შეხვდნენ. საკრებულოს წევრებს - ლევან მეტრეველსა და დავით ბერძენიშვილს პარლამენტის ჯანდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ლადო ჭიპაშვილიც შეუერთდა. იქვე იყვნენ ექიმთა თავისუფალი პროფკავშირების "სოლიდარობის" ლიდერები და, რა თქმა უნდა, გამარჯვებულები. მათ შორის, ექიმები - მედეა სიმონგულოვი, ლიანა სიხარულიძე, ლიკა დანგაძე და ექთნები - ზაირა გავაშელი, ლამარა ჯინჭარაძე, ლამარა მჟავანაძე.

საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის პროცესის კრიტიკას ჟურნალისტთა სრულიად შეუსაბამო კითხვები მოჰყვა. მასმედიას აინტერესებდა, პრესკონფერენციის ცალ-ცალკე ჩატარების მიზეზი და ის, თუ რომელი პარტია უფრო დაეხმარა ექიმებს. ამ კითხვამ უხერხულ მდგომარეობაში მხოლოდ ექიმები ჩააგდო, რომლებიც დიდი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობას ორივე პარტიის მიმართ გამოხატავდნენ და იხვეწებოდნენ, - არ გვინდა საკითხის პოლიტიზირებაო. თუმცა, მათ მაინც მოუწიათ მოვლენების ქრონოლოგიურად გადმოცემა.

მათი თქმით, თავიდან საკითხის მოგვარებას საკუთარი ძალებით ცდილობდნენ "სოლიდარობა" და თბილისის საკრებულო, რომელსაც ლევან მეტრეველი წარმოადგენდა.

არ გვინდოდა, სასამართლოსთვის მიგვემართა, მაგრამ იძულებული გაგვხადესო, - თქვა მეტრეველმა.

სასამართლომდე ექიმებს დახმარებისთვის "ლეიბორისტებისთვისაც", კერძოდ, საკრებულოს წევრისთვის, კახა ძაგანიასთვის მიუმართავთ. ასე აღმოჩნდა ორი მეტოქე პარტია ერთ მხარეს, თუმცა ეს მხოლოდ სასამართლო დარბაზში მოხდა.

"ნაციონალების" შემდეგ ექიმებმა და ჟურნალისტებმა "ლეიბორისტებს" მიმართეს, თუმცა იქ ბევრი აღარაფერი იყო სათქმელი.

ბოლოს სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ აღნიშნული დაწესებულების დირექტორს, მიხეილ ომიაძეს.

"სასამართლო გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არასწორად მიმაჩნია, თუმცა ამით ჩვენს დაწესებულებას პრობლემები არ შეექმნება. დიდი მნიშვნელობა არ აქვს, 3-4 ექიმით მეტი გვეყოლება თუ არა", - გვითხრა მიხეილ ომიაძემ.

ამ ფაქტის შემდეგ, შეიძლება, სხვა ექიმებმაც იჩივლონო, - იმედი გაუჩნდა ოპოზიციას, რომელიც ყველას ჰპირდება დახმარებას.

# „ატსტუპნიკები" მოითხოვენ

პარლამენტის შენობასთან გუშინ ე. წ. „ატსტუპნიკები" შეიკრიბნენ. პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ისინი, „ატსტუპნოის" წესით, ბინების ყიდვა-გაყიდვის პრობლემების დასარეგულირებელი კანონპროექტის განხილვას ელოდნენ. მათ ინტერესებს იცავს არასამთავრობო ორგანიზაცია „ბინის უფლებათა დაცვის კავშირი". აქციის მონაწილეების განცხადებით, არსებობს ამ კანონპროექტის ოთხი ვარიანტი, ისინი კი გაეცნენ მხოლოდ ერთს, რომელიც ბინების მეპატრონეების მიერ „ატსტუპნიკებისთვის" ბინის საბაზრო ღირებულების 60 პროცენტის გადახდას ითვალისწინებს. შეკრებილებისთვის კანონის ეს ვარიანტი მიუღებელია. "ატსტუპნიკების" უმრავლესობა კერძო დაინტერესებაში სდებს ბრალს სოციალისტთა ლიდერს, პარლამენტის ვიცე-სპიკერს, ვახტანგ რჩეულიშვილსა და მის „ცენტრ-პოინტს", ასევე - იმ ინვესტორებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქალაქის ცენტრში მიწების შესყიდვით.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** 21 და 28 ივნისს, დილის 10-დან 16 საათამდე ცოტნე დადიანის N255-ში მდებარე მრავალპროფილიანი კლინიკური სამედიცინო ცენტრი დედაქალაქის ყველა ასაკის მოსახლეობას უფასო სამედიცინო კონსულტაციებზე იწვევს. **ინტერ-პრესი**

■■■

**თბილისი.** გორისა და ქუთაისის შემდეგ გაერო-ს ბავშვთა ფონდის ინიციატივით შექმნილი "მხიარული ვაგონი" გურიას ეწვია. ვაგონში გახსნილია ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბი, სადაც მოზარდებს თავიანთ უფლება-მოვალეობებს აცნობენ. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** თაბუკაშვილის, ფურცელაძის ქუჩებისა და კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განახლებისთვის უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ახალი პროექტი შეიქმნას. **ინტერ-პრესი**

■■■

**თბილისი.** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაგა-ბაღების) მასწავლებელთა და ფსიქოლოგებისთვის გამოიცა პირველი დამხმარე სახელმძღვანელო. სპეციალისტების განცხადებით, სახელმძღვანელო მოსწავლეებისთვისაც საინტერესო იქნება. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** 15 ივნისს სტამბულში გამართულ არასამთავრობოთა საერთაშორისო რეგიონული ქსელის შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს დელეგაციაც ესწრებოდა, უნარშეზღუდულ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე მსჯელობდნენ. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** გუშინ, დაახლოებით, 12.30 საათზე ზუგდიდი-რუხის სარეისო ავტობუსს, რომელსაც ზუგდიდის რაიონის სამ სოფელში დევნილთათვის განკუთვნილი 55 ათასი ლარი მიჰქონდა, რვა შეიარაღებული პირი თავს დაესხა და გაქურდა. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** უმწეოთა სოციალური (ოჯახური) დახმარება წელს მხოლოდ მარტის თვის ჩათვლით არის დაფინანსებული. აპრილისა და მაისის თვეების საოჯახო დახმარების გასაცემად 2,4 მილიონი ლარის გამოყოფაა საჭირო. **მედია-ნიუსი**

■■■

**თბილისი.** საქართველოში მარტში ჩატარებული რიგით მეხუთე საერთაშორისო მათემატიკური კონკურსის, "კენგურუს" გამარჯვებული სტუდენტები და მოსწავლეები ევროპის საზაფხულო ბანაკებში გაემგზავრებიან. **მედია-ნიუსი**

## ფოსტა

# "24 საათის" რედაქტორს

რელიგიური ძალადობის წინააღმდეგ მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის მიერ გზეთის გუშინდელ ნომრეში გამოსაქვეყნებლად მიმართვის ტექსტის გადაგზავნისას მოხდა გაუგებრობა. საინიციატივო ჯგუფის ექვსი ხელმომწერი წევრის სიის ნაცვლად გაზეთს გადაეგზავნა მოძრაობის დამფუძნებელთა სრული სია. საინიციატივო ჯგუფი ბოდიშს უხდის მკითხველს და იმ წევრებს რომელთაც მიმართვისათვის ხელი არ მოუწერიათ:

**ემილ ადელხანოვ-შტეინბერგი, ნანა კაკაბაძე, გელა ნიკოლაშვილი, დავით პაიჭაძე, ლელა ქართველიშვილი, თამარ შამილი.**

# ხელისუფლებამ უნარშეზღუდულები მოატყუა

მაკა ჯაიანი

*საქართველოს უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის წევრები შიმშილობას იწყებენ. სად დასხდებიან ისინი, პარლამენტის თუ სახელმწიფო კანცელარიის წინ, დღეს გადაწყდება, თუმცა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რომ მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ფენა ხელისუფლებამ ისევ მოატყუა.*

**"თქვენი ტკივილი არ არის მუდმივი ტკივილი, მისი განკურნება შეიძლება. იგი ჩემი ტკივილიცაა - ჩემი უფროსი ძმა მოძრაობაშეზღუდული დაიბადა. მე მშვენივრად მესმის თქვენი."**

**"ბოდიშს გიხდით, რომ პარლამენტშიც ვერ შევძელით ისეთი გარემო შეგვექმნა, თავისუფლად გადაადგილების საშუალებას რომ მოგცემდათ. დადგა დრო, თქვენთან მიმართებაში სოციალური პოლიტიკა შეიცვალოს. სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შექმნას საზოგადოებაში თქვენი სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის."**

**"ბოდიშს გიხდით, რომ სახელმწიფო ვერ გაძლევთ იმ მაქსიმუმს, რაც მისგან უნდა მიიღოთ. დღეს ბიუჯეტი 66 მილიონს ხარჯავს თქვენი კატეგორიის ადამიანებისთვის, მაგრამ, სულ ცოტა, 57 მილიონი კიდევ არის საჭირო."**

ეს ის სიტყვებია, რომელსაც ხელისუფლების პირველი პირები - პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი, ავთანდილ ჯორბენაძე - საქართველოს უნარშეზღუდულ პირებსა და ომის ვეტერანებს სულ რაღაც ექვსი თვის წინათ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მათ პირველ ყრილობაზე ეუბნებოდნენ. საქართველოს ხელისუფლებას ამჯერადაც მოკლე მეხსიერება აღმოაჩნდა.

მეტიც, უნარშეზღუდულ ადამიანებს, რომელთაც, მიუხედავად საერთაშორისო ვალდებულებებისა, ადამიანური ცხოვრების ელემენტარულ პირობებსაც ვერ უქმნის, ხელისუფლებამ საკუთარი პროგრამის განხორციელების საშუალება არ მისცა. ეს - მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვიანობის ის გეგმა, რომელიც კოალიციამ მას შესთავაზა, შესამჩნევად აუმჯობესებს სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობას, რაც ისეთი ქვეყნისთვის, რომელშიც კორუფციას "უკომპრომისოდ ებრძვიან," უმნიშვნელო სულაც არ უნდა იყოს.


მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ფენა ხელისუფლებამ ისევ მოატყუა.

საუბარია ანტიკორუფციულ პროექტზე, რომელიც რეალიზებული საწვავის რეალური რაოდენობის დადგენის შესაძლებლობას მარტივი მექანიზმის გამოყენებით იძლევა. სქემა ასეთია: ბენზინგასამართ სადგურში მძღოლი იძენს 50-თეთრიან მოგებიან სპრინტს, მონაგებს იქვე ანაღდებს, წაგების შემთხვევაში კი, ბენზინს საერთო ღირებულებაზე 75 თეთრით ნაკლებ ფასში ისხამს. 25 თეთრს იგებს ბენზინგასამართი სადგური - სპრინტის თითო ტალონს საგადასახადო სამსახურები მისგან 1 ლარად იბარებენ. პარალელურად, ფიქსირდება რეალიზებული ბენზინის ზუსტი რაოდენობაც.

ექვსთვიანი კონსულტაციების შემდეგ, მაისისთვის საქართველოს უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის მეორე ყრილობაზე ფინანსთა სამინისტრო აცხადებდა, რომ პროექტი მოწონებულია და მისი სწრაფად დანერგვის სურვილს გამოთქვამდა, ტრიბუნასთან მისული მთავრობის წარმომადგენლები კი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ეს პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით 150 მილიონ ლარს შესძენს. ექსპერიმენტის უდავო პლუსად ჩაითვალა ისიც, რომ იგი 6000 უნარშეზღუდულ ადამიანს დაასაქმებს. მოკლედ, მთავრობამ ინციატივას მხარი დაუჭირა.

შემდეგ მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. პროექტი განსახილველად პარლამენტში შევიდა და "გაიჭედა". გარეშეთათვის, ვინც უნიკალური ქართული პოლიტიკის "ხვეულებს" არ იცნობს, აგრესიის ობიექტი ნათელია - პარლამენტი, რომელმაც მთავრობის მოწონებული პროგრამის რატიფიცირება გააჭიანურა. მათ კი, ვინც მოვლენებს შიგნიდან ხედავს, იცის, რომ არაპოპულარულ საქმეს აღმასრულებლები ამ შემთხვევაშიც კანონმდებლების ხელით აკეთებენ - ის ადამიანები, რომლებიც უნარშეზღუდულთა ინიციატივას, სხვადასხვა მიზეზით, ფარულად თუ ღიად ეწინააღმდეგებიან, სწორედ "სამთავრობო ბანაკში" მოიაზრებიან.

საშემოდგომო სესიამდე ორიოდე დღე დარჩა. ორშაბათს მიცემული პირობის მიუხედავად, კოალიციის პროექტის განხილვა პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში ვერც ოთხშაბათს და ვერც ხუთშაბათს მოხერხდა - კვორუმი არც ერთხელ არ შეიკრიბა. როცა პროგრამა ჯერ სულ ახალი დაწერილი იყო, "კეთილმა ადამიანებმა" მის ავტორებს ურჩიეს, - იქნებ, ბენზინს თავი დაანებოთ, სიგარეტზე მოსინჯოთ ძალებიო; თავის დროზე, ამ დოკუმენტზე აზრის გამოთქმა არც პრეზიდენტმა შევარდნაძემ იჩქარა. როგორც ჩანს, უმაღლესი ხელისუფლების სურვილი - გააუმჯობესოს უნარშეზღუდული ადამიანების მდგომარეობა, ჯერაც ვერ სძლევს მის მეორე სურვილს - გაამდიდროს ჯიბე, რომელიც "საკუთარ სხეულთან" უფრო ახლოა.

# „განათლების სისტემა კანონიერ საფუძველზე არ იმართება"

## თბილისის მერია წინასაარჩევნო ინტრიგებს ხედავს

ირინე სანებლიძე

*ამ ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, დედაქალაქის პედაგოგებისთვის ხელფასების და ივლის-აგვისტოს საშვებულებო თანხების გაცემა ხელოვნურად ფერხდება. ამგვარ განცხადებებს დედაქალაქის მერია წინასაარჩევნო, პოპულისტურ გამოსვლებად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ თბილისელი პედაგოგები ხელფასებს ყოველთვიურად, დავალიანების გარეშე, იღებენ.*

დედაქალაქის პედაგოგების ხელფასებისა და ივლის-აგვისტოს საშვებულებო თანხების გამო, მერიის მისამართით განათლების სამინისტროსა და საკრებულოს "შეტევების" საპასუხოდ გუშინ ვანო ზოდელავას მთავარმა მრჩეველმა სოციალურ საკითხებში მანანა ნიკოლეიშვილმა პრესკონფერენცია მოაწყო.

ნიკოლეიშვილის თქმით, "ყველაფერი განათლების მინისტრის ალეკო კარტოზიას განცხადებით დაიწყო" და რომ, თითქოს, თბილისის ბიუჯეტი განათლების მუშაკთა და პედაგოგთა ხელფასებს არ გასცემს, "ეს არაობიექტური განცხადებაა".

მანანა ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ დედაქალაქის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ, პირველ რიგში, ბიუჯეტის ე.წ. "დაცული მუხლები" შესრულდეს და ხელფასებით უზრუნველყოს არა მხოლოდ განათლების, არამედ ჯანმრთელობის, კულტურისა და სხვა სფეროს მუშაკები.

მანანა ნიკოლეიშვილი ამტკიცებს, რომ დედაქალაქს განათლების მუშაკთა ვალი არასოდეს ჰქონია. ის განათლების სისტემაში არსებულ ზოგად სიტუაციაზე საუბრობს და ყველაფერში განათლების სისტემის პოლიტიკის განმსაზღვრელ განათლების სამინისტროს ადანაშაულებს: "განათლების სისტემა კანონიერ საფუძველზე არ იმართება", - ამბობს ნიკოლეიშვილი.

თბილისის მერის მრჩეველი გუშინ განათლების თავისუფალ პროფკავშირებსაც "გადასწვდა": "მაშინ, როცა განათლების უამრავი მუშაკი დაითხოვეს, ახლა კი განათლების სისტემა ინგრევა, ქვეყანაში განათლების ხარისხი კლებულობს, ამაზე რატომ არაფერს ამბობს პროფკავშირების თავმჯდომარე, მანანა კობახიძე?!"

მერიის გარდა, საკრებულო ფინანსთა სამინისტროსაც "ესხმის თავს", - ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე განკუთვნილ თანხებს, მათ შორის პედაგოგთა ხელფასებს, სამინისტრო განგებ აფერხებსო. ფინანსთა სამინისტროში კი აცხადებენ, - ჩვენ რა შუაში ვართ, ეროვნულ ბანკში არ არის შემოსავალიო.

"ქალაქის ბიუჯეტი არასწორადაა განაწილებული", ნიკოლეიშვილის განცხადებით, ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული. ერთადერთ გამოსავალს ის ქალაქის ბიუჯეტის კანონპროექტის ცვლილებებში ხედავს: "საკრებულომ მუშაობის სტილი უნდა შეცვალოს. ცვლილებები ქალაქის ბიუჯეტის კანონპროექტშია შესატანი, რათა მსგავსი კრიზისული სიტუაციები გათვალისწინებული იყოს", - ამბობს მანანა ნიკოლეიშვილი.

სხვადასხვა მხრიდან თავდასხმებს მანანა ნიკოლეიშვილი ეჭვის თვალით უყურებს; ის ამ ყველაფერს წინასაარჩევნო, პოპულისტურ განცხადებებად და ვანო ზედელავას წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიად მიიჩნევს.

# ვისი გახდება „კათარზისი"?

ეთერ მამულაშვილი

*სათნოების სახლ "კათარზისსა" და მერიას შორის, დაახლოებით, ათი წლის წინათ დაწყებული დაპირისპირება დღეს საოლქო სასამართლოში გრძელდება. სათნოების სახლის შენობას გაყიდვა ელის, უმწეო მოხუცებს კი შიმშილით სიკვდილი ემუქრებათ, - ორიოდ დღის წინ ასეთ განცხადებას ავრცელებდა "კათარზისის" ხელმძღვანელობა და ამაში ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებდა. გუშინ მერიის ქონების მართვისა და იურიდიული სამსახურების უფროსები საპასუხო ბრალდებებით გამოვიდნენ.*

აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სათნოების სახლს 2200 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. 1996 წლიდან მოყოლებული, "კათარზისი" მუნიციპალიტეტისგან მოითხოვს შენობის მათ საკუთრებაში უპირობოდ გადაცემას, რაზედაც შესაბამისი სამსახურებისგან ყოველთვის უარს იღებს.

წლების მანძილზე მერია შიშობდა, რომ შენობის "კათარზისის" საკუთრებაში გადაცემას სათნოების სახლის გაყიდვა და მის ადგილზე კაზინოს ან რესტორნის გახსნა მოჰყვებოდა. "კათარზისის" პრეზიდენტი ზაურ სამადაშვილი კი, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ შენობის გაყიდვა და მის ადგილას ფეშენებელური სასტუმროს წამოჭიმვა სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირ ინტერესებში შედის.

ქონების მართვის საქალაქო სამსახური "კათარზისს" სთავაზობს შენობის 49 წლის ვადით უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემას. იმ შემთხვევაში, თუკი "კათარზისის" ადმინისტრაცია მერიის ამ წინადადებას მიიღებს და სათანადო ხელშეკრულებაც გაფორმდება, მაშინ ამ პერიოდის განმავლობაში შენობით მოსარგებლე "კათარზისი" იქნება, მესაკუთრედ კი კვლავაც მუნიციპალიტეტი დარჩება.


უმწეო მოხუცებს შიმშილით სიკვდილი ემუქრებათ, - მიაჩნიათ "კათარზისისში".

"კათარზისის" ადმინისტრაციისთვის ადგილობრივი ხელისუფლების ეს წინადადება მისაღები არ არის. ზაურ სამადაშვილი ამბობს, რომ მისი ორგანიზაცია ამაზე არასდროს დათანხმდება. სამადაშვილის ამგვარი პოზიცია მერიას კიდევ უფრო მეტად აეჭვებს. "კათარზისის" პოპულისტური განცხადებების მიღმა სხვა ფარული მიზნები იმალება და არა უმწეო მოხუცებზე ზრუნვის სურვილი", - ასკვნის ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსი იური მოსიაშვილი.

თავის მხრივ, "კათარზისის" პრეზიდენტსაც აქვს უარის თქმის საფუძველი; "ახლა კი გვეუბნებიან, - 49 წელიო, მაგრამ არ არის გამორიცხული, ორი წლის შემდეგ მერიამ ხელშეკრულება გაგვიუქმოს და შენობის გაყიდვა მოინდომოს", - ფრთხილობს სამადაშვილი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში განგვიმარტეს, რომ ხელშეკრულების დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი უზურფრუქტორი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში სათნოების სახლი "კათარზისი") მესაკუთრესთან შეუთანხმებლად გაასხვისებს, გააქირავებს, არა დანიშნულებისამებრ გამოიყენებს მის სარგებლობაში არსებულ ქონებას, ან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს.

თუმცა, "კათარზისის" ხელმძღვანელობას უზურფრუქტზე უარი მხოლოდ უნდობლობის გამო არ უთქვამს. ზაურ სამდაშვილი ირწმუნება, რომ თორმეტი წლის წინათ სათნოების სახლის შენობა მაშინდელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით "კათარზისს" გადაეცა. 1995 წელს კი დედაქალაქის ვიცე-პრემიერისა და მერის განკარგულებით ხსენებული შენობა მუნიციპალიტეტს დაუქვემდებარეს.

ზაურ სამადაშვილის სარჩელის განხილვის დროს საოლქო სასამართლომ ხსენებული დოკუმენტების კანონიერებაზე უნდა იმსჯელოს. საქმის არსებითი განხილვა, სავარაუდოდ, მომავალ კვირას დაიწყება.

# მაინც დავაპატიმრებთ - იმუქრება პროკურატურა

პირველი გვერდიდან

"თელასს" შორის გაფორმებულ 2,6 მილიონლარიან ჩათვლებზე გაფორმდა. გამოძიების მტკიცებით, თანხა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. როგორც გუშინ გრიგალაშვილმა თქვა, ლომინაძის მკვლელობის მიზეზი, შესაძლოა, სწორედ ის დოკუმენტი გახდა, რომლისთვისაც დღეს გვიჩიანს ედავებიან.

მიუხედავად პროკურატურის მცდელობისა, გვიჩიანი საზოგადოებისთვის საშიშ დამნაშავედ წარმოეჩინა, სასამართლომ ბრალდების პოზიცია არ გაიზიარა.

**"გვიჩიანს ბრალი ნაკლებად მძიმე დანაშაულში ედება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოძიების პერიოდში რამდენჯერმე იმყოფებოდა საზღვარგარეთ, იქ დარჩენა და გამოძიებისთვის თავის არიდება არც უცდია. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ თავისუფლებაში დარჩენილი გვიჩიანი გამოძიებას ხელს არ შეუშლის,"** – განაცხადა საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარემ ომარ ჯორბენაძემ და ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ანუ გიორგი გვიჩიანი წინასწარი გამოძიების პროცესში თავდებით გაათავისუფლა.

**"დღემდე ქართულ მართლმსაჯულებაში ეჭვი მეპარებოდა. ვაკე-საბურთალოს რაიონის და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილების შემდეგ კი რწმენა დამიბრუნდა. მე არასოდეს დავმალულვარ და არც მომავალში ავარიდებ თავს გამოძიებას, რადგან სიმართლის დამტკიცება ყველაზე მეტად ჩემს ინტერესებშია",** – აღნიშნა სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილმა გვიჩიანმა. მისი განცხადების საპასუხოდ ბრალმდებელმა პროკურორმა დაიმუქრა: **"ცოტა ხანში "თელასში" ჩვენ უფრო მძიმე დანაშაულს აღმოვაჩენთ, საქმე ეხება არა სამ მილიონ ლარს, არამედ ათობით მილიონს და აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, კიდევ მივმართავთ სასამართლოს",** – ამბობს ვალერი გრიგალაშვილი.


იური მეჩითოვის ფოტო

*გვიჩიანი საზოგადოებისთვის საშიშ დამნაშავედ არ მიიჩნიეს.*

# ზუგდიდში ბანკის თანამშრომლები გაძარცვეს

გუშინ, დილის 12 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ცენტრში თავს დაესხნენ "გაზ-24" მარკის ავტომანქანას, რომელსაც ზუგდიდის რაიონის სამი სოფლის დევნილთათვის განკუთვნილი დახმარების თანხა მიჰქონდა. რვა შეიარაღებულმა, ნიღბიანმა მამაკაცმა მძღოლს და მოლარეს თავში ჩაარტყეს, გონება დააკარგვინეს და ფული წაართვეს. გატაცებული თანხა - 55 ათასი ლარი საქართველოს საფოსტო ბანკის აფხაზეთის №2 ფილიალში უნდა ჩაეტანათ, საიდანაც მისი გაცემა უნდა მომხდარიყო.

შეიარაღებულმა პირებმა თავი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შეაფარეს. სამართალდამცველებისთვის გამტაცებელთა ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია.

მიცემულ ჩვენებაში მანქანის მძღოლმა ზურაბ ზარანდიამ განაცხა, რომ მათ სოფელ რუხთან გზა გადაუკეტა რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა. ზარანდიას მტკიცებით, ყაჩაღები სხვადასხვა დასახელების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, მათ შორის - ხელყუმბარებითაც. თავდამსხმელებმა მანქანის მძღოლს მოსთხოვეს, მათ მანქანას უკან გაჰყოლოდა. მოგვიანებით, ჩამოსვეს მძღოლი და დაცვის თანამშრომელი, რომელმაც იარაღის გამოყენება ვერ მოახერხა, შემდეგ მძარცველებმა თანხა თავის მანქანაში გადაიტანეს და გალის რაიონის მიმართულებით გაუჩინარდნენ.

მომხდარ ფაქტზე გუშინ იმსჯელეს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზეც. აფხაზური მხარე აცხადებს, რომ მძარცველების დაკავებაში ქართველ სამართალდამცველებს დახმარებას გაუწევს.

*24 საათი*

# ცხინვალში ქართველ პოლიციელებს თავს დაესხნენ

ცხინვალში მივლინებით ჩასული შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები - რევაზ და იუზა კლდიაშვილები ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა სასტიკად სცემეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ისინი ცხინვალში ოფიციალური მოვლინებით იმყოფებოდნენ. მათ, ოს სამართალდამცველებთან ერთად, მანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი უნდა დაეპატიმრებინათ და დაეკითხათ.

ოსური მხარე ქართველ პოლიციელთა ცემის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ქართველი პოლიციელების ცხინვალში ყოფნის შესახებ მათთვის არფერია ცნობილი. არადა, ცხინვალში ვიზიტი შეთანხმებული იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის შსს-სთან. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე და ოსურ მხარეს თანამშრომლობისკენ მოუწოდა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიციამ დაადგინა ბიზნესმენ მურად იობიძის გატაცების მცდელობაში ეჭვმიტანილი პიროვნება. იგი ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე მცხოვრები, 1970 წელს დაბადებული თორნიკე შოთას ძე ფავიდაშვილი აღმოჩნდა, რომელიც დაზარალებულმა ფოტოსურათით ამოიცნო. მიმდინარეობს ძიება, გაირკვა, რომ ფავიდაშვილი ადრე სხვა დანაშაულისთვისაც იძებნებოდა.

ქუთაისის ერთ-ერთი ბაზრობის მეპატრონის მურად იობიძის გატაცება ორი კვირის წინ სცადეს. იობიძე მაშინ ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა 15 წლის გოგონას გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი არასრულწლოვანი დააკავეს. იგი აღმოჩნდა 17 წლის გიორგი ფოცხვერიშვილი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ, ვაჟა-ფშაველას გამზირის ერთ-ერთ მიკრორაიონში, საკუთარ ბინაში 15 წლის გოგონა მოტყუებით წაიყვანა და გააუპატიურა. საქმის გამოძიებას აწარმოებს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარტიზანული მოძრაობის "თეთრი ლეგიონის" წევრები ლეგიონის ყოფილ მეთაურს ზურაბ სამუშიას მოუწოდებენ, ერთი კვირის ვადაში შეხვდეს მათ და იმ ბრალდებებზე გასცეს პასუხი, რომელსაც ლეგიონერები უყენებენ. შეხვედრაზე უარის თქმის შემთხვევაში ყოფილი თანამებრძოლები ზურაბ სამუშიას ფიზიკურ განადგურებას გეგმავენ.

"თეთრი ლეგიონის" წევრები ყოფილ მეთაურს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების მიერ პარტიზანებისთვის გაწეული ფინანსური დახმარებების მითვისებასა და პოლიტიკურ თამაშებში ჩარევას აბრალებენ. პარტიზანთა მტკიცებით, ზურაბ სამუშიას 12 უმძიმეს ბრალდებაზე მოუწევს პასუხის გაცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზატორთა ჯგუფი, რომელსაც 2,12გრ ჰეროინი აღმოაჩნდა. დაკავებულები არიან მარნეულელი, 26 წლის რამინ გაბულოვი და აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მცხოვრები, 22 წლის სვეტლანა ბაგიროვა. როგორც გაირკვა, დაკავებულებს ნარკოტიკული ნივთიერება შესანახად გადასცა ვუგარ გაბულოვმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის უშიშროების სამსახურის უფროსის პაატა ბატიაშვილის მონაცემებით, ბერი ბასილ მაჩიტიძე პანკისის ხეობაში გადამალული ბოლო მძევალია, რომლის გათავისუფლებას ისინი უახლოეს მომავალში შეძლებენ. ბატიაშვილის განცხადებით, მაჩიტიძის გატაცების საქმესთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული დეტალების დადგენა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც პანკისის ხეობის სოფელ დუისში, ორი კვირის წინ სპეცღონისძიება ჩატარდა და როდესაც ლიკვიდირებულ იქნა ადამიანების გატაცებასა და სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ძებნილი ჯემალ ცატიაშვილი, დაიჭრა ხიზრი ხანგოშვილი. მოგვიანებით ხანგოშვილიც საავადმყოფოში გარდაიცვალა; თუმცა, როგორც უშიშროების სამსახურის უფროსი აცხადებს, მისი გამოკითხვა და გატაცებების შესახებ დეტალების დადგენა მაინც მოხერხდა.

# ღვინის უძველესი ქარხნის ქონება კაპიკებად გაიყიდა

*თავის დროზე საქართველოს ბევრი ღვინის ქარხანა განუკითხაობის მსხვერპლი გახდა. ქარხნებში შემთხვევით მოხვედრილმა ადამიანებმა "დღევანდელი კვერცხით" გამდიდრების სურვილით არა მარტო ღვინომარაგები და ტექნიკა გაანიავეს, არამედ კაპიკებად გაიყიდა ის უძველესი ღვინოები, რომლებიც ქვეყნის კულტურული სიმდიდრე იყო. ბევრ მათგანს დანაშაული დღემდე შერჩა,თუმცა ზოგიერთი ქარხნის ბედით სამართალდამცველები დაინტერესდნენ და ის "ბიზნესმენები" გამოააშკარავეს ვინც სტრატეგიული დარგის ქონება დაუნანებლად გაფლანგა.*

თამარ კაციტაძე

**"არამიზნობრივადაა გამოყენებული "TBC ბანკიდან" გამოტანილი სესხის ნაწილი – 23958 აშშ დოლარი, მითვისებულია ინვესტორის მიერ გამოყოფილი 290 ათასი აშშ დოლარი, ღვინის მიწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებულია კაბალური ხელშეკრულებები რუსეთის ფირმებთან, უკვალოდაა გამქრალი ქარხნის კუთვნილი 87976 ბოთლი საკოლექციო ღვინოები, რომელიც ისტორიის და კულტურის ძეგლს წარმოადგენს, ნახევარ ფასადაა გაყიდული ქარხანაში წარმოებული ღვინოები, უკანონოდ და კაბალურადაა გაქირავებული ქარხნის ტერიტორიები",** - ესაა იმ დანაშაულთა მოკლე ჩამონათვალი, რომლებსაც თბილისში მდებარე "სენაკი - №1 ღვინის ქარხნის" ყოფილ დირექტორს – ლევან დემეტრაძეს, შემცვლელ დირექტორს – თეიმურაზ კორტავას, ფინანსურ მენეჯერს - გუჯეჯიანსა და მათ ნდობით აღჭურვილ პირს – ნიკოლეიშვილის გამოძიება ბრალად სდებს.

ჯერ კიდევ 1998 წლის ნოემბერში ''TBC ბანკსა" და "სავანე - №1 ღვინის ქარხნის" ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ქარხანამ იპოთეკის ხელშეკრულებით 23958 აშშ დოლარი მიიღო. ეს თანხა ქარხნის ხელმძღვანელობამ გააფორმა ისე, თითქოს იგი საცობების საფასურად ბულგარულ ფირმა "PIC –67"-ს გადასცა. თუმცა, როგორც გამოძიებამ დაადგინა, ამ ფირმას ქარხანაში არავითარი საცობები არ შეუტანია და დღემდე უიმედო დებიტორად ირიცხება. ქარხნის აქციონერები ეჭვს გამოთქვამენ, რომ ეს ფინანსური მაქინაცია იყო და აღნიშნული თანხა იმჟამინდელმა დირექტორებმა მიითვისეს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ისიც, რომ ხელშეკრულების ვადა გასულია და 23958 დოლარი კი პრაქტიკულად გაქრა. გამოძიებით დადგინდა ისიც, რომ ფულის მიღებაზე ხელმომწერი პირი საქართველოში არასოდეს ყოფილა და, შესაბამისად, აქ ფულსაც ვერ მიიღებდა.

საბუღალტრო ექსპერტიზით ასევე დადგინდა, რომ ს/ს "სავანე N1 ღვინის ქარხნის" დირექტორს ლევან დემეტრაძესა და შემცვლელ დირექტორს თეიმურაზ კორტავას კომპანია "TURRA INC"-ისაგან 2000 წლის დასაწყისში საქვეანგარიშოდ სხვადასხვა პერიოდში მიღებული აქვთ 173 ათასი და 117 ათასი აშშ დოლარი. მაგრამ, როგორც გაირკვა, ქარხნის მაშინდელ ხელმძღვანელობას ეს თანხები ქარხნის შემოსავალში არ გაუტარებია და, აქედან გამომდინარე, არც ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოიპოვება. არადა, "TURRA INC" ადასტურებს, რომ ეს თანხა ნამდვილად გადასცა ქარხნის დირექტორებს. საბანკო დოკუმენტაციის მიხედვით, ამ თანხიდან 173056 აშშ დოლარი პირადად დემეტრაძეს მიუღია, ხოლო 117 ათასი აშშ დოლარი – კორტავას. აღნიშნული თანხა ინვესტორმა სასაწყობო ტერმინალის მოსაწყობად გამოყო, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დირექტორებს ეს თანხა არც ქარხნის სალაროში შეუტანიათ და თანხის ხარჯვის მონაცემები არც ბუღალტერიაშია გატარებული. მოკლედ, ექსპერტიზით დადგინდა, რომ ინვესტორისაგან ქარხნისათვის გამოყოფილი 290 ათასი დოლარი დემეტრაძე – კორტავამ, პრაქტიკულად, თაღლითური გზით მიითვისეს.

თუმცა, "სავანე - №1 ღვინის ქარხანაში" აღმოჩენილი დარღვევები ამით არ მთავრდება.

მარტო 1998 –2000 წლებში ღვინის ქარხნის მიერ რუსეთში 10 ორგანიზაციაზეა რეალიზებული 394643 ლარის სხვადასხვა დასახელების ღვინოები. პარადოქსია, მაგრამ აქედან 233777 ლარი დღესაც დებიტორულ დავალიანებად ირიცხება და ქარხანას ამ თანხების ამოღების შანსი, პრაქტიკულად, აღარ აქვს. არადა, როგორც ქარხნის ამჟამინდელი თანამშრომლები ირწმუნებიან, დემეტრაძე – კორტავას ამ თანხების ამოსაღებად რაიმე ღონისძიებების გატარება არც კი უცდიათ. თანამშრომლების მტკიცებით, ყოფილი დირექტორები რუსულ ფირმებთან გარკვეულ გარიგებაში იყვნენ და, შესაბამისად, ამ თანხის გარკვეული ნაწილიც სწორედ მათ ჯიბეში მოხვდა.

დემეტრაძე – კორტავა, თურმე, ქარხნის ღვინოებს თვითღირებულების ნახევარ ფასად ჰყიდდნენ და ამას მყიდველთა მოზიდვის მოტივით "ამართლებდნენ". გამოძიების მასალების მიხედვით, "ქარხანაზე ზრუნვამ" არა მარტო ქარხნის თანამშრომლები, არამედ ბიუჯეტიც მნიშვნელოვნად დააზარალა. ამ მაქინაციით დემეტრაძე – კორტავა აქციონერებსა და სახელმწიფოს ერთობლივად ატყუებდნენ. გამოძიების მასალების მიხედვით, ღვინოზე დაბალი ფასით მათ, საბოლოოდ, ქარხანა - 305594 ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი - 70118 ლარით დააზარალეს.

გამოძიების მასალების თანახმად, "სავანე - №1 ღვინის ქარხანაში" არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობაა საკოლექციო ღვინოების საკითხშიც. თუ 1988 წლის ბოლოს ქარხნის ბალანსზე 123326 ბოთლი საკოლექციო ღვინო ირიცხებოდა, 2002 წლის ბოლომდე მისი რაოდენობა 35350 ცალამდე შემცირდა. საკოლექციო ღვინოების ასეთი კლების გასამართლებელი რაიმე საბუთი გამოძიებამ ქარხნის დოკუმენტებში ვერ აღმოაჩინა. სამაგიეროდ, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, დანაკლისი ღვინოების ღირებულება 6409382 ლარს შეადგენს. ღვინოების კანონიერი გზებით გაყიდვის შემთხვევაში, ეს თანხა ქარხნის ბალანსზე უნდა ასახულიყო, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს აქედან, დღგ-სა და აქციზების სახით, 1081174 ლარი უნდა მიეღო. როგორც აღვნიშნეთ, დემეტრაძე – კორტავას ეს არ გაუკეთებიათ და გამოძიების მასალების მიხედვით, 6,4 მილიონ ლარზე მეტი თავად მიითვისეს. აღნიშნული დანაშაული 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თუმცა, ამ ნაწილში გამოძიებას საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს.

აქვე უნდა აღინიშნოს - ღვინის გაყიდვაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული იყო, რომ დემეტრაძისა და კორტავას მითითებით შესაძლებელი იყო ამ ღვინოების ღირებულება მყიდველს მესამე პირისათვის გადაეხადა. ასეთი ფაქტები ექსპერტიზამ მრავლად აღმოაჩინა. ეს მესამე პირები კი სწორედ დემეტრაძე-კორტავას და მათი ნდობით აღჭურვილი პირების კონტროლირებადი ფირმები აღმოჩნდა.

გამოძიებამ №1 ქარხნის საქმის გამოძიებისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს მიაგნო, კერძოდ, ქარხნის ტერიტორიის ნაწილის იჯარით გაცემის ხელშეკრულებას. "სავანე N1 ღვინის ქარხნის" დირექტორმა ლევან დემეტრაძემ ხელშეკრულება გააფორმა ფირმა "თემოსთან", რომლის დირექტორიც, ამავდროულად, მისი შემცვლელი დირექტორი კორტავა გახლდათ. მოკლედ, დემეტრაძე-კორტავამ, პრაქტიკულად, თავის თავს იჯარით გამოუყვეს ქარხნის კუთვნილი 150 კვადრატული მეტრი ფართობი და თანაც ძალზე სასაცილო თანხად – 40 თეთრად. მხოლოდ ქარხნის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (იგი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, ვერაზეა განთავსებული), აღნიშნულ ხელშეკრულებას კომენტირება არ სჭირდება. სწორედ ამ ფართობზე იყო განლაგებული ქარხნის მთელი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარები, რომლის საერთო ღირებულება 900 ათას აშშ დოლარს აჭარბებს. ანუ 40 თეთრად მოხდა 900 000 აშშ დოლარის ღირებულების დანადგარის 25 წლით გასხვისება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმების დროს, ისევ დემეტრაძე-კორტავას წყალობით, ქარხანა იპოთეკის ხელშეკრულებით იყო დატვირთული და ბანკის თანხმობის გარეშე ტერიტორიის იჯარით გაცემის უფლება არ ჰქონდათ.

უკვე გაკოტრების ზღვარზე მისულ ქარხნის საქმეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელსაც თავის დროზე მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურა იძიებდა, მაგრამ, ცოტა ხნის წინ ქალაქის პროკურატურამ გამოითხოვა და რაიონის პროკურატურაში და თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოებში აღძრული საქმეები გააერთიანა.

დედაქალაქის პროკურატურის გამომძიებლის, სანდრო ჩირგაძის თქმით, ქარხნის ყოფილ დირექტორს ლევან დემეტრაძეს და თეიმურაზ კორტავას ბრალი ედებათ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და გადასახადებისგან თავის არიდებაში და ისინი გაუსვლელობის ხელწერილით არიან გათავისუფლებულნი. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მკურნალობის მოტივით კორტავა თავს სხვა ქვეყანას აფარებს. მიუხედავად ამისა, პროკურატურა ირწმუნება, რომ გამოძიებას "სენაკი - №1 ღვინის ქარხნის" ყოფილი დირექტორები თავს არ აარიდებენ.

ერთი სიტყვით, გამოძიება გრძელდება, მაგრამ როდის ან რა შედეგით დასრულდება იგი, წინასწარ ძნელი სათქმელია. დღეს დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს ღვინის ქარხანას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს და ეროვნული საგანძურის – უძველესი ქართული ღვინოების ბედსაც სწორედ ის განაგებს. რამდენად წარმატებულად, ამას მომავალი გვიჩვენებს.

# ევროექსპერტები პოლიციის შესახებ კანონს იხილავენ

სოფიკო ჩხაიძე

სამართალდამცველი სტრუქტურების რეფორმირების პროცესმა მომდევნო სტადიაზე გადაინაცვლა. თუ აქამდე საერთაშორისო ექსპერტები რეფორმების კომისიის მუშაობაში იყვნენ აქტიურად ჩართულნი, კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ ისინი რეფორმების კონცეფციით გათვალისწინებული კანონმდებლობის მზადების პროცესს შეუერთდნენ.

გუშინ დასრულდა სასტუმრო "მარიოტში" გამართული ორდღიანი სემინარი, რომლის ფარგლებშიც ევროსაბჭოს ექსპერტები ქართველ სამართალდამცველებთან ერთად მიმოიხილავდნენ რეფორმების უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მიერ მომზადებულ ორ კანონპროექტს: პოლიციის შესახებ და სამსახურებრივი კარიერის შესახებ. ეს კანონპროექტები ინგლისურად ითარგმნა და ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნა. ამჯერად ევროსაბჭოს ექსპერტების საქართველოში ჩამოსვლის მიზანია საკუთარი მოსაზრებების და რეკომენდაციების ქართული მხარისთვის წარდგენა.

სემინარზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების წინაშე ევროპელებმა აღიარეს, რომ მომზადებული პროექტები მთლიანობაში აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს.

ევროსაბჭოს ადმინისტრაციული ოფიცრის, საფრანგეთის ჟანდარმერიის გენერლის ევეი ბუჟეს თქმით: **"ჩვენი მიზანია საქართველოში ისეთი კანონი მიიღონ, რომელიც ევროპულ სტანდარტებს გაითვალისწინებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციელის ეთიკისა და მოქმედების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვება. პოლიციელი ასევე ვალდებულია, იყოს ეფექტური ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით".**

სწორედ ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებაში პოლიციის მუშაობის რეგულირების მცდელობა მიაჩნია პოლიციის შესახებ კანონპროექტის უმთავრეს მიღწევად კონრად ადენაუერის ფონდის რეგიონულ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში ლევან იზორიას, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა კანონპროექტის შექმნაში.

**"ჩვენი მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, რომ პოლიციის კანონი პასუხობდეს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დაცვის მოთხოვნებს და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს,** - ამბობს ლევან იზორია, - **კერძოდ, დეტალურად უნდა იყოს რეგლამენტირებული პოლიციის ყველა მოქმედება. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ პოლიციამ და მოქალაქემ იცოდნენ თავიანთი უფლებების საზღვრები, რომელსაც თუ გადასცდები, სასამართლო პერსპექტივა გარდაუვალია. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ითხოვს სახელმწიფო უწყებების (მით უმეტეს - პოლიციის, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა) უფლება-მოსილების სამართლებრივად მკაცრ რეგლამენტირებას. ჩვენი კანონპროექტი ამ მოთხოვნას პასუხობს, რის გამოც ექსპერტების მოწონება დაიმსახურა. თუმცა, აქვთ გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები".**


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ჩვენი მიზანია საქართველოში ისეთი კანონი მიიღონ, რომელიც ევროპულ სტანდარტებს გაითვალისწინებს".*

სხვათა შორის, შენიშვნებზე საჯაროდ საუბარი არც ევროპელ ექსპერტებს სურდათ და არც სემინარის მონაწილე ქართველებს, რომლებიც როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოსნებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც წარმოადგენდნენ.

სამაგიეროდ, ყველანი ერთსულოვნად საუბრობდნენ რეფორმის საქმეში სამართლებრივი განათლების გაუმჯობესების როლზე. იმავე ლევან იზორიას თქმით: **"რეფორმის განსახორციელებლად, პოლიტიკური ნების გარდა, რაც, ცხადია, უმთავრესი ფაქტორია რეფორმის ბოლომდე მისაყვანად, ბევრი სხვა რამაა საჭირო. პირველ რიგში, აუცილებელია კადრების სწავლების უზრუნველყოფა, სწავლების კურსის შემუშავება და ტრეინინგების ჩატარება. ეს გრძელვადიან პერსპექტივაში გასაკეთებელი საქმეა. ვფიქრობ, რომ ამაში ევროსაბჭომ დიდი დახმარება უნდა გაგვიწიოს, რადგან ჩვენ დეფიციტს განვიცდით როგორც მწვრთნელების, ისე სწავლების პროგრამების თვალსაზრისით. ჩვენ სტუმრად მყოფ ექსპერტებს ვაცნობთ ჩვენს პრობლემებს, ხარვეზებს, დეფიციტს; მოკლედ, ვაწვდით ინფორმაციას, რომელსაც ისინი მოახსენებენ ევროსაბჭოს. იქ კი, თავის მხრივ, შეიმუშავებენ ჩვენთან თანამშრომლობის ტაქტიკას".**

# ამქვეყნიური დედოფლობიდან ზეცაში სადედოფლოდ გადაინაცვლა

## ამბროზიო დუშ ანჟუში

ცისანა ბიბილეიშვილი

**ამბროზიო დუშ ანჟუში** (ნამდვილი გვარი **ჟუაო პინტო**) (1592 – ლისაბონი (პორტუგალია) – 1642), დაიბადა კოიმე პირესა და კატრინ ალვარესის ოჯახში. 1611 წლის 27 ნოემბერს 18 თუ 19 წლისა წმ. ავგუსტინელ განდეგილთა კონგრეგაციაში შევიდა, 1612 წლის 2 ნოემბერს პორტუგალიის პროვინციაში ეკურთხა მღვდლად, ხოლო 1618 წელს კათოლიკე ელჩ გარსია და სილვა ფიგეროასთან ერთად სპარსეთის მისიონში გაგზავნეს, სადაც მან 9 წელი დაჰყო. აქედან 7 ისპაჰანში და 2 შირაზში. 1624 წ. იგი შირაზის წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერია.

ლისაბონის ტორე დე ტომბოს ბიბლიოთეკაში დაცულია ორი საბუთი: I – „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ სპარსეთის სამეფოს დედაქალაქ შირაზში შაჰ-აბასის ბრძანებით, 1624 წლის 22 სექტემბერს, აღწერილი შირაზის წმ. ავგუსტინეს ორდენის მონასტრის ბერის, მამა მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ" და II – „მამა მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ საქართველოდან 1628 წლის 29 ივნისს გაგზავნილი წერილის ასლი".

ამ დოკუმენტებში მოთხრობილია შირაზში, ავგუსტინელ მამათა მონასტრის დაარსებისა და მისიონერების პირველი კონტაქტების შესახებ შირაზში ტყვედ მყოფ ქეთევან დედოფალთან. აღწერილია მისი მოწამებრივი სიკვდილი, დაფლვა, დედოფლის წმ. სხეულის აღმოჩენა, მისი განუწყვეტელი გადამალვა და საბოლოო გაქრობა.

თვითმხილველი მოწმე მამა ამბროზიო დუშ ანჟუში აღწერს ქეთევან დედოფალს: „ეს მომხიბვლელი ქალბატონი ტანმაღალი გახლდათ. დაახლოებით 40 წლისა იქნებოდა, ხელთ მლოცველის კვერთხი ეჭირა, შავად მოსილი თავსაბურავს მოშავო პირბადით იკრავდა, პირმშვენიერი და თავმდაბალი არა მხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მბრძანებლობის ღირსი იყო. უმწიკვლო და სასიამოვნო პიროვნება განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა მხილველთ, მისი ლამაზი, დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ ყოველივეს, რაც მის სულში ხდებოდა..."

„ნამდვილი ცნობების" დღემდე შემონახული ორივე რედაქცია 6 თავისაგან შედგება. მისი IV თავი – „ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი სიკვდილი" მამა ამბროზიომ განზოგადებული შინაარსით 1640 წელს რომში წარუდგინა პროპაგანდა ფიდეს მოხსენებით ბარათში თავისი ოცდაორწლიანი მოღვაწეობის შესახებ სპარსეთსა და საქართველოში. ეს ფრაგმენტი 1910 წ. ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა მიხეილ თამარაშვილმა, 1973 წ. კალისტრატე სალიამ, 1956 წ. კი დევიდ ლანგმა, ინგლისურ ენაზე.

შირაზში ეკლესიის ასაგებად ჩასული დუშ ანჟუში დედოფალმა თავაზით მიიღო, შეწირულებებს უგზავნიდა. ისინი ხშირად საუბრობდნენ სასულიერო საკითხებზე. მამა ამბროზიო განსაცდელში მყოფ დედოფალს ურჩევდა, მოთმინება გამოეჩინა და მოუწოდებდა სიმტკიცეს ქრისტეს რწმენაში. ხშირად ესაუბრებოდა კათოლიკურ ეკლესიასა და რომის პაპის სიდიადეზე.

1624 წ. სპარსეთის შაჰის მსახურებმა დედოფალი წამებით მოკლეს შირაზში და ქრისტიანებს რომ ვერ მიეგნოთ, მინდორში საგანგებოდ გათხრილ ღრმა ორმოში დაფლეს. ნეშტი 3 თვისა და 13 დღის განმავლობაში ამ ორმოში იყო. 1625 წ. 4 იანვარს მამა ამბროზიო დუშ ანჟუშმა ორ სხვა კაცთან ერთად ორი ღამე ფარულად თხარა ორმო, ნეშტი მიწიდან ამოასვენეს, ყუთში ჩაასვენეს, თავიანთ ეკლესიაში წაიღეს და საპატიო ადგილი მოუჩინეს. მამა ამბროზიოს აზრით, შირაზის ეკლესია ვერ იკისრებდა ასეთი ძვირფასი განძის იმავე ქალაქში დაცვას, სადაც მოწამებრივად აღესრულა დედოფალი და იგი ისფაჰანში, ავგუსტინელთა მონასტერში გადააგზავნა. დედოფლის წმ. ნაწილები ისფაჰანში იყო 1626 წლამდე, სანამ ამ მონასტრის ბერები და მათი წინამძღვარი მამა მანოელი დააპატიმრეს და შირაზში გაგზავნეს. პატიმრებმა ფარულად თან წაიღეს ერთადერთი განძი – ქეთევან დედოფლის წმ. ნაწილები. ამ ამბებამდე ცოტა ადრე, მამა ამბროზიო გოას გაემგზავრა ავგუსტინელი ბერების საქართველოში გამგზავრების ნებართვის მოსაპოვებლად. ბერებს დედოფლის წმ. ნაწილების ერთი ნაწილი საქართველოში უნდა წაეღოთ და ამით მეფე თეიმურაზი შეეგულიანებინათ, რომ ისინი თავის ქვეყანაში მიეღო. 1627 წელს, 10 თვის პატიმრობის შემდეგ, ავგუსტინელი ბერები გაათავისუფლეს. ამ ხნის განმავლობაში მათ ძვირფასი განძი არ მოუშორებიათ. ისფაჰანში დაბრუნებულმა მამა მანოელმა გადაწყვიტა გოაში წასულიყო და გრასას მონასტრისთვის წაეღო „წმ. დედოფლის მარჯვენა ხელი ხორცით და მკლავის ძვალი".

1631 წ. მამა ანტონიო დე სანტუ ვინჩენცე და მამა ავიტაბილემ რომში ჩაიტანეს დედოფლის თავის ქალის ნაწილი, რომელიც მამა ამბროზიომ 1628 წ. მისიში გოაში წაიღო, ავგუსტინელებმა გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო, ძველი განზრახვა აღესრულებინათ და განძი საქართველოში წაეღოთ, რაც მისიონის წარმატებას შეუწყობდა ხელს. მამა ამბროზიომ ადვილად დაარწმუნა თავისი უფროსები, რომ მისი და იმავე ორდენის სხვა ბერის საქართველოში წასვლის დრო დამდგარიყო. 1628 წლის 13 თებერვალს მამა ამბროზიო სავრო პირის თანხლებით გაემგზავრა საქართველოსკენ. ისინი 3 თვის შემდეგ, სომხეთზე გავლით ჩავიდნენ საქართველოში, სადაც მათ სპარსელებთან ომებითა თუ ლეკების შემოსევებით აოხრებული ქვეყანა იხილეს. მოსახლეობას ყველაფერი აკლდა, მაგრამ სპარსელების თხუთმეტწლიანი უღლისაგან გათავისუფლებული ბედნიერად რაცხდა თავს და დარწმუნებული იყო, რომ კვლავ ქრისტიანი მეფე ეყოლებოდა. 1628 წლის 11 მაისს მეზვერებმა მიაღწიეს ბანაკს, სადაც თეიმურაზი ოჯახითა და სამეფო კარით იმყოფებოდა. თეიმურაზი მამა ამბროზიო დუშ ანჟუშს შეეკითხა, რა იცოდა დედამისის ცხედრის შესახებ. მას ამ საკითხთან დაკავშირებით შაჰ-აბასისთვის რამდენიმე ელჩობა გაეგზავნა, მაგრამ უპასუხოდ, რომელიღაც ორდენის წმ. მამამ მიაპარსონ. როდესაც მამა ამბროზიომ აუწყა, ცხედარი თან ჩამოიტანეთო, თეიმურაზმა დიდად გაიხარა.

მეორე დღეს, წირვის შემდეგ თეიმურაზმა მოისურვა წამებისა და ამოსვენების დეტალების გაგება. ნაშუადღევს მან სამი ბერი გაგზავნა წმ. ნაწილების სანახავად. მათ მოახსენეს, რომ ნახეს წამებულის ფეხი, რომელსაც მარწუხის კვალი ეტყობა. მეფემ ამ ნაწილების ალავერდის ტაძარში დასვენება ბრძანა.

მამა ამბროზიომ კათალიკოს ზაქარიას რომში წასვლა შესთავაზა. ამ უკანასკნელმა მოხუცებულობა მოიმიზეზა და უარი უთხრა. რომში წასვლაზე უარი თქვა თეიმურაზმაც. მან ავგუსტინელ ბერებს ნება დართო მონასტერი აეგოთ. ბერებმა არჩევანი გორზე შეაჩერეს, სამლოცველო და ორი სახლი ააგეს და ზრუნვა დაიწყეს კახეთში ახალი მისიონის დასაარსებლად.

მამა დუშ ანჟუში საქართველოში 12 წელი დარჩა. გორში მონასტრის დაარსების შემდეგ იგი რომში წავიდა და 1640 წ. წარადგინა ანგარიში საქართველოსა და სპარსეთში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ავგუსტინელებს სურდათ ქეთევანი რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულად გამოეცხადებინათ. რომში საკითხს წლების მანძილზე აჭიანურებდნენ. 1640 წელს, რომში ყოფნისას მამა ამბროზიომ აშკარად აღიარა, რომ ქეთევანს ქართული ეკლესია არასოდეს მიუტოვებია – „მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმ. კათოლიკურ ეკლესიასა და ყველა ლათინელს მხურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო ეხმარებოდა მათ".

1642 წ. სამშობლოსკენ მიმავალი მამა ამბროზიო რომსა და ლისაბონს შორის გემის კატასტროფაში დაიღუპა.

# ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი სიკვდილი

ამბროზიო დუშ ანჟუში

როდესაც სპარსეთის შაჰის მსაჯულები შირაზში ჩავიდნენ, ისინი მაშინვე დედოფლისკენ გაემართნენ, აცნობეს ხელმწიფის დანაბარები: დედოფალს ან სარწმუნოება უნდა დაეთმო, ან სიცოცხლე, ან უნდა გამაჰმადიანებულიყო, ან მომზადებულიყო საშინელი სიკვდილისთვის, რომლის შესახებაც, დედოფლის უარის შემთხვევაში, ხელმწიფემ უკვე გასცა ბრძანება. დედოფალი ჯერ გააოცა და ააღელვა ამ მოულოდნელმა ცნობამ, მაგრამ ყველაზე მეტად გასაოცარი ის თავდაჭერა გახლდათ, რომლითაც შაჰის მსაჯულებს უპასუხა, რომ შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ხელმწიფის დანაბარები, რომ თავისი ღმერთის წყალობითა და შემწეობით იგი მზად არის ყოველგვარი წამება აიტანოს, რომ იგი დაიცავს და შეინარჩუნებს თავის სარწმუნოებას, რომელიც ჭეშმარიტად მიაჩნია და დარწმუნებულია მაჰმადის რელიგიის სიყალბეში. თან დასძინა, შაჰს შეუძლია ბევრი ჭრილობა მიაყენოს ჩემს სხეულს, ამით ჩემს სულს მხოლოდ სიკეთეს მოუტანსო. სახარებით შთაგონებულმა დედოფალმა წმ. მათეს სიტყვები წარმოთქვა: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ ხელ-ეწიფების მოკლვად".

ამ ღირსეული პასუხის შემდეგ დედოფალმა სთხოვა მათ, მიეცათ დრო თავის სამლოცველოში შესულიყო და აზრი მოეკრიბა. ისინიც დათანხმდნენ. სამლოცველოში დედოფალი მუხლებზე დაეცა, დიდი გულმოდგინებით რომ ელოცა. ღვთისმოსავობით აღვსილი, თვალცრემლიანი შეევედრა ჩვენს უფალს, იესო ქრისტეს, მიეცა მისთვის ძალა და მხნეობა, რათა განეგრძო, განეხორციელებინა და სრულეყო ის საქმე, რომლის გაკეთებაც მას სურდა. უაღრესად მორწმუნე ქრისტიანმა დედოფალმა კარგად იცოდა, რომ ბედი ზეცის განგება იყო. ლოცვა რომ დაამთავრა, ადგა, სამლოცველოს კედლებზე განლაგებულ წმინდანთა გამოსახულებებს შეხედა, სიყვარულით შესთხოვა ჩვენი უფლის წინაშე ეშუამდგომლათ მისთვის ამ განსაცდელში, მიეცათ ძალა და გონება დიდი და მნიშვნელოვანი განსაცდელი დაესრულებინა. პირში ნაკურთხი პურის ნატეხი ჩაიდო, სწრაფად გამოვიდა სამლოცველოდან, შაჰის მსაჯულებთან მივიდა და უთხრა, რომ შეეძლოთ შედგომოდნენ მათი ხელმწიფის ბრძანების შესრულებას. მისი სილამაზით გულაჩუყებულ მსაჯულებს მოაგონდათ, რომ სულგრძელი ადამიანების დაყოლიება კეთილი მოპყრობით უფრო შეიძლება, ვიდრე დასჯით. ტკბილი და სასიამოვნო საუბარი გაუბეს, ურჩევდნენ საკუთარი თავი შეებრალებინა და გამაჰმადიანებულიყო. შაჰი ურიცხვ სიკეთესა და პატივს მიაგებდა და ისე მოექცეოდა, როგორც მისებრ დიდ ქალბატონსა და დედოფალს შეშვენოდა. შაჰის მსახურებმა ბევრი სხვაც დასძინეს. მათი ნათქვამი ნაკლებ მორწმუნე, მერყევ სულს ააღელვებდა. დედოფალმა კი მიუგო, რომ ვერც დაპირებები, ვერც მუქარა, ვერც სიმდიდრე და წამება ვერ განაშორებდნენ უფლის რწმენას, რომელსაც ამქვეყნიურ დიდებაზე მეტ პატივსა სცემს; რომ იგი უკუაგდებს და უგულებელყოფს ყველაფერს და თავისი ღმერთის სიყვარულსა და რწმენას შეინარჩუნებს. შაჰის მსახურები აღაფრთოვანა ასეთმა უძლეველმა სულმა, მაგრამ მაინც სცადეს დაერწმუნებინათ, ყურად ეღო მათი რჩევა. უთხრეს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მას წამებამდე მიიყვანდა, რომ მათ შაჰმა უბრძანა, რაც შეიძლება სასტიკად ეწამებინათ იგი. შეუდრეკელმა დედოფალმა მიუგო, ასეთ წმინდა და სამართლიან საქმეში რჩევა ზედმეტიაო და სთხოვა ჩქარა აღესრულებინათ შაჰის ბრძანება, მე მზადა ვარ და ყოველგვარი ცდა საქმის გაჭიანურებად მიმაჩნიაო.

ამ პასუხში შაჰის მსახურებმა დედოფლის უძლეველი სული დაინახეს. გადაწყვიტეს ხელმწიფის ბრძანება შეესრულებინათ. უხმეს ორ ჯალათს, დედოფლის აპარტამენტის ეზოში მოლაპარაკების დამთავრებას რომ ელოდნენ. ჯალათები შემოვიდნენ და თან მოგიზგიზე ნაღვერდლით სავსე ორი მაყალი და ორი საზარელი მარწუხი შემოიტანეს. დედოფლის საწამებლად მოემზადნენ. სახლიდან გამოიყვანეს ყველა მისი ახლობელი, რომლებიც ცრემლითა და ოხვრით დასტიროდნენ პატრონის ბედს. არ ესმოდათ, რაოდენი ბედნიერება დაუკავშირა ზეცამ ამ საქმეს. ჯალათები ღვთისმოსავ დედოფალს სწვდნენ, ხელები ზურგსუკან რომ შეეკრათ. დედოფალმა უარი განაცხადა და დასძინა, მაჰმადიანივით უკან ნუ შემიკრავთ ხელებს, წინ შემიკარით, როგორც ქრისტიანებს უკრავენ, რათა შემეძლოს ხელები მაღლა აღვაპყრო, ჩვენი ღმერთისა და უფლისკენო (რაც მის ქვეყანაში სიკვდილმისჯილთა წესი უნდა ყოფილიყო). სასტიკმა ჯალათებმა ქეთევანის წამება დაიწყეს. ჯერ გავარვარებული სპილენძის ჭურჭელი დაადგეს თავზე, შემდეგ ლამაზ სახეზე ჩამოუცურეს და გახურებული მარწუხებით სახიდან ხორცი მოგლიჯეს. ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა ლოყიდან. დაუტოვეს გადმოდენილი სისხლი, რომელიც სიწმინდისთვის მოწყალების ნიშნად გამოუგზავნა ზეცამ. დედოფალი წელს ზემოთ გააშიშვლეს, გავარვარებული მარწუხები ჩასჭიდეს და მის მკერდს წვალება დაუწყეს, დაუწვეს და მოაგლიჯეს ძუძუები. სპარსეთის შაჰი იქ რომ ყოფილიყო, ჩვენს წამებულს ნამდვილად შეეძლო ეთქვა ის, რაც წმ. წამებულმა სახელოვანმა აღათიამ უთხრა კვინტინის: „ულმერთო, სასტიკო და არაადამიანურო ტირანო, შენ არც კი გრცხვენია ქალს მოჭრა ის, რითაც დედაშენი გკვებავდა. გულქვავ, ბრინჯაოს გული უნდა გედოს". ჩვენმა წამებულმა ეს ვერ თქვა, რადგან სხვა სატანჯველით იტანჯებოდა. ამდენი მამაკაცის წინ შიშველი იდგა, ზოგი მათგანი სიცოცხლეს ართმევდა, საშიშროებას უქმნიდა მის პატიოსნებას, რომელსაც იგი ყოველთვის, ყველაფერზე მაღლა აყენებდა. დედოფალმა პირველად ამოიოხრა და ამან ცხადყო, რომ დაწვაზე მეტად სიშიშვლისგან იტანჯებოდა. მოულოდნელად მას უარესი წამება მიაყენეს: ჯალათები თავიანთი ნამოქმედარით არ დაკმაყოფილდნენ, მთლიანად გააშიშვლეს დედოფალი, ქვედა საცვლისამარა დატოვეს (რომელსაც მისი ქვეყნის ქალები ჩვეულებრივ, ტანისამოსის ქვეშ ატარებენ). ამრიგად, უფალმა ინება, რომ წმინდანი მის ძეზე მეტად არ დაეტანჯათ, რომელიც ჯვარს აცვეს სრულიად შიშველი, ყველას დასანახად და სხეულის არც ერთი ნაწილი დაფარული არ ჰქონია. ჯალათები გახურებული მარწუხებით აწამებდნენ დედოფლის სხეულს. ასეთი წამებით ძალაგამოლეული დედოფალი მიწაზე დაეცა. დაცემულს თოვლივით თეთრ სხეულზე ორივე მაყალი ზედ დააყარეს. ასეთი როზარიუმი ანგელოზებსაც კი შეშურდებოდათ, მსგავსის შექმნის საშუალება რომ ჰქონოდათ. და ვინ იცის, იქნებ ამ ბაღში სეირნობს საქმრო, ქალწულს რომ ეუბნება, შროშანებისა ვარო, წამებულს კი – ვარდებისაო. დიდებული წამებული ერთხანს ასე იწვა. გასაოცარი სიმტკიცით ითმენდა ამ წვასაც (რომლის მსგავსიც ქვეყნად არაფერი უნახავთ). ჯალათებს დამარცხებისა შეეშინდათ. მათ ხომ ვერც გავარვარებული მარწუხებით და ვერც ნაღვერდლით ვერ წაართვეს სიცოცხლე დედოფალს. ისინიც ეცნენ და ხელებით დაახრჩვეს. საინტერესოა, რა უფრო სასტიკი იყო – რკინის მარწუხები, თუ ეს ხორციელი ხელები, რომელი უფრო არაადამიანური იყო, ეს ნაღვერდალი, თუ ეს თითები? ნაღვერდალი მას წვავდა, მაგრამ არ ახრჩობდა. მარწუხები ხორცს გლეჯდნენ, მაგრამ სიცოცხლეს ვერ ართმევდნენ. ამრიგად, ხელები მაგარ რკინაზე სასტიკი აღმოჩნდა. თითები უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე ალმოდებული ნაღვერდალი, მაგრამ, ულმერთობის მიუხედავად, ხელებსა და თითებს აღმოაჩნდათ ის სიკეთე, რომელიც მარწუხებსა და ნაღვერდალს აკლდა. მათ დააჩქარეს სახელოვანი დედოფლის სიკვდილი. სიცოცხლე წაართვეს, წამებულის დამსახურებული გვირგვინი რომ დაედგათ. ამრიგად, მე ამ ხელებს ბედნიერს უფრო ვუწოდებ, ვიდრე – საშინელს; ეს თითებიც უფრო ბედნიერია, ვიდრე არაადამიანური, ვინაიდან ეკლესია დიდებად ქცეულ შეცდომას „ბედნიერ დანაშაულს" უწოდებს. ჩვენც ასე ვუწოდოთ იმ ხელებსა და იმ თითებს, რომლებიც ზეცას მიწვდნენ და დიდების ვარდები დაკრიფეს, რათა დედოფლისათვის გვირგვინი დაედგათ დედამიწაზე. მიწაზე დატყვევებული, წამებული დედოფალი გახდა ზეცაში. ეს დიდი წამება მან 1624 წელს განიცადა.

# საფლავი, რომელიც პირველად მიუჩინეს სახელოვანი წამებულის ნეშტს და მისი გადასვენება ჩვენი წმ. მამის ავგუსტინეს მონასტერში

მოკვდა სახელოვანი დედოფალი, ქეთევან წამებული, რომელმაც ამქვეყნიური დედოფლობიდან ზეცაში სადედოფლოდ გადაინაცვლა. სატანის ურჯულო მსახურებმა ვერ გაიგეს ამ განძის სიმდიდრე და ვერც სახელოვანი დედოფლის ნეშტის ფასი, რომელიც, ცოცხალი თუ მკვდარი, წმინდა სულის ტაძარია, საშუალება და იარაღი. ამრიგად, როგორც კი დედოფალს სული ამოხდა, მისი ნეშტი ტომარაში ჩააგდეს და ორ კაცს დაავალეს მისი დაფლვა მინდორში, სადაც უკვე ამოეთხარათ ღრმა ორმო. ცხედარი ორმოში ჩააგდეს და ისე დააყარეს მიწა, რომ ქრისტიანებს ვერც კვალი შეემჩნიათ და არც რაიმე მოსაგონარი დარჩენოდათ; მათ კარგა ხანს, მართლაც, დაკარგული ჰქონდათ საფლავის პოვნის იმედი.

ამრიგად, დედოფლის ნეშტი დამარხული იყო სამი თვისა და ცამეტი დღის განმავლობაში. ამან დაამწუხრა და სევდა მოჰგვარა ჩვენს ბერებსა და ფეხშიშველა კარმელიტებს შირაზში. თითოეული მათგანი ამბობდა: ვინ იქნება ისეთი ბედნიერი, რომ შეძლოს ამ ძვირფასი განძის მოძებნა, მიწიდან ამოღება და თავისი ეკლესიის გამდიდრება. თუ გულმოწყალე უფალმა, რომელიც თავის მსახურებს შორის საკუთარი ნებით ანაწილებს სიუხვეს, უწინ მფარველობა კარმელიტ მამებს გაუწია, ამჯერად ეს განძი ჩვენთვის, ჩვენს პატივსაცემად და მთელი ჩვენი წმინდა, განდეგილური რელიკვიის გასამდიდრებლად შემოინახა. როგორც ჩანს, უფალმა გვიჩვენა და აღგვითქვა ციური ნიშნით, რაც იმაში გამოიხატა, რომ დედოფლის სახელოვან წამებამდე დაახლოებით თვენახევრით ადრე შირაზში, ჩვენი ეკლესიის თავზე დიდი ნათელი უხილავთ.


ქეთევან დედოფალი, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშთან აღსარების დროს


ქეთევან დედოფლის წამება შირაზში, 1624 წლის 24 სექტემბერი


მამა ამბროზიო დუშ ანჟუში თეიმურაზ პირველს გადასცემს ქეთევან დედოფლის წმ. ნაწილებიან ყუთს

ნომრის პერსონა

# მთელი მთავრობის პასუხისმგებლობას ყოველთვის ფინანსთა მინისტრს აკისრებენ...

A1 გვერდიდან

*დავით ონოფრიშვილი ახლა აშშ-ში მოღვაწეობს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ვიზიტისას თითქმის ყველა მნიშვნელოვან შეხვედრაზე ახლდა. ეს ნინო ბურჯანაძის სურვილი იყო... დავით ონოფრიშვილი დღეს აშშ-ს ვანდერბილთის (ტენესის შტატი) უნივერსიტეტის პროფესორია. ლექციებს კითხულობს საგეგმო ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების (მათ შორის, საქართველოს) პრობლემატიკაზე. ლექციების კითხვა უწევს სტენფორდის, ბერკლის, ლოს-ანჯელესის და სანტა ბარბარას უნივერსიტეტებში. ფინანსთა მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კვლევის ცენტრი", რომელიც დღესაც არსებობს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური დეპარტამენტის პირველი ქართველი ექსპერტ-კონსულტანტი იყო და ამ რანგში ყირგიზეთში, სავალუტო მისიის შემადგენლობაშიც მუშაობდა. პარალელურად იყო მარეგულირებელი საბჭოს და კინოსტუდია "ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. რადიო "აუდიენციაში" მიჰყავდა გადაცემა "დაურეკეთ ონოფრიშვილს", სადაც 8 თვის განმავლობაში მოსახლეობას მათთვის მწვავე შეკითხვებზე პასუხობდა და როგორც აღმოჩნდა, ხალხი მასზე, როგორც ფინანსთა მინისტრზე, გაბრაზებული არ იყო - ბრალდებებს არ უყენებდნენ და რჩევებსაც ეკითხებოდნენ.*

- ზღვარი მდიდარსა და ღარიბს შორის დღითი-დღე იზრდება. სიღარიბის პროგრამის ყველა ექსპერტი აღიარებს, რომ ეს ტენდენცია განსაკუთრებით სწრაფად საქართველოში ვითარდება, რაც განაპირობა უკანონობამ, სასამართლო გადაწყვეტილებების უსამართლობამ. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კანონმდებლობა საკმაოდ კარგია, ხშირად მისი უგულებელყოფა ხდება. გარდა ამისა - საქართველოში მძვინვარებს კორუფცია, რომელიც რეფორმების შემაფერხებელი სენია. უფრო საშიში ის არის, რომ დეკლარირებული ბრძოლა შემთხვევით, სიმბოლურ ხასიათს ატარებს და ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური ანგარიშსწორების საგანი ხდება.

**- ბრძანეთ, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში სწრაფად გამდიდრდა მოსახლეობის მცირე და გაღარიბდა დიდი ნაწილი. რა არის ამის მიზეზი?**

- ეს პირდაპირ კავშირშია რეფორმებთან, რომელიც საქართველოში უფრო სწრაფად და ეფექტურად უნდა გატარებულიყო. ეს მხოლოდ ეკონომიკურ რეფორმებს არ ეხება. იგივე შეიძლება ვთქვათ აღმასრულებელი ხელისუფლების, სახელმწიფო სექტორის, სასამართლო რეფორმაზე, რომელიც სააკაშვილმა დაიწყო და ბოლომდე ვერ მიიყვანეს. მწირი მატერიალური მხარეა მიზეზი იმისა, ეს ყველაფერი რომ ეკონომიკური რეფორმების პარალელურად არ მიმდინარეობდა. გადასახადების ამოღება კონტრაბანდისა და კორუფციის გამო ვერ ხერხდებოდა... ეს თემები დღესაც იგივე სიმწვავით დგას, როგორც ჩემს დროს და ჩემს მინისტრობამდე. თუმცა, ჩემი უბედურება ის იყო, რომ ნახევრად ფინანსთა მინისტრი ვიყავი, რადგან საშემოსავლო ნაწილი ფინანსთა სამინისტროს არ ეკუთვნოდა - საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები მაშინ ცალკე იყო და მას კანცელარია კურირებდა.

**- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ამერიკული ვიზიტისას თითქმის ყველა მნიშვნელოვან შეხვედრაზე ახლდით. რა შთაბეჭდილება დარჩა ამერიკის მხარეს?**

- ქალბატონი ნინოს ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა. მას ამერიკის ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტთან და პიროვნებასთან ჰქონდა შეხვედრა - თეთრ სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტში, კონგრესში, სენატში, მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციაში. საკმაოდ დატვირთული გრაფიკი იყო.

**- სავალუტო ფონდთან შეხვედრით დავიწყოთ. ეს საჩქარო საკითხია. მოგეხსენებათ, მთავრობა მისიის ჩამოსვლას და მძიმე მემორანდუმს ელის, რადგან შეუსრულებელია პარამეტრები. საინტერესოა თქვენი ვერსია - როგორ დაიძვრენს ხელისუფლება თავს ამ მძიმე ვითარებიდან?**

- შეგვხვდა ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჰორსტ კოლერი. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოსთან მომუშავე ჯგუფი და დსთ-ს ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი ჯონ ოდლინგ-სმი. ცალკე შეხვედრა გაიმართა ოდლინგ-სმისთან და საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან პაოლო ნეუჰაუზთან. გაიმართა შეხვედრა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან ჯეიმზ ვულფენსონთან და საქართველოსთან მომუშავე ჯგუფთან დონა დოუსეთ-კორიოლის ხელმძღვანელობით.

ადამიანური თვალსაზრისით გულთბილი შეხვედრები იყო, მაგრამ... 1996-97 წლიდან, რაც კი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მოლაპარაკება გამართულა, ყველას ვესწრებოდი და შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი მძიმე ურთიერთობა ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ისტორიაში არ ყოფილა. კოლერმა ხმამაღლა განაცხადა, რომ საქართველოში შექმნილი მდგომარეობით, რეფორმების ნელი ტემპით იმედგაცრუებულნი არიან. მისია ორჯერ იყო ჩამოსული და პარამეტრები შესრულებული არ არის.

**- რას ნიშნავს პროგრამის შეწყვეტა, ეს გამაფრთხილებელი სანქციაა?**

- შეწყვეტა არ ნიშნავს სავალუტო ფონდის საერთოდ წასვლას საქართველოდან. ხშირად ეს თემა სპეციალურად მწვავდება, რათა მერე აღმოჩნდეს, რომ "ყველაფერი კარგად არის", მაგრამ სსფ ასე მარტივად ურთიერთობებს არ წყვეტს. საქართველოში 7-8 წლის მანძილზე, დაახლოებით, 4-5-ჯერ იყო პროგრამა შეწყვეტილი, მაგრამ დღევანდელი სიტუაცია უფრო სხვა მოტივებით არის გართულებული და ამის შესახებ თქვეს კიდეც...

მოახლოებულია საპარლამენტო არჩევნები, შემდეგ – საპრეზიდენტო. მათ არ სურთ, რომ არჩევნები რეფორმების შეფერხების მიზეზი გახდეს. ბევრ ქვეყანაში არჩევნები პოპულიზმის ფონზე მიმდინარეობს, პოლიტიკურ ძალებს დაპირებებში ერთმანეთის ჩამორჩენა არ სურთ. ეს განვითარებულ ქვეყნებშიც ხდება.

წინა პერიოდის მაგალითებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს დაანახა, რომ არჩევნები რეფორმების შეჩერების მიზეზი ხდება. ეს კი, მათი აზრით, დაუშვებელია, რადგან არშემდგარი რეფორმები, პირველ რიგში, ხალხს აზარალებს. ეს მათ სერიოზულად აშფოთებთ. საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ხედავენ მნიშვნელოვან ძვრებს. ამაში მსოფლიო ბანკიცა და სავალუტო ფონდიც იდენტურნი არიან და ამას ღიად აცხადებენ.

გარდა ამისა, აშფოთებთ მუდმივად მტკივნეული პრობლემა - ბიუჯეტის შევსება. ამ მხრივ, მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება არ შეინიშნება. ეს ორგანიზაციები მუშაობენ საქართველოზე, გვაძლევენ სესხს და ჩვენმა ქვეყანამ წლების მანძილზე ვერ მოაგვარა პრობლემები. მათში ეს უნდობლობას, იმედგაცრუებას იწვევს... ფაქტია, ქვეყანა ისე ვერ იმართება, როგორც საჭიროა.

**- როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყანაში მიმდინარე შიდა პროცესებზე ხმამაღლა არ საუბრობენ...**

- რა თქმა უნდა, მათ საკუთარი დასკვნები აქვთ, მაგრამ ამას მხოლოდ კერძო საუბრებში ამბობენ და არც მე მინდა ყველაფრის თქმა. მათ ბევრი რამ იციან კარგად, მაგრამ ქვეყანამ თავის თავს უნდა მიხედოს.

**- როგორ შეხვდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები ოპოზიციურად განწყობილ ხელისუფლების მეორე პირს?**

- ამის შესახებ ყველასთვის იყო ცნობილი. საუბარი შეეხო მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს - აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებას, ლტოლვილებს, პანკისის, კოდორის ხეობებს, რუსეთთან ურთიერთობებს და აგრეთვე წმინდა შიდაპოლიტიკურ საკითხებს. კერძოდ კი, არჩევნებს.

სენატორებმა კენედიმ და მაკკეინმა სწორედ არჩევნებით დაიწყეს საუბარი. ამერიკელთათვის დემოკრატია, თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებები - იმხელა ღირებულებებს წარმოადგენს, რომ, პირველ რიგში, აქცევენ ყურადღებას და მის დარღვევას ადვილად ვერ შეეგუებიან. მათთვის ნამდვილად იყო შემაშფოთებელი აქ შექმნილი წინასაარჩევნო ვითარება და კომპრომისის მიღწევას აუცილებლად მიიჩნევენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ნორმალურად ჩატარებული არჩევნებისთვის, პირველ რიგში, ხელისუფლებას და მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა, შემდეგ ოპოზიციას. ყველა აღნიშნავდა, რომ არ სურთ, სომხეთის არჩევნების მსგავსი რამ მოხდეს საქართველოში, რადგან ეს სერიოზული დარტყმა იქნება ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.

სენატორები მაკკეინი და ბრაუნბეკი სისტემატურად ხმარობდნენ წინადადებას "we must see progress" - ჩვენ გვინდა ვხედავდეთ პროგრესს. საქართველოში მხოლოდ ამერიკიდან მილიარდ დოლარზე მეტია წამოსული და მათ კონკრეტული შედეგების დანახვა სურთ.

**- ჩვენი ხელისუფლება დროდადრო მხოლოდ კონკრეტული საფრთხეების ლოკალიზებისთვის იბრძვის. ამას ხედავენ საერთაშორისო ორგანიზაციები...**

- ამას ყველა ხედავს და მათ შორის ჩვენი დეზორგანიზებული მთავრობაც. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დღიდან უამრავი პრობლემა არ გადაწყვეტილა. ეს ამერიკულმა მხარემაც აღნიშნა.

ურთიერთდაპირისპირებები ხშირად ხელოვნურად არის გამოწვეული. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები სუსტია და მოჩვენებითი ძვრები მხოლოდ კადრების გამოცვლით ხდება.

ჯერ კიდევ 2000 წელს, როდესაც ფინანსთა სამინისტრომ პრეზიდენტს აღმასრულებელი სტრუქტურის შემცირებისა და რეორგანიზაციის საკუთარი ვარიანტი წარუდგინა დასამტკიცებლად, პარალელურად კანცელარიის მხრიდან მსგავსი პროექტი შეიქმნა. კანცელარიასა და სამინისტროებს შორის ხელოვნური დაპირისპირება ისე ხდება, თითქოს სხვადასხვა საქმე იყოს გასაკეთებელი. მსგავსი პროექტები მრავლად შექმნილა, მათ შორის უახლესი - ანტიკორუფციული საბჭოს მიერ. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ექვსი-შვიდი წელია, შემცირებებს ითხოვენ, მაგრამ რა გაკეთდა?

**- თქვენ მუშაობდით სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან. რას მოიტანს მათი ეს იმედგაცრუება?**

- ისინი თავის გადაწყვეტილებებზე წინასწარ არაფერს ამბობენ. ქვეყნის მიმართ თბილი და ნორმალური დამოკიდებულება აქვთ და ამბობენ, რომ კარგი იქნებოდა, ჩვენვე გაგვეკეთებინა რაიმე, რათა მათ დახმარების სტიმული მიეცეთ.

ფონდის მისია კრიტიკული იქნება. პარიზის კლუბში ჩვენი ვალების რესტრუქტურიზებისას სავალუტო ფონდის პროგრამის არსებობა გადამწყვეტი ფაქტორია. მათ გარეშე ჩვენი იქ ჩასვლა რესტრუქტურიზაციაზე უარის თქმას ნიშნავს. საგარეო ვალებს კაპიკ-კაპიკ მოგვთხოვენ და დეფოლტის საშიშროება რეალურია. ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის 3/4 ვალებში უნდა გადავიხადოთ.

**- რა შეიძლება მოიმოქმედოს მთავრობამ დარჩენილ დროში?**

- მთავრობის წევრი არ ვარ და არ ვიცი, რას აპირებენ. ფონდი წასვლის წინ იტყვის, შესრულდა თუ არა მათი მოთხოვნები... არსებული ტენდენციები ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. რეფორმების პროცესი მდგრადი არ არის. მხედველობაში არ მაქვს მხოლოდ ეკონომიკური რეფორმა - სოციალური სფეროს, სასამართლოს, ძალოვანთა, ჯანდაცვის, განათლების, მმართველობის სტრუქტურების რეფორმაზეც ვსაუბრობ. ეს ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული და პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. ჩვენ ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ მუდმივ პოლიტიკურ დებატებში, რომელსაც არანაირი პრაქტიკული შედეგი არ გააჩნია - ჩრდილოვანი ეკონომიკა იზრდება, გადასახადებს ვერ იღებენ, კორუფცია ისევ კორუფციაა, მოსახლეობის ნაწილი კიდევ უფრო გაღარიბდა და ნაწილი - კიდევ უფრო გამდიდრდა. ტენდენცია კი დისბალანსის გაღრმავებისკენ მიდის და არა შემცირებისკენ. ეს არის რეალობა.

ასე რომ, სავალუტო ფონდის გადაწყვეტილების შესახებ პროგნოზს ვერ გავაკეთებ.

**- როდესაც მინისტრობიდან გადადექით, პარლამენტში თხუთმეტწუთიანი სიტყვა თქვით და ტაშიც დაიმსახურეთ. თქვენ მაშინვე ვერ ხედავდით ძირეული რეფორმების პერსპექტივას. ახლა რომ გისმენთ, არაფერი შეცვლილა...**

- ქვეყნის მართვის საკითხებში ძირეული რეფორმების მოლოდინი არ მქონდა და, სამწუხაროდ, ეს გამართლდა კიდეც - არ შეიქმნა ძლიერი მთავრობა ძლიერი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რაც ნამდვილად იქნებოდა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

1989 წელთან შედარებით, 1993 წელს შიდა პროდუქტის წარმოება 70 პროცენტით შემცირდა. ეს იყო ყველაზე დიდი ვარდნა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ახლა რომ 1989 წლის მდგომარეობას გავუსწორდეთ, შიდა პროდუქტის წარმოების ყოველწლიური ზრდა 10-15 პროცენტი უნდა იყოს.

**- თქვენი მინისტრად დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები ფინანსთა სამინისტროს არ ეკუთვნოდა და როგორც ამბობთ, ეს არ იყო გამართლებული ნაბიჯი...**

- ფინანსთა მინისტრი პასუხისმგებელი უნდა იყოს შემოსავლებზეც და გასავლებზეც და არა რომელიმე ერთ ნაწილზე.

**- მაგრამ, გაერთიანებამ საგადასახადო შემოსავლების ზრდას ვერაფერი უშველა...**

- ეს არ არის მხოლოდ ფინანსთა მინისტრის პრობლემა. ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს. გეგმა იმიტომ არ სრულდება, რომ გარკვეული პიროვნებები არ იხდიან გადასახადებს, არის კონტრაბანდა, არსებობენ სტრუქტურები, რომელთაც კონტრაბანდასთან ბრძოლა ევალებათ და ამას არ აკეთებენ. მთავრობა ერთიანად უნდა იბრძოდეს.

**- ფინანსთა მინისტრის პოსტზე 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დაინიშნეთ და სახელმწიფო მინისტრთან დაპირისპირება თქვენც გქონდათ. ანალოგიურ მდგომარეობაშია დღევანდელი ფინანსთა მინისტრი. რაიმე რჩევები ხომ არ გაქვთ მისთვის?**

- რაღაც განსაკუთრებული დაპირისპირება არ გვქონია. ვფიქრობ, ახლა უფრო გამწვავებულია ვითარება.

მაშინ გართულებებს ობიექტური საფუძველი ჰქონდა - საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები პრეზიდენტს ექვემდებარებოდა და არა ფინანსთა სამინისტროს. ეს საქმიანობა კანცელარიაში მიჰყავდა სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს და მის მოადგილეს ვანო ჩხარტიშვილს. ვფიქრობ, მირიან გოგიაშვილს უფრო მწვავე პრობლემები აქვს და მთელი მთავრობის პასუხისმგებლობის გადაბრალება სურთ მასზე.

გოგიაშვილი უფრო რთულ მდგომარეობაშია, რადგან შემოსავლები მასთან არის. მან უნდა ახსნას, რატომ შეიქმნა ასეთი სიტუაცია. ვურჩევდი, რომ ადგეს და ხმამაღლა თქვას, რა უშლის ხელს, რა არის ფინანსთა სამინისტროს ბრალი და რას ვერ აკეთებენ სხვა უწყებები.

**- ფინანსთა სამინისტრო და არჩევნები.**

- ფინანსთა მინისტრი არჩევნების დროს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე... ყველა კანონით მინიჭებულ თანხას ითხოვს, ბიუჯეტი კი არ სრულდება. არჩევნების დროს ნებისმიერი მთავრობა დაინტერესებულია დაცული მუხლების დაფინანსებით. პრობლემა გადასახადების ამოღებაშია. ახლა ბევრი ორგანიზაცია, მსხვილი და წვრილი ბიზნესი (ძირითადად, ხელისუფლებაზე ორიენტირებულნი) თავს არიდებენ გადასახადებს და ეს თანხები ბიუჯეტის გვერდის ავლით საარჩევნო კამპანიისკენ მიემართება. ამის ხარჯზე ბიუჯეტი ზარალდება. ისე ჩანს, რომ შემოსავლების არარსებობით წლევანდელი ვითარება 1999 წელს ემსგავსება.

**- ცუდი სიმპტომია ისიც, რომ მასწავლებლების ხელფასებს და პენსიებს ვერ ისტუმრებენ. ესეც არჩევნებს უნდა მივაწეროთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლო ბლოკი ხელფასებისა და პენსიების გაცემით არის დაინტერესებული, ეს ვერ ხერხდება. ამის მიზეზი ბიუჯეტში შემოსავლების არშეტანა და არჩევნების დასაფინანსებლად ბიუჯეტისთვის გვერდის ავლაა. ამას ემატება სუსტი ადმინისტრირება.

**- თქვენი შემდგომი მინისტრები საკმაოდ გაღიზიანებული იყვნენ და არიან ხოლმე საზოგადოების წინაშე გამოსვლისას. თქვენ ეს არ გახასიათებდათ, რატომ?**

- მაინც მგონია, რომ ფინანსთა მინისტრობა ყველაზე რთული საქმიანობაა საქართველოში. ფინანსთა სამინისტრო შეიძლება ადამიანის ორგანიზმში, გულისა და სისხლძარღვების ფუნქციას შევადაროთ.

**- სახელმწიფოს ტვინი რომელი სტრუქტურაა?**

- ტვინის პრობლემა გვაქვს. არ არსებობს სტრუქტურების ერთიანი, ეფექტური კოორდინირება.

**- ყურმილს იღებდით?**

- მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ნაკლები შემოსავლები მქონდა, ყურმილს აუცილებლად ვიღებდი. ყველანაირად ვცდილობდი, ამეხსნა შექმნილი ვითარება. მთავრობის წევრს უნდა შეეძლოს პასუხის გაცემა მოქალაქეებისა და კოლეგებისთვის.

**- საქართველოს ფინანსთა მინისტრების საერთო დაუძლეველი პრობლემა რა არის?**

- პირველ რიგში, ყველა ფინანსთა მინისტრს ბიუჯეტის დაბალანსებას ვუსურვებდი. ყველაზე რთული თემა ის არის, რომ მთავრობა და პარლამენტი დაბალანსებული ბიუჯეტის მიღებაზე ვერ თანხმდებიან. ყოველთვის არის მცდელობა, რომ გავცდეთ რეალობას და ბიუჯეტში უფრო მეტი ხარჯები იყოს წარმოდგენილი, ვიდრე ამოღების შესაძლებლობაა.

სუსტი ადმინისტრირებაა, კონტრაბანდა და კორუფცია მძვინვარებს, ამ ფონზე აუცილებელია აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა დაბალანსებული ბიუჯეტის სახით.

ყველა მინისტრი თავისას ითხოვს და ყველაზე მეტი უნდა. ხშირად ფინანსთა მინისტრი მარტო რჩება და პრეზიდენტს 15 სხვა მინისტრის განაწყენებას ერთი ფინანსთა მინისტრის განაწყენება ურჩევნია, თუმცა ამას მუდმივი ხასიათი არ ჰქონდა.

მოდით, ობიექტურად შევხედოთ ვითარებას - ამოვიღოთ შემოსავლების მაქსიმუმი და ერთი-ორი წლის განმავლობაში ადმინისტრირების გაუმჯობესებაზე ვიმუშაოთ - კონტრაბანდის შემცირებაზე და ამ რესურსების ხარჯზე ბიუჯეტის გაზრდაზე ვიზრუნოთ. დამერწმუნეთ, ის ფინანსთა მინისტრი, ის მთავრობა, ის პარლამენტი და შესაბამისად ის ხალხი იქნება გამარჯვებული, რომელიც ასე მიუდგება საკითხს. ბიუჯეტი გავწეროთ იმაზე, რაც გვაქვს და მერე ვიმუშაოთ ხელისშემშლელ ფაქტორებზე. ეს საკითხები კი ხშირად სცილდება ფინანსთა მინისტრის კომპეტენციას.

როცა თანამდებობიდან მივდიოდი, სამწუხაროდ, ვიცოდი, რომ ვითარება არ გამოსწორდებოდა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ეს გამართლდა. დღეს ისე ჩანს, რომ რამდენიმე წელი ისევ ასე ვიქნებით, თუ ხალხმა სხვა არჩევანი არ გააკეთა. მთავარია, ქვეყნის პრიორიტეტებზე პოლიტიკური შეთანხმება მოხდეს. სანამ ამას არ მივაღწევთ, ვერანაირი ფინანსთა მინისტრი, კეინსიც რომ გააცოცხლოთ, საქართველოში ვითარებას ვერ შეცვლის...

**- სამწუხაროა, რომ იმასვე იმეორებთ, რაც სამი წლის წინ უკვე თქვით...**



*დავით ონოფრიშვილი "24 საათის" რედაქციაში.*

> 1996 წლიდან, რაც კი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მოლაპარაკება გამართულა, ყველას ვესწრებოდი და შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი მძიმე ურთიერთობა ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ისტორიაში არ ყოფილა.

> ამერიკელთათვის დემოკრატია, თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებები - პრინციპულ ღირებულებებს წარმოადგენს და მის დარღვევას ადვილად ვერ შეეგუებიან.

> სენატორები კენედი და მაკკეინი დარწმუნებულნი არიან, რომ ნორმალურად ჩატარებული არჩევნებისთვის, პირველ რიგში, ხელისუფლებას და მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა, შემდეგ ოპოზიციას.

> ბევრი ორგანიზაცია, მსხვილი და წვრილი ბიზნესი (ძირითადად, ხელისუფლებაზე ორიენტირებულნი) თავს არიდებენ გადასახადებს და ეს თანხები ბიუჯეტის გვერდის ავლით საარჩევნო კამპანიისკენ მიემართება.

# მილიონი უბინაოდ დარჩენილი წიგნი

## გაიარეთ მარჯანიშვილზე


ლევან ხერხეულიძის ფოტო

"სტაიანშჩიკი" ბაზრობაზე

თამარ სუხიშვილი

მარჯანიშვილის ქუჩაზე, ძველ უნივერმაღთან გამვლელებს გუშინ ასეთი სურათი დახვდათ: ღია ცის ქვეშ გამომდგარი დახლები, ბევრი ხალხი, იაფფასიანი წიგნები და გაცხარებული ვაჭრობა. არც კი ვიცი, რა დავარქვა ამ ღონისძიებას, ალტერნატიული წიგნის ბაზრობა, საქველმოქმედო აქცია, უბინაო წიგნის გადარჩენის ცდა, თუ კიდევ სხვა რამ. ალბათ, ყველაფერი ერთად. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. რაც გინდა უწოდეთ, ფაქტი ერთია. ორი წლის განმავლობაში მტვრიან და ნესტიან საწყობში ჩაყრილმა წიგნებმა ახლაღა იხილეს დღის სინათლე და პატრონიც გაიჩინეს ქართველი მკითხველის სახით.

წიგნის ბაზრობა, სადაც შეგიძლიათ, მაგალითად 40 თეთრად შეიძინოთ მანდელშტამი ან გუმილიოვი, თავის დროზე 6 მანეთამდე რომ ღირდა, 30 თეთრად იყიდოთ არჩილ ჯორჯაძის თხზულებები, ასევე ხურდაში "იჩუქოთ" დავით ბაგრატიონის "იადიგარ დაუდი", ერთ თვეს გასტანს - დილის 11 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ფასები? - როგორც ხედავთ, უუუიაფესი - 10, 20, 30, 40, 50... თეთრი. ეს ის წიგნებია, რომლებზედაც თავის დროზე დიდი მოთხოვნილება იყო "საქწიგნის" მაღაზიებში.

ამ ბაზრობის ინიციატივა შპს "საქწიგნს" ეკუთვნის. მისი დირექტორის, ვალერიან გოგიშვილის თქმით, ბოლო პერიოდში გამოცემული ქართული თუ უცხოური სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გამოფენა იმ განწყობის ერთგვარი გაგრძელებაა, ფილარმონიაში, წიგნის ფესტივალზე რომ სუფევდა.

ახლა "საქწიგნის" თანამშრომლები ერთი თვის განმავლობაში ნელ-ნელა გამოფენენ, ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩენილ წიგნებს. როგორც "საქწიგნის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ლია მეტრეველმა გვითხრა, მილიონი ცალი წიგნია უბინაოდ დარჩენილი, მათი მთლიანი ღირებულება 250 ათას ლარს შეადგენს. ის კი არადა, წიგნების რაოდენობა მილიონზე მეტიც შეიძლება იყოს. ორი წელია სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" მიერ საწყობში "დაპატიმრებული" წიგნების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

ეს ბაზრობა "საქწიგნისა" და სააქციო საზოგადოება "ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" ხანგრძლივი დავის შედეგია. ამ დავის ფინალი 28 მარტი იყო, როცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ, როგორც გვითხრეს, 15 წუთში (პირველივე პროცესზე, თუ ერთ გადადებულ პროცესს არ ჩავთვლით, პირველივე მოსმენით) მიიღო გადაწყვეტილება "საქწიგნის" წინააღმდეგ. "საქწიგნს" უნდა დაეტოვებინა დაკავებული ფართი უზნაძის ქუჩაზე, 18 ნომერში.

"საქწიგნის" თანამშრომლებმა ისიც გაგვიმხილეს, რომ ცდილობდნენ სასამართლო აქტში დაეფიქსირებინათ თავიანთი საჩივარი: რომ საწყობში წყალი ჟონავდა, რომ წიგნების დიდი ნაწილი დალპა, რომ მთელი ორი წელი საწყობის ცენტრალური შესასვლელის გასაღები "ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს" ჰქონდა, "საქწიგნის" თანამშრომლებს მხოლოდ მისი ნებართვის შემთხვევაში შეეძლოთ იქ შესვლა, ხოლო როცა აღსრულების პროცესი დაიწყო, მეორე შესასვლელის საკეტი გატეხილი დახვდათ... ცალკეულ ოქმებში ჩვენი საჩივარი დავაფიქსირეთ კიდეც, მაგრამ საბოლოო აქტში ეს არ დაფიქსირებულაო, - ჩივიან "საქწიგნის" თანამშრომლები. ყველაზე მეტად კი იმას წუხან, ვის აღარ მივმართეთ, მაგრამ ვერავის ვერაფერი გავაგებინეთ, და ისღა დაგვრჩენია, წიგნი მაინც გადავარჩინოთო.

უბინაოდ დარჩენილი წიგნები ახლა სარდაფში ცხოვრობენ. მათი ერთი ნაწილი, მართლაც, მძიმე დღეშია, ნესტისა და ობის სუნი უდის. ისე კი, კარგი წიგნებია. არ დაიზაროთ, გაიარეთ მარჯანიშვილზე და თქვენი საოჯახო ბიბლიოთეკაც გადაახალისეთ.


წიგნი იაფად

დღეს, 20 ივნისს, 17 საათზე წიგნის მაღაზია "პარნასში" ახალი გამომცემლობის - "რუსთავი 2 პრინტის" წიგნების პრეზენტაცია გაიმართება. მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა შეიძინოს სამი ახალი გამოცემა: ოთარ ჭილაძის რომანი "გოდორი", კრებული "დღეს", რომელშიც თავმოყრილია რატი ამაღლობელის, დათო მაღრაძის, გიგი სულაკაურის, აკა მორჩილაძის, დათო ტურაშვილის და ლაშა ბუღაძის ნაწარმოებები, და ნიკოლოზ რურუას "თავისუფლების კანონი".





# "ინკოგნიტოს" ოჯახი

## ერთი კაცის რეალობად ქცეული ოცნება

ვერა ნეფარიძე

*დღეს თბილისში ყველაზე თანამედროვე, ახალგაზრდული და მხიარული ეისიდ- ჯაზ-პროექტის მუსიკოსები ჩამოდიან. ბრიტანული "ინკოგნიტოს" ცამეტკაციანი შემადგენლობა ხვალ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს გახსნის. კონცერტის სპონსორია "ნესკაფე". საღამო "ნესკაფე დენს ფართის" გაგრძელება იქნება.*


ჯაზ-ფესტივალს "ინკოგნიტო" გახსნის

სამწუხაროდ, იმ ორიოდე ადამიანს, რომელიც კოლექტივის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში შემადგენლობიდან ყველაზე მეტად ბრწყინავდა, თბილისში ვერ შევხვდებით. ყველაზე მეტად გულდასაწყვეტია, რომ მათ შორის არ იქნება "ინკოგნიტოს" არაჩვეულებრივი ვოკალისტი, მაისა ლიკი. ჯგუფთან, ასევე, აღარ თანამშრომლობს პროექტის ერთ-ერთი ავტორი, პოლ ვილიამსი. სამაგიეროდ, საშუალება გვექნება, შევხვდეთ ამ ბრიტანული ეისიდ-ჯაზ პროექტის ლეგენდას, სულისჩამდგმელსა და მთავარ გმირს, ჟან-პოლ მაუნიკს. ბოლოს და ბოლოს, "ინკოგნიტო" ხომ ერთადერთი ადამიანის, მაუნიკის რეალობად ქცეული ოცნებაა.

"ინკოგნიტო" 70-იანი წლების ჯაზისა და ფანკის ფესვებიდან იღებს სათავეს. ამ პროექტის ავტორები იყვნენ ჟან-პოლ მაუნიკი და პოლ ვილიამსი, დისკო-ფანკ ჯგუფის Light of the World-ის ლიდერები, რომლებმაც რამდენიმე ბრიტანული ჰიტის პარტიტურა შექმნეს. Light of the World ასრულებდა რაღაც საშუალოს დისკოსა და ფანკს შორის. ჯგუფი Earth, Wind & Fire-ს, როი აიერსის, ჰერბი ჰენკოკის Weather Report-ით იყო შთაგონებული... დუეტმა შეძლო ფანკი კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაეწია და პოპულარული გაეხადა. 1977 წელს სადებიუტო ალბომმა ჰიტით - Swinging, ჯგუფს გარკვეული პოპულარობა მოუტანა. 1980 წელს კი მას სახელი გაუთქვა ალბომმა Round Trip, რომელშიც შევიდა I Shot the Sheriff-ის ქავერ-ვერსია. სწორედ ეს ჩანაწერი იყო ჯგუფის ყველაზე დიდი ბრიტანული ჰიტი. იმის მიუხედავად, რომ Light of the World-ს კომერციული წარმატება ჰქონდა, ჯგუფის ხელმძღვანელებმა მაინც დაიწყეს ახალ პროექტზე ფიქრი. ჯგუფის რიგით მესამე ალბომის Check Us Out-ის გამოსვლის შემდეგ მაუნიკმა და ვილიამსმა გადაახალისეს ჯგუფის შემადგენლობა და ახალ პროექტს "ინკოგნიტო" დაარქვეს.

"ინკოგნიტო" არაა სტანდარტული ჯგუფი. ჯერ ერთი, ძნელია ჯგუფი უწოდო მრავალრიცხოვან კოლექტივს, რომელიც გამუდმებით იცვლის წევრებს. "ინკოგნიტო" ერთგვარი მუსიკალური სკოლა იყო, სასწავლებელი, სადაც იმდენი პროფესიონალი მოღვაწეობდა, რომ მათ ჩამოთვლას სტატიის ნახევარი მოცულობა დასჭირდება. თავად "ინკოგნიტოს" წევრები პროექტს ოჯახს უწოდებენ და ასევე მოიხსენიებენ მას ყველგან. 1981 წლიდან (ანუ პროექტის დაარსებიდან) დღემდე კოლექტივს არასდროს ჰყოლია მკვეთრად გამორჩეული ლიდერი. შეიძლება გავიხსენოთ მხოლოდ "ინკოგნიტოს" ყველაზე ცნობილი მომღერალი, მაისა ლიკი, რომელსაც თავის განსაკუთრებული ვოკალით ექსტაზში მოჰყავდა აუდიტორია. "ლიდერი არასდროს გვყოლია. ასეთი მიდგომა უამრავ ნიჭს ახშობს და თანაც, ჩვენ საკმაოდ თავმდაბლები ვართ, რაც დღეს ძალიან ბევრ მუსიკალურ პროექტს აკლია", - ამბობენ "ინკოგნიტოს" წევრები.

"ინკოგნიტომ" თავისი კარიერა დაიწყო საკმაოდ წარმატებული სინგლით Parisienne Girl. სიმღერას პირველი ფირფიტა, Jazz Funk მოჰყვა. ამ ალბომის შემდეგ ჯგუფს სტუდიაში მუშაობის ათწლიანი პაუზა ჰქონდა. თუმცა, "ინკოგნიტოს" პოპულარობაზე ამას უარყოფითად არ უმოქმედია. მორიგი ალბომი "ინკოგნიტომ" ათი წლის შემდეგ გამოუშვა. ალბომში უმეტესად სტუდიური ჩანაწერები შევიდა, ხოლო მის ჩაწერაში მონაწილეობა მიიღო ნიჭიერი ბრიტანელი მუსიკოსების მთელმა ჯგუფმა.

1991 წელს, როდესაც ეისიდ-ჯაზი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა, "ინკოგნიტოს" სინგლი Always There საუკეთესო კომპოზიციათა ათეულში მოხვდა. პროექტით დაინტერესდა 90-იანი წლების ცნობილი ბრიტანელი დი-ჯეი, ჯაილს პეტერსონი, რომელიც საკუთარ სტუდიასთან Talkin' Loud-თან ერთად ინტენსიურად თანამშრომლობდა "ინკოგნიტოსთან". ეს პერიოდი "ინკოგნიტოსთვის" იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ პროექტი ერთ-ერთმა ავტორმა, პოლ ვილიამსმა დატოვა. მაუნიკი კი, იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა სტუდიური პროექტებით იყო გატაცებული, აგრძელებდა "ინკოგნიტოსთვის" მუსიკის წერას.

ჯგუფში გამუდმებით იცვლებოდნენ წევრები, მაგრამ კარდინალური ცვლილება მაინც 1991 წლისთვის მოხდა. "ახალი "ინკოგნიტოს" პირველ სინგლს, Can You Feel Me, პროექტისთვის მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუტანია. ამის შემდეგ გამოვიდა ალბომი Inside Life, სადაც ვოკალურ პარტიებს ასულებდნენ ჟან-პოლ მაუნიკი და ლინდა მარიელი. ამავე ალბომში შევიდა Always There - დოსელინ ბრაუნის შესრულებით, რომელიც "ინკოგნიტოს" ყველაზე ცნობილი ჰიტი გახდა და ე.წ. საკლუბო მუსიკის კლასიკურ ნამუშევრებს შორის დაიმკვიდრა ადგილი. 1991 წელს ჯგუფში რეორგანიზაცია მოხდა. მაუნიკმა დაიწყო ახალი ლიდერ-ვოკალისტის ძებნა. სწორედ ამ ძიებისას მიაგნო მაისა ლიკის, რომელიც მანამდე თანამშრომლობდა სხვადასხვა ვარსკვლავებთან, მათ შორის - სტივ ვანდერთანაც. "ინკოგნიტოსთვის" ახალი წარმატებების ერა დაიწყო. 1992 წლის ალბომი Tribes, Vibes & Scribes, ჟურნალ "ბილბორდის" თანამედროვე ჯაზის ჰიტების ოცეულში 16 კვირა დარჩა. სწორედ აქ შევიდა სტივი ვანდერის ძველი კლასიკური ჰიტის Don't You Worry about A Thing-ის ვერსია, რომელიც ალბომის მთავარი ღირსება გახლდათ. იმავე წელს ჯგუფმა ძველი ალბომი Jazz Funk ხელახლა გამოსცა ერთადერთი ცვლილებით – ალბომში შევიდა ჯგუფის პირველი სინგლი Parisienne Girl.

მთელი ამ ხნის განმავლობაში "ინკოგნიტოს" ალბომებს, ძირითადად, მოწვეული ავტორების სიმღერები შეადგენდა. გარადატეხა მოხდა 1994 წელს, როდესაც "ინკოგნიტომ" მთლიანად საკუთარი, ორიგინალური კომპოზიციებისგან შედგენილი ალბომი Positivity გამოუშვა. ალბომმა მსოფლიოს 11 ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის სტატუსი მიიღო, ხოლო ამერიკული და ბრიტანული ჩარტების თანამედროვე ჯაზის განყოფილებაში მეორე პოზიციაზე გავიდა და ეს ადგილი წელიწადზე მეტ ხანს შეინარჩუნა. ჩანაწერის პოპულარობამ დაამტკიცა, რომ მაისა ლიკი ნამდვილი ვარსკვლავია, რომელიც სიმღერებიდან ჰიტებს ქმნის. სწორედ ლიკი იყო "ინკოგნიტოს" ცოცხალი შოუების მთავარი პერსონა. სამწუხაროდ, ალბომის ჩაწერის შემდეგ მაისამ მალე დატოვა ჯგუფი და სოლო კარიერა დაიწყო. 1996 წელს იგი დაუბრუნდა პროექტს. თუმცა, დღეს მაისა ლიკი კვლავ ცალკე მოღვაწეობს.

"ინკოგნიტოს" კარიერაში საკმაოდ მნიშვნელოვანია დი-ჯეებთან თანამშრომლობის ხანა. ამ თანამშრომლობის შედეგად 1996 წლის მარტში გამოვიდა ალბომი Remixed, რომელიც მთლიანად "ინკოგნიტოს" კლასიკური კომპოზიციების რემიქსებს შეიცავდა. ეს ჩანაწერი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საცეკვაო ჰიტების ერთ-ერთ საუკეთესო კრებულად ითვლებოდა.

ამჟამად "ინკოგნიტოს" ვოკალისტებს შორის არიან: კელი სი (ვოკალი); ტონი მომრელი (ვოკალი); ტირონ ჰენრი (ვოკალი); ჯოი როუზი (ვოკალი) – სწორედ ამ შემადგენლობით ჩამოდის დღეს "ინკოგნიტო" თბილისში; "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სცენაზე მათ გვერდს დაუმშვენებენ ცნობილი შემსრულებლები: ჟან-პოლ მაუნიკი (გიტარა); დომინიკ გლოვერი (საყვირი); ედ ჯონსი (საქსაფონი); ნიჰოლ ტომსონი (ტრომბონი); მეტ კუპერი (ქიბორდი); ჯემი ნორტონი (ქიბორდი); ჯულიან კრემპტონი (ბასი); მარტინ ვერდონკი (პერკუსია); რიჩარდ ბეილი (დასარტყამი ინსტრუმენტი). "ინკოგნიტო" თბილისში საკლუბოსაცეკვაო, ეისიდ-ჯაზის, ჯაზ-ფანკისა და ჰაუსის რეპერტუარს შემოგვთავაზებს.

# "ქაოსის ჰარმონია" ბოდი-არტისა და მოდის თეატრის დასამკვიდრებლად

ნანა ბასილაშვილი

ბოდი-არტი სხვა არაფერია, თუ არა "სხეულის მოხატვის ხელოვნება", რომელიც სათავეს ძველი ამერიკული, აფრიკული და აზიური ტომებისაგან იღებს. მათთვის მოხატვა რელიგიური მნიშვნელობას ატარებდა. დასავლეთის ქვეყნები ბოდი-არტის ხელოვნებას ავსტრალიაში, აფრიკასა თუ ამერიკაში მოგზაურების წყალობით მე-18 საუკუნეში ეზიარნენ. აქ თითქმის შეუმჩნევლად უკვე კარგა ხანია ბოდი-არტი ხელოვნების ერთ-ერთი სფეროა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში ტატუ და ბოდი-არტი. პროფესიონალები რატომღაც ტატუსა და ბოდი-არტს შორის უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებენ.

ბოდი-არტის რიტუალის დროს ნატურას (რასაკვირველია შიშველს) სპეციალური ჰოლანდიური გრიმებით ან აკრილის საღებავებით ხატავენ. მხატვარი მოდელებზე ხატავს ყველაფერს რაც კი მოესურვება. დასავლეთში საკმაოდ ხშირად ბოდი-არტის ფესტივალებიც კი ეწყობა. ბოდი-არტს რამოდენიმე მიმდინარეობა აქვს. ერთ-ერთი "ბოდი-არტტანსაცმელია". შიშველ სხეულზე იხატება სამოსი, შარვლები, კაბები და სხვადასხვა აქსესუარები.

ჩვენს ქვეყანაში ბოდი-არტის დამკვიდრების მცდელობის ინიციატორად მანანა მანჩინი გვევლინება. თბილისური ბოდი-არტი ნამდვილისგან ოდნავ განსხვავებული იქნება (ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე). თუკი ევროპაში შიშველ მოდელებს, მხატვარ-დიზაინერები პირდაპირ სცენაზე ირჩევენ და მოდელის ხასიათიდან გამომდინარე, ესკიზი მაყურებლის თვალწინ იქმნება, კლუბ-რესტორან "კრისტალში" ეს ყველაფერი ოდნავ სახეცვლილი იქნება. შიშველ მოდელებს, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები წინასწარ გამზადებული ესკიზებით კულისებში მოხატავენ. სცენაზე მაყურებელი უკვე საღებავებით "შემოსილ" მოდელებს იხილავს (მიზეზი, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს). მართალია,


კლასიკური ბოდი-არტი

"მზა პროდუქცია" ხიბლს კარგავს და იმდენად საინტერესო არაა, მაგრამ ქართული პროექტის მიხედვით ეს დანაკლისი სხვა საინტერესო ნიუანსებით შეივსება. ეს იქნება ორ განყოფილებიანი სპექტაკლი. ბოდი-არტის ხელოვნებას დაემატება პანტომიმა, მოდელები, მოდერნ-თეატრის მსახიობები, მოცეკვავეები, ქორეოგრაფია, პლასტიკა, მუსიკალური გაფორმება, ყოველივე ეს გარკვეული სცენარის მიხედვით დაიდგმება. ბოდი-არტის გამოყენებით შეიქმნება სახასიათო ტიპაჟები, რის მიხედვითაც მოდელები თავიანთ სახასიათო როლებს განასახიერებენ.

"მანეკენების სიშიშვლე აბსოლუტურად არ ჩანს, რადგანაც სხვადასხვა აქსესუარებით იქნებიან დახატულები. სცენაზე ისინი სცენარის მიხედვით გამოვლენ. ყოველივე ეს კი სანახაობრივად საკმაოდ ლამაზი უნდა გამოვიდეს", - ამბობს მანანა მანჩინი. სცენარი, მუსიკალური გაფორმება და რეჟისურა სწორედ მას ეკუთვნის.

ამ არაორდინარულ პროექტში საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი სააგენტოები "ახალი ვარსკვლავია" და "ლეგინს" მოდელები მიიღებენ მონაწილეობას.

სპექტაკლი ორ განყოფილებიანი. ბოდი-არტისა და ჩვეულებრივად ქორეოგრაფიის სხვაობის დასაფიქსირებლად წარმოდგენაში სხვა ანსამბლიც მიიღებს მონაწილეობას.

"დახმარებისათვის არავისთვის არ მიმიმართავს, ყველაფერი თითქოს ერთი ამოსუნთქვით გაკეთდა. პირველ წარმოდგენას მხოლოდ 100 ადმიანი იხილავს. დასრულებული სახე, ჯერ თავადაც არ მინახავს. ეს ერთგვარი ექსპერიმენტია. თუკი საზოგადოება ამას ჩვეულებრივად მიიღებს, ალბათ, სამომავლოდ დაფუძნდება კიდეც. თბილისში იარსებებს მოდის თეატრი, სადაც, უბრალოდ, მოდელიორ-დიზაინერები შემოგვთავაზებენ თავიანთ ნამუშევრებს და ჩვენ კი მათ საჩვენებით სპექტაკლს შევუქმნით. მიღებული ფორმა, რასაც პოდიუმზე საჩვენებ ჰქვია, ოდნავ შეიცვლება და განსხვავებულ პლასტიკაში გადავა. ჩვენი მიზანი სწორედ ესაა. თუკი ექსპერიმენტმა გაამართლა, დრამატული, პანტომიმის, მუსიკალური, ოპერისა და ბალეტის თეატრებთან ერთად დაარსდება ახალი თეატრი, რომელსაც მოდის თეატრი დაერქმევა. მას, ისევე როგორც ყველა თეატრს ჩვეულებრივად თავისი მნახველი, მიმდევარი ეყოლება. საზოგადოებას ჭირდება სიახლე და სრული ჰარმონია, სპექტაკლის სახელწოდებაც - "ქაოსის ჰარმონია" - ამ სურვილიდან წარმოიშვა".

დღეს კლუბ-რესტორან "კრისტალში", "ბოდი-არტის" ექსკლუზიურ ჩვენებაზე მანანა მანჩინი სხვადასხვა ხელოვნების ორიგინალურ სინთეზს შემოგვთავაზებს.

# საქმიანი ქალი სამშობლოში

## "ალბერტ ჰოლის" შემდეგ ირმა ნიორაძის თბილისური "ჟიზელი"

A1 გვერდიდან

*ყოველგვარი სიძნელეების და სირთულეების გადალახვის მოყვარული, როგორც იტყვიან "სამუშაოს მონა", ამავე დროს ნაზი და მგრძნობიარე ქალბატონი ირმა ნიორაძე მუდამ მომხიბლავად იღიმება და დადებით ემოციებს აფრქვევს გარშემო. მისი დატვირთული გრაფიკისა და რეპეტიციის მიუხედავად, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, მას გავსაუბრებოდით.*

**- უკანასკნელად როდის იყავით თბილისში?**

- თბილისში გასულ წელს, აპრილის თვეში ვიყავი ჩამოსული ჩემს პარტნიორთან ევგენი ივანჩენკოსთან ერთად. ჩვენ "დონ კიხოტი" ვიცეკვეთ და მე გიტრის პარტია შევასრულე.

**- როგორც ჩვენთვის ცნობილია, ცოტა ხნის წინ თქვენ სრულიად ახალ დადგმაში, "მადამ ლიონელში" საკმაოდ უჩვეულო როლი – თანამედროვე საქმიანი ქალბატონი განასახიერეთ, რამაც საკმაოდ დიდი სენსაცია გამოიწვია...**

- ეს სპექტაკლი სპეციალურად ჩემთვის იყო დადგმული, ბალეტმეისტერ სიმონოვის მიერ, რომელმაც მარიას თეატრის სცენაზე ასევე ჩაიკოვსკის "მაკნატუნა" დადგა. მე მას ვთხოვე, დაედგა ერთაქტიანი ბალეტი "მადამ ლიონელი" ბრაერსისა და ადამსის მუსიკაზე. და მართლაც, ძალიან საინტერესო ბალეტი გამოდგა, რომლის საერთაშორისო პრემიერა ლონდონის "ალბერტ ჰოლში" შედგა 7 და 8 მაისს. სხვათაშორის "ალბერტ ჰოლი" ძალიან რთული დარბაზია, რადგან იქ კულისები არ არის და დასვენება საერთოდ შეუძლებელია. იქ არის მრგვალი სცენა, რომლის გარშემო მაყურებელი ზის. საერთოდ, "ალბერტ ჰოლს" არ აქვს ბალეტისთვის გათვლილი სცენა, მაგრამ ჩვენ ძალები მოვიკრიბეთ და მოვახერხეთ წარმატებით ცეკვა. მეორე ნაწილი უკვე ბალეტის ვარსკვლავების საკონცერტო გამოსვლას დაეთმო, რომელთა შორისაც იყვნენ ჩემი უსაყვარლესი პარტნიორი იგორ ზელენსკი, იულია მახალინა, იგორ კუზნეცოვი, ელვირა ტარახოვა და სხვები. ყველანი ძალიან ვღელავდით, მაგრამ როგორც კი მუსიკის პირველმა ბგერებმა გაიჟღერეს, აბსოლუტურად ყველაფერი დამავიწყდა. საერთოდ ვთვლი, რომ მსახიობს შემოქმედებითი ღელვა ყოველთვის თან სდევს, სწორედ ეს ღელვა თითქოს სადღაც გაიფანტა.

**- როგორ მიიღო ლონდონელმა მაყურებელმა თქვენი სპექტაკლი?**

- უნდა გითხრათ, რომ ლონდონელმა მაყურებელმა ძალიან კარგად მიიღო სპექტაკლი, განსაკუთრებით მეორე დღეს, რადგან უფრო მეტი ხალხი მოვიდა.

**- ყველა გამორჩენილ ბალერინას აქვს რაღაც მისეული, ორიგინალური, რითიც ის სხვებისგან გამოირჩევა. თქვენთვის რა არის ეს განსაკუთრებული?**

- ვფიქრობ, რომ არა მარტო მსახიობს, ყველა ადამიანს აქვს თავისი დამახასიათებელი ინდივიდუალური მხარე. როდესაც "დონ კიხოტში" გიტრის პარტიას ვცეკვავ ხოლმე, ვგრძნობ მოჭარბებულ ენერგიას და, ალბათ, ეს ენერგია მამოძრავებს, მაძლევს იმპულსს შემდგომი განვითარებისათვის. მე მგონი ამ შინაგანი ძალით გამოვირჩევი სხვებისგან.

**- რამდენადაც ვიცი, ამა თუ იმ პარტიაზე დიდხანს გიყვართ მუშაობა, როგორია თქვენი სამუშაოს სამზარეულო?**

- რთული და ხანგრძლივი სამუშაო პროცესი გვაქვს ბალერინებს, რის გამოც ძალიან ვიღლებით. თუ ამ დაღლას გადალახავ და პროფესიონალურ დონეს მიაღწევ, მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძლია ჩათვალო, რომ ესა თუ ის პარტია უკვე შენ გეკუთვნის. მხოლოდ ამის შემდეგ გაქვს ნება, გახვიდე მაყურებლის წინაშე და სპექტაკლი იცეკვო. საერთოდ ბალერინამ ყოველდღე უნდა იმუშაოს თავის თავზე, რათა არა მხოლოდ შეინარჩუნოს პროფესიონალიზმი, არამედ უფრო მაღალ მწვერვალზე აიყვანოს საკუთარი შემოქმედება.

**- როგორც წესი, ბალერინები თავიანთი სასცენო კარიერის მანძილზე ცდილობენ, ბავშვი არ გააჩინონ, რათა ამან მათ მოღვაწეობას ხელი არ შეუშალოს. თქვენ ორივე მოახერხეთ - პატარა ნიკუშაც გყავთ და პროფესიასაც არ უღალატეთ, როგორ შეძელით?**


*ირმა ნიორაძე*

- უნდა გითხრათ, რომ ბავშვის გაჩენისას ძალიან რთული პერიოდი მქონდა, ახლა არ მსურს ამაზე საუბარი. კიდევ ერთხელ რომ შემომთავაზონ იგივეს გამეორება, ალბათ, ვერ შევძლებ. თუმცა, ძალიან მამხნევებდა ჩემი პატარა. დაღლილი რომ მივდიოდი სახლში და პატარა ნიკუშას ხელს ლოყასთან მივიდებდი, მავსებდა და დადებითი ენერგიით მტვირთავდა, მაშინვე ყველაფერი მავიწყდებოდა და სამუშაოს გაგრძელების სურვილი მიჩნდებოდა. ბავშვი დიდი პასუხისმგებლობაა და ამავე დროს ნათელი გრძნობების წყარო. ეს აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, განსაკუთრებით ქალისთვის.

**- რას ნიშნავს თქვენთვის მარიას თეატრი?**

- ჩემი უსაყვარლესი თეატრია, რომლის გარეშე ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. თუმცა ხანდახან, როცა ნაწყენი ან გაბრაზებული ვარ, უნებლიედ მებადება აზრი, მივატოვო ყველაფერი და სადმე წავიდე, მაგრამ იმდენად დიდი სიყვარული მაკავშირებს მაყურებელთან, სცენასთან, რეპერტუართან და თეატრის ტრადიციებთან, რომ ეს სიყვარული მიქარვებს იმ აზრებს, რომლებიც სიბრაზის მომენტში მომდის.

**- იმ ქორეოგრაფებიდან, რომელთანაც გიმუშავიათ, რომელს გამოარჩევდით?**

- პრინციპში ძალიან მიყვარს პეტიპას ბალეტები, რადგან ისინი კლასიკაა და მოგეხსენებათ ბალერინასთვის კლასიკის გარეშე მოღვაწეობა წარმოუდგენელია. ასევე მიყვარს ბალანჩინი, განსაკუთრებით მის მიერ დადგმული "ძვირფასეულობა: ლალი, ზურმუხტი და ბრილიანტი" სტრავინსკის მუსიკაზე. სპექტაკლი იმით მხიბლავს, რომ წუთით არ გაქვს სცენაზე შესვენების და ნერვული სისტემის მოდუნების საშუალება. სხვათა შორის, მე და ნიკა ცისკარიძე ხუთ დღეში ამ სპექტაკლით ავსტრიაში მივემგზავრებით საგასტროლოდ.

**- ხვალ ნიკა ცისკარიძესთან ერთად "ჟიზელი" უნდა იცეკვოთ, როგორი განწყობით ხვდებით ამას?**

- ნიკას აქვს ერთი საოცარი თვისება – იმდენად დადებითი ველი აქვს, რომ შეუძლებელია, გულგრილი დარჩე და რეაგირება არ მოახდინო მასზე. ბუნებაში თუ არსებობს 100 ვოლტი ან 200 ვოლტი, ნიკას 1000 ვოლტი აქვს. მისი დიდი ბიოველი ყოველთვის დადებითი ენერგიით მავსებს.

**- უახლოეს მომავალში კიდევ როდის გიხილავთ თბილისელი მაყურებელი?**

- ალბათ, შემოდგომაზე, სპექტაკლით "მადამ ლიონელი". იმედი მაქვს, მაყურებელი დიდი ინტერესით მიიღებს ამ დადგმას.

**- რას უსურვებდით საქართველოს?**

- პირველ რიგში, მშვიდობას, ეკონომიკურ განვითარებას; რაღაც წინსვლები მაინც იგრძნობა, მაგრამ ნელი ტემპით მიდის ყველაფერი. 1990 წელი, რომელიც თეთრი ცხენის წელი იყო, ჩემთვის უბედნიერესი გამოდგა – ჯექსონის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გავხდი. მთელმა წელიწადმაც ჩემთვის უდიდესი წარმატებული ნახტომებით გაირბინა. ამიტომ ვისურვებდი, რომ გაფრენილი ცხენის დიდი ნაბიჯივით დიდი წარმატებები ჰქონოდეს საქართველოს.

*დაბოლოს, ავსტრიის შემდეგ ირმა ნიორაძეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ელიან. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ქართველი ვარსკვლავების მორიგ ციალს*







# როდის ამოიღებს ხმას მდუმარე მუსულმანური საზოგადოება?

*გუშინ სალმან რუშდის დაბადების დღე იყო. 1947 წელს დაბადებული მწერალი, ბუკერის პრემიის ლაურეატი, უკანასკნელი 15 წელია, ინგლისში, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობს. მისი საზოგადოებისგან იზოლაცია 1988 წელს გამოქვეყნებული წიგნის, "სატანური ლექსების" დამსახურებაა: მუსულმანმა რადიკალებმა ის ყურანის შეურაცხყოფად ჩათვალეს, და აიათოლა ჰომეინიმ მას ანტიისლამური სულისკვეთებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მის 56-ე იუბილესთან დაკავშირებით, ვაქვეყნებთ სალმან რუშდის სტატიას "ისლამის მოტაცება", რომელიც ფრანგულ გაზეთ "ლიბერასიონში" იყო დაბეჭდილი.*

სალმან რუშდი

### ისლამის მოტაცება

იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკურს "მის მსოფლიოს" ორგანიზატორებს ფინალისათვის ნიგერიის არჩევისას არანაირი ბოროტი განზრახვა არ ჰქონიათ, მათ გადაწყვეტილებას შორსმჭვრეტელურს მაინც ძნელად ვუწოდებთ.

რამდენიმე "მისმა" უმალვე დაიწყო შარიათის სასამართლოს დადანაშაულება, რომელმაც ადიულტერში შემჩნეულ ნიგერიელ ქალს ჩაქოლვა მიუსაჯა. შემდეგ ისინი თავხედურად იმუქრებოდნენ, რომ კონკურსს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ, თუ ადგილობრივი მთავრობა ყველაფერს არ გააკეთებდა ახალგაზრდა ქალის შემზარავი მომავლის გადასარჩენად. დაბოლოს, ქრისტიანული აღმსარებლობის ნიგერიელმა ჟურნალისტმა ქალმა, ისიომა დანიელმა, თავის გაზეთში გამომწვევად დაწერა, რომ თავად წინასწარმეტყველი მუჰამედიც ცოლს ამ ნახევრად გაშიშვლებული ლამაზმანებიდან აირჩევდაო.

ეს უკვე აშკარად მეტისმეტი იყო. მძვინვარე ნიგერიელ ისლამისტებს დანიელის სისხლი მოსწყურდათ, და ამ "წმინდა მისიის" შესრულების უფლებამოსილებით აღჭურვილებმა საშინელი ამბავი დააწიეს. აბა, ასეთ სიგიჟეს წინ ვინ აღუდგებოდა? სამწუხაროდ, ნიგერიის პრეზიდენტს ეს არ გაუკეთებია: მან გარკვევით გვაგრძნობინა, რომ მომხდარი ამბავი მთლიანად უბედური ჟურნალისტის ბრალი იყო. ინგლისელმა ფემინისტებმა კი, თავის მხრივ, ისე თავდადებით გაიბრძოლეს ფინალური შეჯიბრის ლონდონში გადატანის წინააღმდეგ, რომ ყველა ბრჭყალი სილამაზის კონკურსების აღკვეთისთვის იყო ალესილი. ამ დროს მათ თავში აზრადაც არ მოსვლიათ, რომ პასუხი მკვლელებისა და ვანდალებისთვისაც უნდა მოეთხოვათ.

თითქმის იმავე დროს ისლამური რესპუბლიკის სასამართლომ ირანში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ჰაშემ აგჰაჯარის – ომის ცალფეხა ვეტერანს, ჯერ კიდევ ისლამური რევოლუციის გარიჟრაჟზე თეირანში ამერიკის საელჩოს ალყის მონაწილეს – იმისთვის, რომ მან მოლების მთავრობის გაკრიტიკება გაბედა. იმისთვის, რომ სიკვდილით დასჯა დაიმსახურო, ირანში სულაც არაა აუცილებელი, მაინცდამაინც წინასწრმეტყველის მიმართ გამოიჩინო უპატივცემლობა.


*სალმან რუშდი ლიეჟის უნივერსიტეტში*

მართლმორწმუნეთა გულისწყრომას ბევრად უფრო უმნიშვნელო ცოდვებიც იწვევს. მთელ ქვეყანაში ათასობით ახალგაზრდამ აგჰაჯარის განაჩენის წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვა. გულუბრყვილონი! ამით მათ მხოლოდ ქვეყნის უზენაესი სასულიერო პირის, აიათოლა ალი ჰამენეის გაკიცხვა დაიმსახურეს.

ამავე დროს ეგვიპტეში ტელესერიალ "უთავო მხედარს" ატრიალებენ, რომელსაც ანტისემიტიზმს დახარბებული მაყურებელი უხვად ჰყავს. ძველი ყალბი საბუთი "მსოფლიო ებრაული შეთქმულების" შესახებ (რა ხანია, დამტკიცებულია, რომ "სიონის ბრძენთა ოქმი" მეფე ნიკოლოზ II-ის დროს ჟანდარმების მიერ იყო შექმნილი) ამ ტელესერიალში ისტორიულ დოკუმენტადაა წარმოდგენილი. დიახ, სწორედ იმ ეგვიპტის შესახებ ვსაუბრობთ, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმკაცრეს ცენზურას ექვემდებარება და ვერც ფაქტით და ვერც სიტყვით ვერავინ ბედავს ქვეყნის ხელმძღვანელობის ოფიციალური ხაზიდან გადახვევას. მიუხედავად ამისა, სერიალის იდეის ავტორი და მისი წამყვანი მსახიობი, მოჰამედ სოჰბი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სიტყვის თავისუფლებაზე – არც მეტი, არც ნაკლები! – და თუ მისმა სურათმა "სიონისტები დაზაფრა", მიზანი მიღწეული ყოფილა. და ის ასეთივე ცრუ სულისკვეთებით განაგრძობს თავის გადაცემებს. "უფლება აქვს..."

დაბოლოს, მუსულმანი ქალის, აიაან ჰირსი ალის შემზარავი ამბავი გავიხსენოთ, რომელსაც გაქცევა მოუწია... ჰოლანდიიდან! ერთმორწმუნეებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს მხოლოდ იმის გამო, რომ მან მსოფლიოს უამბო, როგორ აწამებენ მუსულმანი მამაკაცები თავიანთ ცოლებს.

იქნებ ეს სისასტიკის ცალკეული გამოვლინებებია და არაფრითაა ერთმანეთთან დაკავშირებული? ამ თვალსაზრისს სიამოვნებით გავიზიარებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემიძლია. შემთხვევით ხომ არ შეარქვეს აიაან ჰირსი ალის "ჰოლანდიელი სალმან რუშდი", ისევე, როგორც ჰაშემ აგჰაჯარი აღიარეს ჩემს "ირანულ ასლად", ისიომა დანიელი კი – ამავე ეშმაკის ნიგერიულ ხორცშესხმად.

რამდენიმე თვის წინათ მე საჯაროდ განვაცხადე, რომ ჩემი გადაქცევა მთელი მსოფლიოს ისლამისტების საფრთხობელად, სრულიად მიუღებლად მიმაჩნია. მაგრამ ახლა მზად ვარ, ჩემი სიტყვები უკან წავიღო. არც ისე ცუდია, როცა "მრავალ რუშდითაგან" ერთ-ერთი რუშდი ხარ. არამცთუ უკმაყოფილო ვარ, არამედ მეამაყება კიდეც, რომ ასეთ "ეშმაკების კომპანიას" მივეკუთვნები.

მაგრამ მაინც ყველა ჩამოთვლილი მოვლენის ფესვებს ჩავუღრმავდეთ: სინამდვილეში, რა იყო მუსულმანთათვის შეურაცხმყოფელი? ის, რომ ისლამის საუკუნოვანი ფასეულობები, მისი ღრმად ცივილიზებული კულტურა, სიყვარულით, ხელოვნებითა და ფილოსოფიური განსჯებით გაჟღენთილი, ძალადობით მთვრალმა ათასგვარმა პარანოიკმა, რასისტმა, ცრუმ, ფალოკრატმა, ტირანმა, ფანატიკოსმა ისე დაასახიჩრა, რომ ველარც იცნობთ? ეს რატომ არ აღაშფოთებს მუსულმანებს?

ირანელი სტუდენტები მანიფესტაციებს მაინც მართავენ. მაგრამ მეტი სად ისმის ისლამურ სამყაროში მიმტევებელი და გულღია მუსულმანური უმრავლესობის ხმა, რომელიც თავის ნიგერიელი, ეგვიპტელი, არაბი, ჰოლანდიელი ერთმორწმუნეების გამოხდომებს გაკიცხავდა? ვაგლახ, ისინიც კი, ვინც დასავლეთში ცხოვრობენ, უცნაურად დუმან.

სანამ ზომიერი ისლამისტები თავად არ შეუდგებიან თავიანთი კულტურის და თავიანთი სარწმუნოების მწვავედ მომწიფებულ მოდერნიზაციას, ამის კეთება ეგრეთ წოდებულ "რუშდებს" მოუწევთ.

ვიწინასწარმეტყველებ, რომ ამ მდუმარე, დათრგუნული უმრავლესობიდან მალე ათობით და შეიძლება, ათასობით "რუშდი" გამოვა. რადგან ადამიანის ცნობიერება, ადამიანური ღირსების გრძნობა, გალიაში სამუდამოდ არ გამოიმწყვდევა, რაც არ უნდა უხეშად ცდილობდნენ ამას ინკვიზიტორები.

დღეს მუსულმანური სამყარო ტყვე აღმოჩნდა. არა, არა დასავლეთის, არამედ იმ ისლამის გამტაცებლებისა, რომელთაც მისი მთელი დანარჩენი კაცობრიობისგან გამოყოფა და ჩარაზვა უნდათ. უმრავლესობა დუმილს განაგრძობს. მაგრამ რაც არ უნდა მძიმე იყოს ეს ბრძოლა, დასასრულის რწმენას არ ვკარგავთ: ერთ დღეს ციხის კარი ნამდვილად გაიხსნება.

### კანს მენეჯერობა სურს

სეზონის ბოლოს ოლივერ კანი ყველას არწმუნებდა, "ბაიერნში" თამაში მომბეზრდა და საზღვარგარეთ მინდა წასვლაო, მაგრამ როცა მიხვდა, რომ "ბაიერნი" კონტრაქტის დარღვევის უფლებას არ მისცემდა, სულ სხვანაირად აჭიკჭიკდა. მიუნხენელთა ექსცენტრულ მეკარეს ახლა უკვე საქმიანი კარიერის დაწყება სურს და აცხადებს, რომ სიამოვნებით გახდებოდა "ბაიერნის" მენეჯერი.

"2006 წლამდე დავრჩები კლუბში, მსოფლიო ჩემპიონატზეც ვითამაშებ, მერე კი უკვე ფეხბურთიდან წავალ. ბუცებს სამუდამოდ გავიხდი და საქმიან სფეროში გადავინაცვლებ. მინდა, "ბაიერნის" მენეჯერი გავხდე. არ მეგულება კაცი, რომელიც ჩემზე უკეთ მოერგება ამ როლს", - ჩვეული მოურიდებლობით განაცხადა კანმა.

ული ჰიონესმა მას ერთხელ უკვე შესთავაზა, კარიერის დასრულების შემდეგ ამ პოსტზე ემუშავა, მაგრამ მას მერე კანსა და ჰიონესს შორის არაერთხელ მოხდა უთანხმოება, რის გამოც გერმანელი ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ ული ჰიონესი კვლავაც მოისურვებს კანის დასაქმებას. თავად "ოლის" ჰიონესთან მომხდარი კონფლიქტი ნაკლებად აწუხებს. "2006 წლამდე პირად პრობლემებს მოვაგვარებ, მერე კი ხელს აღარაფერი შემიშლის", - დარწმუნებულია კანი.

### რომზე შეყვარებული ინძაგი

"მილანის" საუკეთესო გოლეადორი ფილიპო ინძაგი აქ არაფერ შუაშია. რომსა და "ლაციოს" სიყვარულს უხსნის მისი უმცროსი ძმა სიმონე, რომელსაც თავზარი დასცა "უდინეზეს" ხელმძღვანელთა სურვილმა - "ლაციოდან" სიმონე ინძაგის შეძენა გვინდაო.

"უდინეზე" მეტად ამბიციური და კარგი გუნდია, მომავალ სეზონში უეფას თასზეც ითამაშებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც არ მსურს "ლაციოს" დატოვება. რომი ჩემი საყვარელი ქალაქია. ძალიან მინდა, ჩემპიონთა ლიგაში რობერტო მანჩინის ხელმძღვანელობით ვითამაშო და "ლაციოს" წარმატების მოპოვებაში დავეხმარო", - თქვა უმცროსმა ინძაგიმ, რომელმაც განვლილ სეზონში "ლაციოს" რიგებში ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი.

"უდინეზეს" გარდა, "სუპერპიპოს" ძმის შეძენა სხვა კლუბებსაც სურდათ, მაგრამ თავად ფეხბურთელს არაფრით არ უნდა რომის დატოვება და რომელიმე პროვინციული ქალაქის პატარა კლუბში წასვლა. ინძაგი იმედოვნებს, რომ რობერტო მანჩინი და სერჯო კრანიოტი მას "უდინეზეში" გასაყიდად არ გაიმეტებენ.

### მწუხარება ბილბაოში

კვირას ბილბაოს "ატლეტიკის" ყველა ფეხბურთელი შავი სამკლაურით გამოვა მადრიდის "სანტიაგო ბერნარბეუზე" და სეზონის უკანასკნელ მატჩს ითამაშებს ჩემპიონობისთვის მებრძოლი "რეალის" წინააღმდეგ. მატჩს, რომელსაც ბასკების ახალგაზრდა პრეზიდენტი ვეღარ მოესწრო.

"ბილბაოს" შეფი ხავიერ ურია ოთხშაბათს გარდაიცვალა. ის მხოლოდ ორმოცდაერთი წლის იყო. "ატლეტიკის" პრეზიდენტი 2001 წლის ივლისში გახდა. სამი ქალიშვილის მამა არაჩვეულებრივი რეპუტაციით სარგებლობდა ბილბაოში და ყველა შეწუხდა, როცა გაირკვა, რომ პრეზიდენტი მძიმედ იყო დაავადებული. ხავიერ ურიას ყელის კიბო ჰქონდა და მისი განკურნება შეუძლებელი აღმოჩნდა.

სანამ "ატლეტიკის" პრეზიდენტი გახდებოდა, ხავიერ ურია ჯერ თავისი მშობლიური სოფლის, სებერიოს ალკალდი იყო, შემდეგ კი - ბილბაოს სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი. 2001 წლის ივნისში მან თავისი მეგობარი ხოსე მარია არატე შეცვალა "ატლეტიკის" პრეზიდენტის პოსტზე. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორ წელიწადს უძღვებოდა "ატლეტიკს", კლუბისთვის მაინც ბევრი გააკეთა. მისი უკანასკნელი სურვილი ახალი მთავარი მწვრთნელის მოძებნა იყო, რადგან იუპ ჰაინეკესი "შალკეში" აპირებდა წასვლას, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვეღარ მოასწრო.

### მათეუსი RTL-ს უჩივის

ლოთარ მათეუსს უკვე ისე მყარად აქვს მიწებებული დონ ჟუანის იარლიყი, რომ ისეთი სერიოზული ტელეარხიც კი, როგორიც RTL -ია, არც კი თვლის საჭიროდ, ინფორმაცია გადაამოწმოს და ტელეჟურნალ "ექსკლუზივში" საზეიმოდ აცხადებს, მათეუსმა მცირეწლოვანი გოგონა გააუპატიურაო...

მოგეხსენებათ, მათეუსი ბელგრადის "პარტიზანის" მთავარი მწვრთნელია და იუგოსლავიაში ცხოვრობს. 16 მაისს ადგილობრივ გაზეთ "სვეტში" სენსაციური ინფორმაცია გაჩნდა: ლოთარ მათეუსმა იუგოსლავიელი პოლიტიკოსის, დუვო პოპოვიჩის 15 წლის გოგონა შეაცდინა, რისთვისაც მას პოპოვიჩი უჩივისო. როგორც გაირკვა, საბრალო ლოთარი დამნაშავე არ ყოფილა. გოგონას მამამ "ბილდს" აუხსნა, რომ მისი ქალიშვილი და მათეუსი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ღამის კლუბ "ვერიგეში", სადაც გოგონა თავის მეთექვსმეტე დაბადების დღეს იხდიდა.

"როცა გაზეთში ეს უცნაური სტატია გამოჩნდა, მაშინვე წავიყვანე ჩემი შვილი ექიმთან, რომელმაც დაადასტურა, რომ გოგონა ქალწული იყო და ჟურნალისტებმა ჭორი გაავრცელეს. ბატონ მათეუსს ბოდიში მოვუხადე. მე ვუჩივლე არა მათეუსს, არამედ იმ გაზეთს, რომელმაც ეს სისულელე დაბეჭდა", - თქვა პოპოვიჩმა.

ახლა იუგოსლავიურ გაზეთ "სვეტთან" ერთად RTL-საც მოუწევს სასამართლოს წინაშე თავის მართლება. მათეუსი ისე გააბრაზა ამ ტელეარხის თავქარიანობამ, რომ არავითარი ბოდიში არ მიიღო და სერიოზულად აპირებს სასამართლოში ჩივილს.

### გუტის ყველგან სიხარულით მიიღებენ...

მიაჩნია "რეალის" სპორტულ დირექტორს ხორხე ვალდანოს, რომელიც მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის, რომ ხოსე მარია გუტიერესს ჯიუტად აქვს აჩემებული მადრიდიდან წასვლა. ის ჯერ კიდევ ბექჰემის გადასვლამდე აცხადებდა, რომ თუ "რეალი" ბექჰემს იყიდიდა, ის "სამეფო კლუბში" აღარ დარჩებოდა. ახლა კი, როცა ეს სენსაციური ტრანსფერი უკვე შედგა, გუტიმ ახალი კლუბის ძებნა დაიწყო.

ხოსე მარია გუტიერესი ის ფეხბურთელია, რომელსაც გუნდის მოძებნა ნამდვილად არ გაუჭირდება. გუტის შეძენით ბევრია დაინტერესებული: "ინტერი", "არსენალი" "ბარსელონა"... ყველაზე მეტად კი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებული "მილანი" აქტიურობს. სილვიო ბერლუსკონი აპირებს, პირადად მოელაპარაკოს ფლორენტინო პერესს გუტის ტრანსფერის თაობაზე. ხორხე ვალდანო კი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ გუტი "რეალს" არ დატოვებდა.

## ჩოგბურთი

# რენას თასი

სამი დღეა სანაპიროზე მდებარე "დინამოს" კორტებზე რენა აბჟანდაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. შეჯიბრი ორ ეტაპიანია. პირველ ეტაპზე ერთმანეთს 12 წლამდე ჩოგბურთელები ეჯიბრებიან, მეორეზე - შედარებით უფროსი ასაკისანი.

გუშინ პირველი ეტაპი დასრულდა და სტარტი აიღო მეორემ. უმცროსი ასაკის ვაჟებს შორის გამარჯვება ერგო გიორგი ხმიადაშვილს, რომელმაც ფინალში შოთა პაიჭაძე დაამარცხა (ორი სეტით - 6:3, 6:3).

გოგონებს შორის პირველობა ეკა გორგოძემ მოიპოვა. ფინალში მან მარიამ სამქანაშვილი დაამარცხა (6:2, 6:3).

## TV-სპორტი

**პარასკევი. 20 ივნისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ამერიკა კალი" - "ბოკა ხუნიორსი"
15:00 "FUTBOL MUNDIAL"
15:30 "საფეხბურთო სამზარეულო"
16:00 რუსეთის ჩემპიონატი. "რუბინი" - "როსტოვი"
17:45 "დარტყმა გოლისთვის"
18:00 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "ბავარია"
21:05 "პოსტსკრიპტუმი"
21:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:05 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ამერიკა კალი" - "ბოკა ხუნიორსი"
23:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - ბავარია"
00:35 "პოსტსკრიპტუმი"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 15:00, 16:45, 20:00, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:15 აერობიკა
11:55 სპორტული ტანვარჯიში. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:40 "ჩქაროსნული სამყარო"
16:10 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:00 ისტორია. რუსეთის ჰოკეის ჩემპიონატები. 97/98 სეზონი
17:55 ტაილანდური კრივი
18:50 ცხენოსნობა. "Royal ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
20:15 "სპორტული გლობუსი"
20:45 "კეგლის დროა"
21:30 WNBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 სპორტული ტანვარჯიში. რუსეთის ჩემპიონატი
01:25 ახალი ამბები
01:40 WNBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
02:10 "სპორტული გლობუსი"

**EUROSPORT**
11:30 თანამედროვე ხუთჭიდი
12:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
13:45 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
15:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. ჰოლანდია
17:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. დიდი ბრიტანეთი
19:00 ტრიატლონი. ევროპის ჩემპიონატი
20:45 ახალი ამბები
21:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
22:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
00:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
02:00 ახალი ამბები
02:15 "ფორმულა 1"
02:30 ავტორბოლა. ლე მანი
03:30 მოტოსპორტი
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი
04:30 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# დიმა რამიშვილი: "სტადიონები უნდა გაივსოს!"

## პროფესიული ლიგა - ქართული ფეხბურთის განვითარების ახალი ეტაპი

აკა ტონია



ლერი სულაბერიძე



დიმა რამიშვილი

აკა ტონიას ფოტო

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის გაუქმება საკმაოდ ძვირად დაუჯდა ქართულ ფეხბურთს. დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული პირველობა უეცრად მაყურებლის გარეშე დარჩა. წლების მანძილზე ჩემპიონი უცვლელი იყო, თბილისის "დინამოს" ვერც ერთი სხვა ქართული კლუბი ვერ უწევდა კონკურენციას, ამასობაში კი თავად "დინამო" სულ უფრო ნაკლებად კონკურენტუნარიანი ხდებოდა. უკანასკნელ წლებში ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა. საქართველოს ჩემპიონატში ინტრიგა გაჩნდა. ბოლო სამი წლის მანძილზე გამარჯვებული ბოლო ტურებში ვლინდება. ბოლნისის "სიონი" წელს უეფას თასზე მიიღებს მონაწილეობას, ადრე ეს, ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა... თუმცა, მაყურებლის ყურადღებით საქართველოს ჩემპიონატი არც ახლაა განებივრებული. ტელე-კომპანიები არ არიან დაინტერესებულები მატჩების ტრანსლიაციით. აქედან გამომდინარე, საქართველოს ჩემპიონატს არც სპონსორები ჰყავს.

ყველაფერი დროებითია, მათ შორის - პრობლემებიც, ცხადია, თუ მათ გადაჭრაზე ვიფიქრებთ. საქართველოს ჩემპიონატში არსებულ პრობლემებზე ამიერიდან საქართველოს პროფესიული ლიგა, ანუ სუპერლიგა იზრუნებს.

სუპერლიგის ჩამოყალიბება აუცილებელი ნაბიჯი იყო, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გადაგვედგა. ეს, ალბათ, უფრო ადრეც უნდა მომხდარიყო, თუმცა დროს ყველაფერი თავად მოაქვს. სუპერლიგის შექმნა ქართული ფეხბურთის განვითარების მომდევნო, აუცილებელი და გარდაუვალი ეტაპია. ეს იდეა უკვე დიდი ხანია არსებობს; სუპერლიგის შექმნას FIFA-ს და UEFA-ს წარმომადგენლებიც გვთავაზობდნენ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან პირად საუბრებშიც ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი ფეხბურთის განვითარებისათვის ეს აუცილებელია.

სუპერლიგამ უკვე დაიწყო მუშაობა; აირჩიეს პრეზიდენტიც - დიმა რამიშვილი, რომლის კანდიდატურაც საქართველოს კლუბებს ფედერაციამ წარუდგინა და, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

17 ივნისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობაში სუპერლიგის პრეზიდენტი, დიმა რამიშვილი, სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ვიცე-პრეზიდენტი, ლერი სულაბერიძე საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიგითი, საქმიანი შეხვედრა იყო, ის მაინც მოექცა ყურადღების ცენტრში.

მაინც რა არის "სუპერლიგა", რა განსხვავება იქნება საქართველოს უწინდელ ჩემპიონატებსა და მომავალ სუპერლიგას შორის? ჩვენს კითხვებზე პასუხის მისაღებად, ცხადია, მათ ვეწვიეთ, ვისგანაც ყველაზე ამომწურავ პასუხებს მივიღებდით: სუპერლიგის პრეზიდენტს, დიმა რამიშვილს და სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტს, ლერი სულაბერიძეს.

***დიმა რამიშვილი:*** ევროპის 35 ქვეყანაში, ეროვნულ ჩემპიონატებს სწორედ პროფესიული ლიგები ატარებენ. საუბარი არ არის წამყვან ქვეყნებზე, სადაც პროფესიული ლიგა უკვე დიდი ხნის წინ დაინერგა. ისეთი მოკრძალებული საფეხბურთო ტრადიციების ქვეყნაშიც კი, როგორიც ფინეთია, სწორედ პროფესიული ლიგა ატარებს ეროვნულ ჩემპიონატს. სუპერლიგის შექმნა ქართული ფეხბურთის განვითარების აუცილებელი კომპონენტია.

***ლერი სულაბერიძე:*** უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის მხოლოდ საქართველოს ინიციატივა. პროფესიული ლიგის შექმნის აუცილებლობაზე FIFA-ს პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმაც ისაუბრა საქართველოში ყოფნისას. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე საქმის კურსში არიან, რომ საქართველოში პროფესიული ლიგა ამოქმედდება და ამას ძალიან დადებითად აფასებენ.

**- და მაინც, რას ნიშნავს პროფესიული ლიგა. რა განსხვავება იქნება მომავალ ჩემპიონატებსა და საქართველოს ადრინდელ პირველობებს შორის?**

***დიმა რამიშვილი:*** საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შემოსავალი, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. ჩვენს კლუბებს არ აქვთ შემოსავლები, რადგან ტელე-კომპანიები მატჩების ტრანსლირებით არ ინტერესდებიან. ხალხი არ დადის სტადიონებზე. აქედან გამომდინარე, არც ბილეთების გაყიდვას მოაქვს მოგება. არ არსებობს ის ინფრასტუქტურა, რომელითაც უნდა ისულდგმულონ კლუბებმა. პროფესიული ლიგა სწორედ ამ პრობლემების გადასაწყვეტად შეიქმნა. ჩვენი უპირველესი მიზანი ის არის, რომ ქართულ კლუბებს შემოსავალი გაუჩინდეთ, გამოუსწორდეთ ფინანსური მდგომარეობა. პროფესიული ლიგის ამოცანაა სპონსორების მოზიდვა, ტელეკომპანიების დაინტერესება. მთავარია, რომ საქართველოს ჩემპიონატს მეტი ინტრიგა შეემატოს და სტადიონებიც აღარ იყოს ცარიელი – სტადიონები უნდა გაივსოს!

**- როგორ აპირებთ ტელე-კომპანიების დაინტერესებას. საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლების შეძენა ხომ უაღრესად არამოგებიანი საქმეა?**

***დიმა რამიშვილი:*** ამ ეტაპზე ტელე-ტრანსლაციების გაყიდვაზე საერთოდ არ არის საუბარი. დღეს ტელე-კომპანიებთან ურთიერთობა უფრო თანამშრომლობის ხასიათს ატარებს. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს რამდენიმე წამყვან ტელე-არხთან. ჩვენი მიზანია, რომ ტელევიზიით წელიწადში საქართველოს პირველობის, მინიმუმ, 40-50 მატჩის ტრანსლაცია მოხდეს. უპირატესობას არც ერთ ტელე-კომპანიას არ ვანიჭებთ. დასაშვები იქნება, რომ არხებმა მატჩები გაინაწილონ. მათ უკვე გამოთქვეს თავიანთი დაინტერესება, რაც ძალიან სასიხარულოა. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველ ეტაპზე არავის მოვთხოვთ ტრანსლაციების სანაცვლოდ თანხის გადახდას. ასეთი პირობა ყველას აკმაყოფილებს - ტელევიზიებსაც და ჩვენც. პროფესიულ ლიგას ეს სპონსორების მოძიების საშუალებას მისცემს. ინტენსიური მოლაპარაკებები გვაქვს მეწარმეებთან, რომელთაც ჩვენთან თანამშრომლობის დიდი სურვილი აქვთ. მათთვის ეს სარფიანი ბიზნესი იქნება.

***ლერი სულაბერიძე:*** ამ გეგმის მიხედვით, საქართველოს ჩემპიონატს რეალური შემოსავალი გაუჩნდება. აუცილებლად უნდა გაკეთდეს სპეციალური სატელევიზიო მიმოხილვები, მატჩების გარჩევები. ყოველივე ეს თავად ფეხბურთელებსაც მისცემს სტიმულს, თავის გამოჩენის საშუალებას. ქართული ტელე-არხების ხილვის საშუალება უცხოეთშიც აქვთ. აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთაც მეტი ინფორმაცია გავა ჩვენს ფეხბურთზე. ბევრს ვსაუბრობთ მსაჯობის პრობლემებზე. ტელეტრანსლაციები ამ პრობლემის დარეგულირებასაც შეუწყობს ხელს, რადგან მსაჯები ბევრად უფრო მობილიზებულები იქნებიან - მათი შეცდომები აღარავის გამოეპარება.

**- რას მოხმარდება ის შემოსავლები, რომლებსაც პროფესიული ლიგა მიიღებს. რა პრინციპით გადანაწილდება თანხები კლუბებზე?**

***დიმა რამიშვილი:*** პროფესიული ლიგის შემოსავლები გუნდებს არ დაურიგდებათ. ეს თანხები იმას მოხმარდება, რომ კლუბებმა თავად შეძლონ ფინანსურად გაძლიერება. ჩვენი შემოსავალი საპრიზო ფონდის გაზრდას და საფეხბურთო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას მოემსახურება. კლუბების შემოსავლები მათ სპორტულ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ კლუბს თითოეული ქულა "ულირდეს". ხდება ისე, რომ გუნდებისათვის ზოგჯერ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ ადგილზე გავლენ, მაგალითად, მეექვსეზე თუ მეხუთეზე. გუნდი, რომელსაც ევროთასებზე გასვლის შანსი დაკარგული აქვს, ხოლო უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საშიშროება არ ემუქრება, დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს სატურნირო მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, "ჩაწყობილი" თამაშების საშიშროებაც მატულობს. დაგეგმილი გვაქვს, რომ ზედა ექვსეულის თითოეულმა გუნდმა სხვადასხვა სიდიდის ფულადი პრემია მიიღოს, ცხრილის საფეხურის მიხედვით. ასევე იქნება ქვედა ექვსეულშიც. მეორე ლიგაში ჩამოსაქვეითებელი გუნდები ბოლო ოთხ გუნდს შორის გამართულ პლეიოფეში უნდა გამოვლინდეს. აქედან გამომდინარე, მოდუნების საშუალება არც ერთ გუნდს არ ექნება. ქვედა ექვსეულის გუნდები ყოველი ქულისათვის იბრძოლებენ, რათა გავარდნას გადაურჩნენ, ხოლო ზედა ექვსეულის გუნდები უფრო დიდი ფულადი პრემიის მოპოვებას შეეცდებიან. ამ გეგმის მიხედვით, საქართველოს ჩემპიონატის ყველა მატჩს საკმაო ინტრიგა შეემატება.

***ლერი სულაბერიძე:*** "ჩაწყობილი" მატჩები ვახსენეთ და იმასაც დავამატებ, რომ ასეთ პირობებში, ალბათ, აღარც ერთ გუნდს არ გაუჩნდება თამაშის გაყიდვის სურვილი, რადგან მოგების შემთხვევაში უფრო დიდ შემოსავალს მიიღებენ. ეს მათ, უბრალოდ, აღარ უნდა "ულირდეთ".

**- პროფესიული ლიგა მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას ითავებს თუ - საქართველოს თასსაც?**

***დიმა რამიშვილი:*** ისევე, როგორც ყველა დანარჩენი, ეს საკითხიც კლუბების ხელმძღვანელებთან უნდა იქნეს შეთანხმებული. შესაძლოა, თასიც ჩვენ ჩავატაროთ, შესაძლებელია ისიც, რომ პროფესიულმა ლიგამ საკუთარი თასი გაათამაშოს, საქართველოს თასის პარალელურად.

**- საქართველოს კონსტიტუცია სპორტულ ღონისძიებებში ალკოჰოლური სასმელების რეკლამირებას კრძალავს. მართალია, რომ საქართველოს პარლამენტს ამ აკრძალვის მოხსნის შესახებ მოთხოვნა გაუგზავნეთ?**

***დიმა რამიშვილი:*** მართალია. საქართველოს პარლამენტს და სპორტის დეპარტამენტს შესაბამისი მოთხოვნა გავუგზავნეთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მოთხოვნას მალე განიხილავენ. მალე ახალი არჩევნებია და აჯობებს, რომ ეს საკითხი არ გადაიდოს. ეს არის ჩვენი თხოვნაც და მოთხოვნაც. მთავრობა ჩვენ შედეგებს გვთხოვს, ამისათვის კი ჩვენ ხელშეწყობა გვჭირდება. მით უმეტეს, ჩვენი მოთხოვნა სრულიად კანონიერია. ფეხბურთი და ლუდი განუყოფელი ნაწილია, Amstel-ი ჩემპიონთა ლიგის ოფიციალური სპონსორია. სპირტიანი სასმელების სპორტულ ღონისძიებებში რეკლამირება მრავალ ქვეყანაშია ნებადართული, ხოლო ლუდისა - ყველგან. სპირტიანი სასმელების ქართველ მეწარმეებს სპორტში ფულის ჩადების დიდი სურვილი აქვთ, ამ კანონით კი უფლება არ აქვთ. ქართული ფეხბურთი, ამ შემთხვევაში კი ეროვნული ჩემპიონატი, ამ კანონის გამო დიდ ფინანსურ სახსრებს კარგავს. ეს დაუშვებელია.

**- მომავალი სეზონიდან უკვე სუპერლიგა გვექნება?**

***დიმა რამიშვილი:*** დიახ, ასეა. ჩვენი ფეხბურთი თავისი განვითარების ისეთ სტადიაშია, რომ თითოეული წელი ოთხს უდრის. ჩვენ არ გვაქვს დროის დაკარგვის უფლება. ეს იდეა რომ უფრო ადრე განგვეხორციელებინა, ახლა ბევრად უფრო კარგი შედეგები გვექნებოდა. მომავალი სეზონიდან პროფესიული ლიგა აუცილებლად გვექნება.

***ლერი სულაბერიძე:*** ჩვენი საუბრიდან გამომდინარე, ალბათ, მიხვდით, რომ მრავალი დეტალი ჯერ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი. პროფესიული ლიგის პროექტი დამუშავების სტადიაშია. ახლა მუშაობის პროცესში ვართ. ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს კლუბების ხელმძღვანელებთან, რათა ყოველი მათგანის სურვილი და აზრი იქნას გათვალისწინებული. პროფესიული ლიგა მონაწილე კლუბების ინტერესებს უნდა იცავდეს.

# დინამ(იკ)ური ამბები

## შუშაკმა კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ჩემპიონმა, თბილისის "დინამომ" უკვე დაიწყო მომავალი საფეხბურთო სეზონისა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდებისთვის მზადება. გუნდი, ტრადიციულად, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბა. დინამოელებს მეორე მწვრთნელი, ნესტორ მუმლაძე და ფიზიკური მომზადების სპეციალისტი, ავთანდილ ბერიძე ავარჯიშებენ. საწვრთნელი პროცესი ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" მთავარი ექიმის, დიმა ზაალიშვილის მეთვალყურეობით მიმდინარეობს. თითოეული დინამოელი სამედიცინო შემოწმებასაც გადის. შუშაკი, რომელსაც "დინამოსთან" ძველი კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა, სამშობლოში, ხორვატიაში იმყოფება. სპორტულ ინტერნეტ-გვერდებზე ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურზე დაყრდნობით გაჩნდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, შუშაკს ხორვატიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ. თუმცა, როგორც "დინამოს" პრესატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვამცნო, შუშაკი წასვლას არ ჩქარობს. მან ქართულ კლუბთან ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონის განმავლობაში ისევ "დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში მოგვევლინება.



შუშაკის მომავალი "დინამოს" უკავშირდება

"დინამოში" რამდენიმე ახალწვეულია. გასული სეზონის ბოლოს გუნდში არენდით იმყოფებოდა ვიტჯორჯიელი სანდრო იაშვილი, რომლის კონტრაქტიც "დინამოს" ხელმძღვანელობამ გამოისყიდა და საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი უკვე სრულფასოვანი დინამოელია.

"დინამოს" მაისურას მოირგებს 24 წლის მცველი მამუკა წერეთელი, რომელსაც გუცაევის, შემდეგ კი ბოსკამპის დროს აქტიურად იწვევდნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. კონტრაქტის მიხედვით, წერეთელმა თავისი კარიერა "დინამოს" მომდევნო ორი წლით დაუკავშირა.

"დინამო 2"-დან პირველ გუნდში გადაიყვანეს 18 წლის ზურაბ ექონია, რომელიც შარშან ერთხელ უკვე გამოჩნდა გუნდის რიგებში. მან ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში ითამაშა და ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

გუშინ "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა გაემგზავრა შვეიცარიის ქალაქ ნიონში, სადაც დღეს ევროტურნირების წილისყრა გაიმართება. გაირკვევა, თუ ვინ გაუწევს "დინამოს" მეტოქეობას ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში.

ოთხ დღეში კი "დინამოც" აიღებს გეზს უცხოეთისკენ. 24 ივნისს გუნდი გაემგზავრება გერმანიის ქალაქ რუიტში, სადაც საწვრთნელ შეკრებას გაივლის. შუშაკი თავის შეგირდებს იქ შეუერთდება. ასევე პირდაპირ რუიტში ჩავა "დინამოს" ჯერჯერობით ერთადერთი ლეგიონერი, ბრაზილიელი კარლოს და როჩა, რომელიც ახლა ოჯახთან ერთად სამშობლოშია. სიტყვა "ერთადერთი" შემთხვევით არ მიხმარია. ლევან სალუქვაძის თქმით, "დინამოს" სელექციონერები აქტიურად მუშაობენ და, გამორიცხული არ არის, გუნდს რუიტშივე შეუერთდეს რამდენიმე ლეგიონერი.

გერმანიის ამ ბაზაზე, რომელსაც ხშირად ბუნდესნაკრებიც სტუმრობს, "დინამო" რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. საქართველოს ჩემპიონს სპარინგ-პარტნიორობას გაუწევენ მეორე ბუნდესლიგის გუნდები, "ულმი" და "მაინცი". მთავარი შეხვედრა კი "დინამოს" 5 ივლისს ელის - ამ დღეს მისი მეტოქე იქნება ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო და ავტორიტეტული კლუბი "მიუნხენ 1860".

იგეგმება ტესტ-მატჩები რეგიონულ ლიგების გუნდებთანაც, თუმცა, ამ გუნდების ვინაობა და მათთან შეხვედრის თარიღები ადგილზე დაზუსტდება.

"დინამო" სამშობლოში 12 ივლისს დაბრუნდება.

კრივი

# ტიტანთა ორთაბრძოლა

## ლენოქს ლუისი - ვიტალი კლიჩკო

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ლენოქს ლუისი, მსოფლიო ჩემპიონი კრივში მძიმე წონითი კატეგორიის პროფესიონალთა შორის კრივის მსოფლიო საბჭოსა და კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის ხაზით, პრაქტიკულად კი აბსოლუტური, ან ინგლისურად უბადლო მსოფლიო ჩემპიონი, მიჩვეულია, რომ თავის მეტოქეებს ზემოდან უყუროს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც. ის კალათბურთელის სიმაღლის მქონე მოკრივეა. მისი სიმაღლე 6 ფუნტი და ხუთი დუიმია. მაგრამ აი, შაბათს, 21 ივნისს, ლოს ანჯელესში, "სტეიპლს ცენტრის" რინგზე გასულ ლუისს თავისი მოწინააღმდეგისთვის ზემოდან კი არა, ქვემოდან მოუწევს შეხედვა. საქმე ის არის, რომ მისი მეტოქე, ცნობილი უკრაინელი მოკრივე ძმებიდან ერთ-ერთი, ვიტალი კლიჩკო, მასზე მაღალია – 6,8! მაგრამ დანარჩენში ლუისი საკუთარ თავს არ ღალატობს. ის წინასწარმეტყველებს, რომ ვიტალის სადღაც მეხუთე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდებს (ვიტალის აზრით, ბრძოლა თორმეტივე რაუნდი გაგრძელდება).


ვიტალი კლიჩკო


ლენოხ ლუისი

ვიტალის უმცროსი ძმა, ვლადიმირი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ხაზით, უკვე გასულა რინგზე ლუისთან ერთად, ოღონდ ცხოვრებაში კი არა, კინოში (ფილმში "ოუშენის თერთმეტი მეგობარი"). ამბობენ, რომ ძმამ ძმას თავისი კინემატოგრაფიული გამოცდილება გაუზიარა და "ძვირფასი რჩევები" მისცა იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება "უბადლოს" დამარცხება. ამაზე ლუისის რეაქცია დამცინავია. ის ხაზგასმით უპატივცემულოდ ეპყრობა ორივე ძმას. "შემიძლია, ერთი საუზმედ შევჭამო, მეორე - სადილად," ბოროტად ხუმრობს ჩემპიონი. "ყოველი ორთაბრძოლა თავისებურია", - ამბობს ლუისი, - "მაგრამ არ მჯერა, რომ დიდ ბიჭებში ჩემზე კარგი მოკრივე არსებობს. კლიჩკოს ჩემი ტექნიკა და გამოცდილება არ გააჩნია, ასე რომ, უპირატესობა ჩემ მხარეზეა. მე მგონი, ვლადიმირი, როგორც მოკრივე, ვიტალის სჯობს, მაგრამ სხვადასხვა სტილი სხვადასხვა სტრატეგიას გვკარნახობს".

ვიტალი შემთხვევით აღმოჩნდა ლუისის მოწინააღმდეგე, თუმცა, ოფიციალური კვალიფიკაციით ის №1 პრეტენდენტად ითვლება. 21 ივნისს ლუისის მეტოქე კირკ ჯონსონი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვარჯიშის დროს ჯონსონმა ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, ორთაბრძოლაზე უარი ეთქვა. დიდი შოუს გადასარჩენად ლუისი დათანხმდა, ჯონსონი ვიტალი კლიჩკოთი შეეცვალათ. ვიტალიმ, თავის მხრივ, გადადო ბრძოლა სედრიკ ბოსველთან, რომელიც იმავე დღეს, 21 ივნისს, ლუის-ჯონსონის ორთაბრძოლამდე, იმავე "სტეიპლს ცენტრის" არენაზე უნდა შემდგარიყო.

ვიტალიც მსოფლიო ჩემპიონი იყო - 1999 წელს ჩემპიონის ქამარი კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ხაზით მოიპოვა. მართალია, 2000 წელს მან ეს წოდება კრის ბერდს დაუთმო. მეათე რაუნდში ის რინგზე აღარ გამოვიდა, რადგან მარცხენა მხრის კუნთოვანი ქსოვილები ჰქონდა დაზიანებული, რაც ჯერ კიდევ მეოთხე რაუნდში მოხდა. მაგრამ მას შემდეგ ვიტალიმ ზედიზედ ხუთი ბრძოლა მოიგო, მათ შორის ოთხი - ნოკაუტით. თავისი მრისხანე მოწინააღმდეგის შესახებ ის შეუდარებლად მეტი პატივისცემით ლაპარაკობს, ვიდრე პირიქით. ვიტალი ამბობს: "მე ვფიქრობ, რომ ლუისი თავის წონით კატეგორიაში ყველაზე კარგი მოკრივეა, რასაც თავადაც ამტკიცებს. ის ინგლისიდანაა, ინგლისში კი ამბობენ, რომ მეფეს ამალა ქმნის, და არა ის თავადო. ის თავის დივიზიონში საუკეთესოა და მიაჩნია, რომ მე არასაკმარისად ძლიერი ვარ იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვიყო. მე ეს მრავალგზის მსმენია, მაგრამ არ მაღელვებს".

ლუის-კლიჩკოს ორთაბრძოლას კრივის სამყაროში დიდი ინტერესით ელიან. სპორტული მიმომხილველი მაიკ ფრიმენი წერს, რომ ეს კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საოცარი სანახაობა იქნება. წარმოიდგინეთ ორი მძლავრი გოლიათის ჩხუბი. და მართლაც, მეტოქეთა ზომა და სიმძლავრე ნამდვილ გოლიათთა ორთაბრძოლას გვპირდება. კლიჩკოს სუსტი ადგილი მცირე მანევრირების უნარი და სისწრაფეა (ვიტალიზე ამბობენ, რინგზე ჰგავს მოწაფეს, რომელმაც ახლახან დაიწყო ტანგოს ცეკვა და თან ორივე ფეხი მარცხენა აქვსო). მანევრებსა და სისწრაფეში ლუისს აშკარა უპირატესობა აქვს. მაგრამ ორმეტრიანი ვიტალი გარკვეულ სირთულეებს შეუქმნის ჩემპიონს, რომელიც ასეთ გიგანტთან ერთად რინგზე არასოდეს გასულა. შემთხვევითი არაა, რომ ამალამ, რომელმაც მეფე შექმნა, ვერ შეურჩია ლუისს სავსებით ადეკვატური სპარინგ-პარტნიორები, რომლებიც ფიზიკური და სტილისტური მონაცემებით უკრაინელ ჰერკულესს ემგვანებოდნენ. ჩემპიონის მწვრთნელის, ემანუელ სტიუარტის თქმით, "ჩვენ (ანუ ლუისი - *მ.ს.*) იმისთვის უნდა მოვემზადოთ, რომ დარტყმები, როგორც ყოველთვის, ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ მივაყენოთ. დიახ, ჩვენ გაგვიჭირდა შესაბამისი სპარინგ-პარტნიორების შერჩევა, რადგან, ჩვეულებრივ, ლუისს მასზე პატარა ტანის მეტოქეებთან აქვს ხოლმე საქმე. მაგრამ ბუნებრივი ნიჭი და გამოცდილება ლუისს გამარჯვებაში დაეხმარება". მეორე მხრივ, თვლის სტიუარტი, "ვიტალისთან კრივი ძალიან საინტერესოა. ის მეტისმეტად დიდია საიმისოდ, რომ რინგზე ირბინოს და მეტოქეს გაექცეს. ასე რომ, მაყურებელი დიდად ისიამოვნებს ორი მოკრივის ბრძოლით, რომლებიც განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალას ფლობენ. ყველაფერ ამის შედეგად უზარმაზარ, ფეთქებად ორთაბრძოლას უნდა ველოდეთ".

ექსპერტთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ჩემპიონი გაიმარჯვებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვიტალის გამარჯვების იმედი მხოლოდ მას და მის ძმას, ვლადიმირს აქვთ. ისტორიული ტრადიციაც კი კლიჩკოს წინააღმდეგი აღმოჩნდა. მძიმე წონის მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის ორთაბრძოლა ლოს ანჯელესში 1958 წლიდან არ ჩატარებულა. მაშინ ფლოიდ პატერსონმა წარმატებით დაიცვა თავისი წოდება, როცა მეცამეტე რაუნდში როი ჰარისი ნოკაუტში ჩააგდო.

მაგრამ ტრადიციები ხომ სწორედ იმისთვის არსებობს, რომ დაირღვეს. ვნახოთ, რა მოხდება 21 ივნისს...

# წუთიერი დუმილი

პაატა თოთაძე

## ტურინული ტრაგედია

### 18 იტალიელი ბიჭის სიკვდილის ამბავი

1949 წლის 4 მაისს იტალია შეძრა ახალმა ამბავმა - ავიაკატასტროფაში იტალიის "ტორინოს" 18 ფეხბურთელი დაიღუპა.

თვითმფრინავმა ფრთა გამოსდო ეკლესიის გუმბათს და ჩამოვარდა. ქვეყანამ გლოვა გამოაცხადა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ ყოფილა ბოლო ტრაგედია, რომელმაც ფეხბურთელთა სიცოცხლე შეიწირა.

დღეს ფეხბურთით დაინტერესება მთელ მსოფლიოში ერთგვარ მოდად იქცა. ზოგს სპორტსმენთა შემოსავალი აინტერესებს, ზოგი იმაზე დაობს, თუ ვინ, როგორ და რომელ კლუბში უნდა ითამაშოს. ბავშვები ძველებურად აგორებენ ეზოში ბურთს და დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობენ. იშვიათად თუ ვინმე ჩაფიქრდება იმაზე, რომ ფეხბრთელები სპორტული ცხოვრების, თითქმის, მეოთხედს თვითმფრინავში ატარებენ....

როგორ ფიქრობთ, ამდენი ფეხბურთის მოყვარულიდან რამდენს აინტერესებს "ტორინოს" ისტორია? როგორც გაირკვა - ძალიან ცოტას, თითზე ჩამოსათვლელად. მათ ნაწილს კი "ტორინო" იმიტომ აინტერესებს, რომ ის "იუვენტუსის" თანაქალაქელია. 40-იან წლებში "ტორინოს" თითქმის მთლიანი შემადგენლობა იტალიის ნაკრებში თამაშობდა. სწორედ "ტორინოს" ფეხბურთელებმა აზიარეს იტალიელები ახალ რელიგიას, სახელწოდებით "კალჩო". ეს ჩვენს დროში ხდება სხვადასხვა ქალაქის (ხანდახან ერთი ქალაქისაც) ფეხბურთის გულშემატკივრები ერთმანეთს რომ ვერ იტანენ და კონფლიქტები მოსდით, თორემ ადრე ყველაფერი სხვანაირად იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიელი ფეხბურთის მოყვარულებისთვის მთავარი იყო სტადიონზე მოხვედრა და ფეხბურთით ტკბობა. მათი კერპი "ტორინოს" კაპიტანი, ვალენტინო მაცოლა იყო.

1942-დან 1949 წლამდე კლუბმა ხუთჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი. იმდროინდელ სპორტულ ჟურნალისტებს კი მიაჩნდათ, - "ტორინოს" დამარცხება შეუძლებელია". თითქმის, ყველა ჭაბუკ ფეხბურთელს კედელზე გუნდის ფეხბურთელთა პლაკატები ჰქონდა გაკრული - ფეხბურთელებისა, რომელთათვისაც არ არსებობდა დაუმარცხებელი გუნდი. ვალენტინო მაცოლა, ჯანლუიჯი ლენტინი, რობერტო კრავერო, ჯორჯო ფერინი, ჯიჯი მერონი, ფრანჩესკო გრაზილიანი - ისინი იტალიური ფეხბურთის სახეს ქმნიდნენ.

1949 წლის 4 მაისს ისინი ლისაბონიდან ბრუნდებოდნენ, სადაც მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს ადგილობრივ "ბენფიკასთან". ბორტზე სულ 28


"ტორინოს ტრაგედიამ" ლეგენდარული ვალენტინო მაცოლა იმსხვერპლა

მგზავრი იმყოფებოდა, 18 მათგანი - ფეხბურთელი. ძლიერი ნისლი იყო. სწორედ ეს ნისლი გახდა ტრაგედიის მიზეზი - თვითმფრინავის ფრთა ეკლესიის გუმბათს გამოედო. დღევანდელი საზომით ავარია არცთუ ძლიერი იყო, მაგრამ იმ დროს თვითმფრინავებიც სხვანაირი იყო. რამდენიმე საათში ცხოვრების მოყვარულმა იტალიელებმა საშინელი ამბავი შეიტყეს; ქვეყანა რამდენიმე თვის განმავლობაში გლოვობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ დაჯახების შემდეგ თვითმფრინავი მიწას დაენარცხა; წარმოქმნილ ორმოში მაშველები მგზავრების ლითონთან შერეულ, დამწვარ ხორცს პოულობდნენ. "ტორინო" გაქრა, აღარ არსებობდა. ამ კატასტროფის შემდეგ კლუბმა ვერაფრით ვერ მოახერხა ძველი დიდების აღდგენა. იმ წელს ჩემპიონატი "ტორინოს" ახალგაზრდებმა დაასრულეს. იტალიური ფეხბურთის ჩინოვნიკებმა, კლუბის პატივისცემის ნიშნად, ტურინელებს სკუდეტო აჩუქეს, რომელმაც სიხარული ვერავის მოუტანა. ძალაგამოცლილმა იტალიის ნაკრებმაც ფიასკო განიცადა მსოფლიო ჩემპიონატზე.

"ნურავის ეგონება, რომ ამდენი ხნის გასვლის შემდეგ ამ თემაზე საუბარი უფრო ადვილია. ადვილია იმ მხრივ, რომ, უბრალოდ, რაღაცის თქმა შემიძლია - მაშინ ხმას ვერ ვიღებდი, ამის თავი არ მქონდა. ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ჩემი ქმარი ჩემთან არ იქნებოდა. ეს მხოლოდ ჩემი ტრაგედია არ იყო, ეს მთელი ერის ტრაგედია იყო", - მომხდარს იგონებდა დაღუპული მარტელის მეუღლე. რიგამონტის დედა კი... "მან ვერ გადაიტანა შვილის სიკვდილი. დაახლოებით, ერთი წელი ის ხმას არ მცემდა, ვერაფრით ვერ მოვახერხე გამომეყვანა მდგომარეობიდან, მაგრამ სხვა როგორ უნდა გამომეყვანა, როცა მე თვითონ ვიტანჯებოდი. უბრალოდ, მინდოდა, ჩვენს პატარა შვილს არ ეგრძნო, არ განეცადა ის საშინელება, რომელიც ჩვენს ოჯახში და ქვეყანაში დატრიალდა", - ფეხბურთელის მამა ცხოვრების ბოლომდე შვილს მისტიროდა.

ტრაგედიის შემდეგ "ტორინომ" მხოლოდ ერთხელ, 27 წლის შემდეგ შეძლო ჩემპიონატის მოგება. გუნდი დღესაც უმეტესად სერია B-ში ირიცხება. დაღუპულ ფეხბურთელთა ცოლებმა ბავშვებს სტადიონთან მიახლოებაც კი აუკრძალეს. არადა, იტალიელების სიყვარულის ჩაკვლა ფეხბურთისადმი შეუძლებელი იყო. ვალენტინო მაცოლას შვიდი წლის შვილი, ალესანდრო მამის კვალს გაჰყვა და უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გახდა, თუმცა "ტორინოში" თამაში ვერ შეძლო და "ინტერის" ღირსებას იცავდა...

"მე არ შემეძლო სხვა გზით წასვლა - მამის ხსოვნას ვერ ვუღალატებდი. დედას არაფრით ვემეტებოდი ფეხბურთისთვის, მაგრამ თან ვგრძნობდი, რომ გულში მაინც ოცნებობდა, დიდი ფეხბურთელი გამოვსულიყავი. მამას სურდა ასე და დედაც მის ხსოვნას პატივს სცემდა. თუმცა, სულ ეშინოდა, მეც რაიმე არ მომსვლოდა", - იგონებს ალესანდრო მაცოლა.

ჩოგბურთი

# ძველი ანა მუზეუმში, ახალი - უიმბლდონზე

ნინო პირველი

ის მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ უკვე სამუზეუმო ექსპონატად იქცა. უკვე დიდი ხანია, ჩოგბურთის სექს-სიმბოლო ანა კურნიკოვა ველარავის აკვირვებს თავისი წარუმატებლობით. მის უიღბლობას ყველა შეეჩვია. ახლა სპორტის მოყვარულებს ის უფრო გააოცებდათ, რაიმეს მოგება რომ მოეხერხებინა. ის და წაგება ხომ, კარგა ხანია, განუყოფელ ცნებებად იქცნენ. წლევანდელ სეზონში ანამ ათი მატჩი ითამაშა და მხოლოდ ერთის მოგება შეძლო. ქრონიკულ პრობლემად ქცეული ზურგის ტკივილის გამო მან უიმბლდონის ტურნირზეც უარი თქვა. სამაგიეროდ, აქამდე არეულ-დარეული პირადი ცხოვრებისთვის მოიცალა და მთელი მსოფლიო გააოგნა, როცა ცნობილ მომღერალთან, ენრიკე იგლესიასთან იქორწინა. სპორტული კარიერა დროებით გვერდზე დარჩა. რა გაეწყობა, თავს ზემოთ ძალა არ არის - ანა მხოლოდ სექს-სიმბოლოა და არა კარგი ჩოგბურთელი.

რუსმა მოქანდაკემ ოლეგ კულიკმა ანა კურნიკოვა საერთოდ სამუზეუმო ექსპონატად აქცია - მან თანამემამულე ჩოგბურთელის ცვილის ფიგურა შექმნა და თავის ახალ გამოფენაზე გაიტანა. ცვილის ანას თეთრი სპორტული ფორმა აცვია, გრძელი ნაწნავი ქარს აუფრიალებია, ერთ ხელში ჩოგანი უჭირავს, მეორე კი მუქარით შეუმართავს წინ, დაძაბულობისგან სახე ისე აქვს დაჭიმული და ფორმაშეცვლილი, რომ, სექს-ბომბას კი არა, ფრანკენშტაინის საცოლეს უფრო ჰგავს. ოლეგ კულიკს ძალიან მოსწონს თავისი ქმნილება და იმედი აქვს, რომ დამთვალიერებელიც გულგრილი არ დარჩება მოკლეკაბიანი, საბრძოლო პოზაში გაქვავებული ვაქსის ანას მიმართ.

მუზეუმში გასტუმრებული ორიგინალისგან განსხვავებით, ახალგაზრდა ასლი უიმბლდონის ტურნირზე აპირებს თამაშს. 16 წლის მარია შარაპოვას ყველა "ახალ ანას" უწოდებს. ამ ორ გოგონას მხოლოდ ტიპური სლავური სილამაზე აერთიანებს. სხვა მხრივ ისინი ერთმანეთს არაფრით ჰგვანან, თუმცა, მარიას მაინც ჯიუტად მიიჩნევენ ანას მემკვიდრედ. ფლორიდაში გაზრდილი თინეიჯერი ჩოგბურთელი რეიტინგში ნელ-ნელა წინ მიიწევს. მარიას უკვე ცნობენ და აღიარებენ მის დიდ პოტენციალს. ჩოგბურთის მოყვარულნი მარიას გარეგნობითაც მოხიბლულნი არიან. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "ახალი ანა" ძველს მალე "სექს-სიმბოლოს" საპატიო წოდებასაც წაართმევს. ცოტა ხნის წინ გერმანულმა ბულვარულმა გაზეთმა "ბილდმა" გამოკითხვა ჩაატარა. გერმანელ მკითხველს ერთ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: რომელი რუსი უფრო ლამაზია - ანა კურნიკოვა თუ მარია შარაპოვა? ანამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მაგრამ თუ მარია უიმბლდონზე წარმატებას მიაღწევს, მაშინ კურნიკოვა, ალბათ, საბოლოოდ მოექცევა ახალგაზრდა თანამემამულის ჩრდილში.


მარია შარაპოვა - "ახალი ანა"

უიმბლდონის დაწყებამდე მარია გამოდიოდა ბირმინგემის ტურნირზე, სადაც მან ერთი მეტად უცნაური ტიტული მიიღო - "ყვირილის დედოფალი" შეარქვეს. საქმე ის არის, რომ თამაშის დროს მარია თავს ვერ იკავებს და ისე ხმამაღლა ყვირის, მისი ხმა ოთხი კორტის იქით მოთამაშე ჩოგბურთელებსაც კი ესმით. ინგლისელმა ჩოგბურთელმა ჯენი ო დონოჰიუმ მატჩის შემდეგ დაიჩივლა, მარიას ყვრილი ძალიან მიშლიდა ხელს თამაშშიო. "როცა ჩემი თამაშის ვიდეოჩანაწერს ვუყურებ, არც მე მომწონს ეს ყვირილი, მაგრამ რა ვქნა, მიჩვეული ვარ. ოთხი წლიდან ასე ვყვირი და ეს ძალიან მეხმარება", - თქვა მარიამ კოლეგის განცხადების საპასუხოდ.

ამ ყვირილმა ის შედეგი გამოიღო, რომ შარაპოვა ბირმინგემში ნახევარფინალში გავიდა და უიმბლდონზე მონაწილეობის უფლება მიიღო. ამ სახელგანთქმულ ტურნირზე ის "უაილდ კარდით" დაუშვეს. კურნიკოვას თაყვანისმცემლები, რომელთაც თავიანთი სიყვარული ანას მიმართ მის ახალგაზრდა ასლზე გადაიტანეს, მოუთმენლად ელიან, როგორ გამოვა მარია უიმბლდონის ტურნირზე. თუ მაინცდამაინც ანასთან შედარების გარეშე მარია შარაპოვას კარიერა ვერ წარმოგიდგენიათ, მაშინ უნდა შეგახსენოთ, რომ მარიას დიდი პასუხისმგებლობა აწევს მხრებზე. ანა კურნიკოვა ზუსტად თექვსმეტი წლის იყო, როცა პირველად გამოჩნდა უიმბლდონის ტურნირზე და მაშინვე სენსაცია მოახდინა - ნახევარფინალში გავიდა. ვნახოთ, მისი ახალგაზრდა კონკურენტი თუ მოახერხებს ასე შორს წასვლას...

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების კუპონი

20.06.03 N-167

## აფიშა

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ლიონის ახალგაზრდა საბალეტო დასი
დას: 19:00 სთ

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"დედა დედოფალი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლებში: სოფიკო ჭიაურელი და მურმან ჯინორია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"ფიროსმანი მეფე", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ

### კლუბები

**„აჭარა მიუზიკ ჰოლი„**
"ლათინური ღამე"
კლუბის გახსნა 22:00 სთ; ფასი 30 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**„ქარვასლა„**
პოლონური პლაკატის გამოფენა
მხატვრულად დამუშავებული ცივი იარაღის გამოფენა

**N გალერეა**
პეტრე ბლიოტკინის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

**„კავკასიური სახლი„**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"თალკი"
დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"დანიშნულების ადგილი"
15:30; 20:00 სთ; ფასი 7,8

**„ელისო„**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ზემოდან ხედი უკეთესია"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

**კინოს სახლი**
ფრანგულ-გერმანული ფილმების დღეები
"ოცი ივლისი", რეჟ. ფალკ ჰარნაკი
დას: 16:00 სთ. (ორიგინალური ვერსია)
"ოცი ივლისი", რეჟ. ფალკ ჰარნაკი
დას: 19:00 სთ. (ქართულ ენაზე)

## TV პროგრამა 20 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „შავი ზეცა“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტკილა“
18.00, 21.00, 03.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.50 სერიალი „მაშველები“
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ნათლია“ მთ. რ-ში: მარლონ ბრანდო.
03.30 მხ. ფილმი „არც ერთი სიტყვა“ მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი.
05.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
10.10 მხ. ფილმი „ცა ჩამოიქცა“
11.45 დოკ. სერიალი „ამსტერდამის ზოოპარკი“ 1-ლი ს.
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.05 „მხოლოდ კლასიკა“
14.45 ტელესერიალი „ძილის წინ“
15.15 მხ. ფილმი „ორმაგი ცხოვრება“
16.40 დოკ. სერიალი „ტყის მცველები“
17.10 50-50
17.45 „ზუმი“
18.00 „ვესტნიკი“
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება“
18.30 გასტი-ბუზუ
18.50 პრესეკრანი
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 მაგთიტრონი
21.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
22.05 შეხვედრები ფიქრის გორაზე
22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება ?!“
23.55 მხ. ფილმი „სრულ მზადყოფნაში“

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ინდიანა ჯონსი დაკარგული კიდობნის ძიებისას“
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 „ბრავო“ „თავზეხელაღებული“ მთ. რ-ში ბენ აფლეკი, კოლინ ფარელი.
02.15 „ღამურა“ „ჯგუფ „დელტას“ ოპერაცია“. მთ. რ-ში ერინ ჰადსონი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „რვაფეხა“
20.30 საქართველო არის ესე
21.00 ენერგია
21.30 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 მხ. ფილმი „კიკუჯირო“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მამაცი გული“
15.00 მხ.ფილმი „მუმია 2“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „მორიელთა მეფე“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „დიდი დედილოს სახლი“
22.30 მხ. ფილმი „შერბურგული ქოლგები“

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „კუზიანი“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ.ფ. „დიადი მერილინი“ მე-26.
17.20, 18.45, 19.45, 21.55, 23.30, 00.50 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
20.00 მიუზიკჰოლი
22.15, 23.00 დიალოგი
00.55 მხ. ფილმი „ცხელი კევი“
02.10 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.30 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
11.55 „ცხელი ცხრიანი“
12.40 მხ. ფილმი „დათვის ნაკვალევი“
14.15 „ტელემეტრი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „ქართული ფეხბურთი“
15.20, 16.20, 17.55, 19.50, 22.10 მუსიკა
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“
21.15 სერიალი „სირინოზები“
22.00 დოკ. ფილმი „მოჩვენებათა თავგადასავალი“ 1-ლი ნ.
22.25 მხ. ფილმი „მეფე მეწისქვილე“
00.20 მხ. ფილმი „სენ მიშელის მთის საიდუმლო“.

### იმედი

08.55, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.05, 13.15, 17.20, 23.55 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი“
10.30 სპ. პროგრამა „ასი“
11.05 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“
12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო“
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ტურბულენტობა-3“
17.30 „მულამები“
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო“
20.30 ლარის მახე
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
22.55 თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“
23.55 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“
01.00 არტ-ფილმი „ღმერთები და მონსტრები“.

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ოქროს კულულები“
10.40, 13.35 მუსიკა
11.00 დოკუმენტური ფიმლი
12.10 კომედია „ტაქსი-3“
13.50 დრამა „დღის მიწურულს“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი
17.15 ფილმი-ფანტასტიკა „დასაშვებია“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.30, 22.40 „Пресс-папье“
19.35 ისტორიული ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი“
21.50 „გალერეა“
22.45, 00.40, 03.20 მუსიკა
23.00 „ალტერნატივა“
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 მელოდრამა „მოსიყვარულე გულები“
03.50 თრილერი „ვინა ვარ მე“

### VII არხი

09.15 მელოდია
09.35 „აჩიკუდა“
09.55 კომპიუტერული ტექნიკა
10.35 „გიორითმი“ - .
10.55 მობილურები
11.45 დისნეი და მისი მეგობრები
12.05 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.35 „მელოდია“
12.45 კომპიუტერული თამაშები
12.55 „მელოდია“
13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.40 „ოგიექტივი“ -სტუმარი
20.30 კომპიუტერული თამაშები
20.40 მელოდია
21.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
21.55 „კინოკლუბი „ - „საიდუმლო აგენტი როისი“. მძაფრსიუჟეტიანი . რეჟისორი: როდ ჯოლკომბი. როლებში- ჰეიმს გელუში, მიგელ ფერერი
23.30 მობილურები
00.30 გიორითმი“ - .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.10 Худ.фильм „Сердца трех“, 4 с.
12.10 „Сами с усами“
12.40 Сериал „Твинисы“
13.15 Худ.фильм „Фронт в тылу врага“, 1 с.
14.40 „Непутевые заметки“
15.00 „Крылья“. „Высший пилотаж“
15.30 „Гении и злодеи“
16.20 Док.сериал „Дикие штучки“
16.50 Комедия „Фаталисты“, 4 с.
18.00 „Большая стирка“
19.30 Док.фильм „Владимир Этуш“
21.00 „Кто хочет стать миллионером?“
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Пятый угол“
23.45 Открытие XXV Московского международного кинофестиваля
01.00 „Идолы“. Б.Уиллис
01.30 „История Московского кинофестиваля“
02.00 „Апология“
03.15 Сериал „Тысячелетие“

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45 Сериал „Главные роли“
10.40 Детектив „Марш Турецкого“.
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Худ.фильм „Мятеж на „Баунти“
14.15 „Экспертиза“
14.30 „Мусульмане“
14.45 Вести - Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Московские окна“
17.10 Всероссийский конкурс „Мой дом. Мой город. Моя страна“. Финал
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 02.40 „Дорожный патруль“
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
21.55 Детектив „Марш Турецкого“
00.00 Встреча В.Путина с участниками конкурса „Мой дом. Мой город. Моя страна“
00.45 Худ.фильм „Они живы“
02.50 „Горячая десятка“
03.50 Сериал „Сеть“
04.45 Сериал „Дживс и Вустер“

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.45 Сериал „Дальнобойщики“
11.00 „Сегодня утром“
11.25 „Совершенно секретно. Минздрав предупреждает“
12.15 „Без рецепта“. Доктор Бранд
13.00, 16.00, 18.00, 20.00 „Сегодня“
13.30 „Страна Советов“
14.30 Сериал „Курортный роман“, 5 с.
16.35 „Принцип „Домино“. „Белые вороны“
18.30 Сериал „Скорая помощь“
19.25 „Команда.ru“
20.35 „Свобода слова“
21.55 Боевик „Огненный лис“
00.25 Супербокс. Заб Джуда против Джуниора Виттера
01.30 Худ.фильм „Ловец солнца“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება გრიგოლეთში სააგარაკე ნაკვეთი. გადაჰყურებს პირდაპირ ზღვას. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება ფოთში მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი, ციტრუსიანი 600 კვ.მ ეზოთი, გამოდგება როგორც სააგარაკედ, ისე საცხოვრებლად. ტელ: 93-27-82, 893 203292.

იყიდება ასურეთში აგარაკი 1100 კვ.მ., ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლით, საკვანძით, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტელ: 93-27-82, 893 203292.

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება!**
**3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით.**
**ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.

**სასწრაფოდ!**
**იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები.**
**ფასი: 13 500$**
**ტელ: 899 182227**

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71.

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

## სხვადასხვა

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**

**ვარ მასაჟისტი, ჭარბი ბიოენერგიით. ბინაზე გამოძახებით, ჩაწერა წინასწარ.**
**ტელ: 98-31-32.**



# დედოფალი სახელად „გამარჯვება"



დედოფალი ვიქტორია

ალექსანდრინა ვიქტორია, დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი, ინდოეთის იმპერატორი, კენტის ჰერცოგის ასული, ჰანოვერის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ქვეყანას 64 წლის განმავლობაში მართავდა, და ეს ხანა ისტორიაში "ვიქტორიანული ხანის" სახელითაა შესული. 1837 წლის 20 ივნისს ის ინგლისის დედოფალი გახდა.

თავდაპირველად მას ტახტზე ასვლის შანსი, ფაქტობრივად, არც ჰქონია. მისი ბედი 1837 წლისთვის ტახტის მემკვიდრეთა ჰემოფილიით გარდაცვალებამ გადაწყვიტა.

დედოფლად კურთხევის ცერემონიის დასრულების შემდეგ 19 წლის ვიქტორიამ უმალვე ერთი ჭიქა ჩაი და "თაიმსის" ახალი ნომერი მოითხოვა. იმ დღიდან ინგლისური ჩაი ჯენტელმენისა და ლედის მუდამ თანმდევ სასმელად იქცა, მას ყველაგან სვამდნენ, ოფიციალურ მიღებებსა თუ დასვენების დროს. სწორედ ჩაის ჭიქით ხელში დაწერა ვიქტორიამ Tea Moralities – ჩაის სმის წესები, რომელმაც ევროპული და რუსული ჩაის სმის ეტიკეტი განაპირობა.

უფლისწულ ალბერტ საქს-კორბურგ-გოთელთან ქორწინების შემდეგ ვიქტორიამ ცხრა შვილი გააჩინა. ეს ბედნიერი ქორწინება იყო, რომელმაც ქვეშევრდომთა თვალში სამეფო ოჯახის მორალური სახე ჯერ არნახულ სიმაღლემდე აიყვანა, და ინგლისს ანტიმონარქისტური ტალღა აარიდა, რომელმაც 1848 წელს ლამის მთელს ევროპას გადაუარა.

ვიქტორია სწორედ მონარქიის სიმბოლო იყო – უბრალო და ღირსეული, სამაგალითო ქალი, მეუღლე და დედა. შვილების წყალობით ის ევროპის მრავალ სამეფო გვარს დაუნათესავდა: გერმანიის უკანასკნელი იმპერატორი, ვილჰელმ II მისი შვილიშვილი იყო, რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-მაც მისი შვილიშვილი ითხოვა ცოლად.

ვიქტორიას მეუღლე 1861 წელს გარდაიცვალა, და დედოფალი მას მთელი დრჩენილი ცხოვრება – 1901 წლამდე გლოვობდა. ცხადია, ქვეშევრდომებზე ამანაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვიქტორიანულ ეპოქას წესრიგისა და მაღალი ზნეობრივი პრინციპების ხანად იხსენებენ. დედოფალი თავადაც გარკვეული წესებისა და დღის განრიგის თანახმად ცხოვრობდა და თავის ქვეშევრდომთაგანაც ამასვე ითხოვდა. ის საკუთარი ხელით წერდა დეტალურ წესებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ადამიანი საზოგადოებაში. ეს სწორედ ის ეტიკეტია, რომელსაც დანარჩენი მსოფლიო "ინგლისურ სიხისტეს" უწოდებს, რომელიც შესანიშნავად აისახა ლიუის კეროლის წიგნში "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" და კონან დოილისა და ოსკარ უაილდის მოთხრობებში. დედოფალმა "ვიქტორიანული სტილი" განაპირობა, რომელიც ცხოვრების ყოველ მხარეს ეხებოდა – ჩაის ცერემონიებით დაწყებული და ტანსაცმლის თარგით დამთავრებული.

ამ ხანას შემდგომ ათასგავარად აფასებდნენ. ასე, პირველი მსოფლიო ომის შემსწრე თაობისთვის ვიქტორიანული ფასეულობები "კანონიზებული ფარისევლობა" იყო. მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამეფებულმა განწყობამ ვიქტორიანული ინგლისის მიმართ ინტერესი კვლავ გააცოცხლა, და მრავალი ბრიტანელი დღესაც ნოსტალგიურად იხსენებს "სრულიად ევროპის ბებიის", ვიქტორიას მეფობის ხანას.

# ნოთინგ-ჰილი სტელას წინააღმდეგ



სტელა მაკარტნი

ბრიტანელ დიზაინერ სტელა მაკარტნის ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში, ნოთინგ-ჰილში, საკუთარი სახლის სახურავზე ხის საშხაპე აღუმართავს. ეს 2002 წლის ზაფხულში მოხდა.

წელს კი რესპექტაბელურმა მეზობლებმა ვეღარ მოითმინეს და იჩივლეს. უცნობია, რაზე გაჯავრდნენ - მართლა უბნის არქიტექტურულ მთლიანობას მისტიროდნენ თუ მობანავე სტელას ყურება არ უხაროდათ. ფაქტია, რომ მათ ამ უმსგავსობას დიდხანს ვერ გაუძლეს და ვესტმინსტერის საბჭოს მიმართეს. საბჭომ უბნის მცხოვრებლებს დაუჭირა მხარი. მაგრამ სტელას, როგორც ჩანს, შხაპის მიღება მაინცადამინც სუფთა ჰაერზე ეხალისება. მან აპელაციით გეგმარების სამთავრობო ინსპექტორატს მიმართა და საშხაპეს დანგრევის ნაცვლად მისი გადაკეთება ან გადაღებვა შესთავაზა.

სტელას არ გაუმართლა, მას საყვარელი საშხაპეს დანგრევა მაინც მოუწევს. "ეს ნაგებობა გეგმარების შესახებ განაწესს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომაც ავიღებთ," განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ.

ელიტარული უბანი ნოთინგ-ჰილი, რომლის ბოჰემური სულიც 1999 წელს გადაღებულ, ამავე სახელწოდების ფილმში აისახა, მრავალი არქიტექტურული ძეგლით იწონებს თავს, და ამიტომ მისი იერის შეცვლის ყოველი მცდელობა მკაცრად ისჯება ხოლმე.

# სასოწარკვეთილი სექსუალობა

"მე უმალვე ვაგდებ ხოლმე იმ გოგონებს, რომლებიც სამსახურში დილიდან საღამომდე უზარმაზარ ქუსლებზე ამხედრებულები და ჭიპგადმოგდებულები დადიან. სულ ვეუბნები: რაც უფრო სექსუალურად გაცვიათ, მით ნაკლები სექსი გელირსებათ. მეტისმეტს ცდილობთ. სექსაპილური იერი ზოგჯერ კარგია, მაგრამ გამუდმებით ეს არავის სჭირდება," ჰყვება იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელიორი, მიუჩია პრადა.

აღმოჩნდა, რომ იტალიელი ქალები მას ნერვებს უშლიან – მეტისმეტად ვულგარულად იცვამენო. "საშინელებაა!" ასე შეაფასა მან იტალიის ტელევიზიის წამყვანთა მოტკეცილი კაბები. "მე ამას სასოწარკვეთილ სექსუალობას ვუწოდებ".

## კროსვორდი








თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24





# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში